თამარ რუხაძე

საქართველოს მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივლისი, 2014

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თამარ რუხაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: საქართველოს მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები და მათი გადჭრის მიმართულებები და ვაძლევთ რეკომენდაციას საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„ 08 “ ივლისი 2014წ.

ხელმძღვანელი

პროფესორი: თ. ჩხეიძე

რეცენზენტი

პროფესორი: ნ. დიდიშვილი

რეცენზენტი

პროფესორი: მ.ჯულაყიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2014 წელი

ავტორი: რუხაძე თამარ

დასახელება: საქართველოს მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებები

ფაკულტეტი : „სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის“

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: “ 08 ”ივლისი 2014 წელს

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

თ. რუხაძე

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

საქართველოს სამრეწველო წარმოების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომკური განვითარების საქმეში. ეკონომიკა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, თითოეული ჩვენგანი ვცხოვრობთ ეკონომიკურ გარემოში და შეგვაქვს ჩვენი წილი მის განვითარებაში. თითოეული ოჯახი აწარმოებს საკუთარ ეკონომიკურ პროცესებს. ლიბერალიზაციამ და სახელმწიფოს ეკონომიკიდან წასვლამ ბევრ სამეწარმეო სექტორში საქართველოს კონკურენტუნარიანობის დაკარგვა განაპირობა. ქართული საწარმოების უმრავლესობა კაპიტალის უკმარისობის შედეგად არაეფექტური და ეკონომიკური ტრანსფორმაციისათვის და საერთაშორისო კონკურენციისათვის მოუმზადებელი რჩება. სახელმწიფომ დაუყონებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება არსებული პრობლემების გადაწყვეტის საკითხს. მათ შორისაა: სამრეწველო წარმოებაში სარეკორდო ვარდნა, რომელიც ეკონომიკურ სისტემაში ცვლილებებითაა განპირობებული, საწარმოების ტრანსფორმაცია და ტრადიციული კავშირების გაწყვეტა, საკრედიტო დეფიციტი, კაპიტალის უკმარისობა ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად, შემოსავლების დაბალი დონე და უმუშევრობის ზრდა. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დღეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ვიდრე წინა წლებში. აქედან გამომდინარე მრეწველობის მაჩვენებლებიც უკეთესია. 2011 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მრეწველობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მრეწველობის სექტორის ბრუნვამ 2011 წელს შეადგინა 6,540,7 მლნ. ლარი (ზრდა 18.1 %), ხოლო გამოშვების მოცულობამ კი 5,669,7 მლნ. ლარი (ზრდა 16,9%).

ნაშრომში ჩატარებულია კვლევა მრეწველობის სამართლებრივი ასპექტების დარგების ან კონკრეტული მიმართულების პრობლემების განხრით მაგალითად ისეთების როგორიცაა: პრობლემები მრეწველობის ნიმუშებზე ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული, მცირე და საშუალო ბიზნესის როლის შესახებ სამრეწველო დარგების განვითარებაში და ასე შემდეგ. ისეთი ძირეული კვლევა მთლიანად საქართველოში არსებული მრეწველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის მისი პრობლემების და ამ პრობლემების გადაჭრის გზების, როგორიც მოცემულია ნაშრომში ჯერ არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა რომ მრეწველობის განვითარების ტენდენციები, საკმაოდ დაწვრილებით არის შესწავლილი მსოფლიო და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე ისევე, როგორც საქმიანობის ყველა სფეროში მრავალი საკითხი მოითხოვს ახლებურად გაანალიზებას ახალი მეცნიერული ცოდნის საფუძველზე. ვინაიდან საქართველოში ყოველ წლიურად იცვლება ეკონომიკური მაჩვენებელები და არც თუ ისე სახარბიელოდ საჭიროა მოხდეს სახელმწიფოს მიერ გარკვეული ღონისძიებების გატარება. მთელი რიგი რეფორმები რომლებიც პერიოდულად ტარდება სამართლებრივი

ბაზის სრულყოფისათვის ყოველთვის ვერ გვირგვინდება სასურველი შედეგით , ხშირ შემთხვევაში კი დადებითი გავლენის ნაცვლად ვიღებთ უკუ რეაქციას. მსუბუქად რომ ვთქვათ საკანონმდებლო ბაზის შექმნისას არ ხდება რეალური კვლევა დღევანდელი მრეწველობის მდგომარეობის რაც ხელს უშლის ეფექტური სამართლებრივი აქტების მიღებას. ვიდრე გავიზიარებდეთ დიდი ეკონომიკის მქონე ან განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის მიღწევებს და გავხდიდეთ მათ ჩვენთვის სამაგალითოდ მნიშვნელოვანია დაწვრილებით შევისწავლოთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა წლების განმავლობაში მიღებული მწარე თუ ტკბილი გამოცდილება, განუახლებელი და განახლებადი ბუნებრივი რესურსების მდგომარეობა, ქართული მრეწველობის წარსული და აწყმო იმისათვის რომ განვსაზღვროთ მომავალი. მნიშვნელოვანია სწორად ავირჩიოთ პრიორიტეტული დარგები მათი პერსპექტივის გათვალისწინებით, რათა მოხდეს ამ მიამართულებით სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო აქტების მეშვეობით სტიმულირება და ხელშეწყობა განვითარებისათვის. ეს პროცესი არ უნდა დაემსგავსოს დაუსრულებელ ექსპერიმენტებს, როგორც ამ ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა კანონების გაუქმებით და ახალი კანონების მიღებით რომლებიც ძველზე უფრო დამღუპველი შეიძლება იყოს ეკონომიკის ამ სექტორისათვის. წამყვანი სექტორი მსოფლიო ეკონომიკაში და მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ახლა უკვე არის მომსახურების სფერო. ხოლო განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ჯერ ახლა დგავენ ინდუსტრიალიზაციის სტადიაში ფეხს. ასეთ ქვეყნებში მრეწველობის წილი იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში. კონტრასტი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ხასიათდება პირველ რიგში მრეწველობის განვითარების დონით და მთი ინდუსტრიული პოტენციალით. ამ კრიტერიუმით თუ შევაფასებთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას ჩვენი სახელმწიფო ჯერ განვითარებადი ქვეყანაც კი არ არის. ვინაიდან ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მსგავსი პოტენციალის ქვეყნებმა შეძლეს რომ სწრაფად განევითარებინათ მრეწველობა და გამხდარივნენ ახალი ინდუსტრიული ქვეყნები ჩვენი წარსული ინდუსტრიული მიღწევების შემდგომ რატომ მოხდა რომ წინ წასვლის ნაცვლად ერთ ადგილას დგას მრეწველობა და მისი ზოგიერთი მიმართულება საერთოდ უძრავ მდგომარეობაშია. ეს საკითხი კარგად უნდა იყოს გამოკვლეული რათა განვსაზღვროთ სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი კონკრეტული ნაბიჯები მრეწველობის ასაღორძინებლად.

მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა სახელმწიფომ უნდა მოახდინოს სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებით. საქართველომ უნდა გამოიყენოს განვითარებული ინდუსტრიის მქონე ქვეყნების გამოცდილება, და განახორციელოს ისეთი სამრეწველო პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს მრეწველობის სხვადსხვა დარგების განვითარებას. განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები და

მოახდინოს მათი სტიმულირება. ყველაფერი ზემოთ აღნიშნული კი უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანით.

ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა და განსაზღვრულია პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. დასახულია კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდები. წამოდგენილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

შედეგებასა და განსჯაში - განხილულია საქართველოს მრეწველობის წარსული, რომელიც მოიცავს საბჭოთა კავშირის დროინდელი საქართველოს სამრეწველო მიღწევებს, რომლებიც არ შეიძლება არ იქნას აღნიშნული ვინაიდან ამ წარსულზე დაყრდნობით უნდა ვივარაუდოთ რომ საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებას აქვს პერსპექტივა და არც თუ ისე მცირე, თუ მოხდება პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, ასევე შესწავლილია მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების დონე. სამეწარმეო ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა, მრეწველობის როლი და ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში. შესწავლილია ყველა ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში სამრეწველო ბიზნესის განვითარებას და ასევე სამართლებრივი აქტები რომელთა არასწორი ფორმულირება ან თუნდაც არ არსებობა იწვევს მრეწველობის განვითარებისათვის წინააღმდეგობების შექმნას.

განხილულია მეწარმეობის სამართლებრივი უზრუნველყოფის საერთო მიმართულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსი და მისი გავლენა მრეწველობის განვითარებაზე, სამოქალაქო სამართალი და მისი მოქმედება სამეურნეო დავების გადაწყვეტისას სამეწარმეო ბიზნესში, ასევე შესწავლილია კერძო საარბიტრაჟო საქმის განვითარების პრობლემები. საქართველოს საგადასახდო კოდექსში არის ძალიან ბევრი ორაზროვანი და გაუგებარი მუხლები, რომლებიც მსუბუქად, რომ ვთქვათ აბნევს გადასახადის გადამხდელებს ამიტომ მეწარმეები ხშირად ზარალდებიან კანონის ორმაგი განმარტებით. აუცილებელია საგადასახადო წნეხის შემცირება, საგადასახადო ორგანოსა და სამეწარმეო ბიზნესს შორის ურთიერთობის გამარტივება.

შესწავლილია სხვადასხვა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება, მათ მიერ გატარებული სამრეწველო პოლიტიკა განვითარების პერიოდში. ასევე შესწავლილია საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგია, რომელიც წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს მიერ. განხილულია სტრატეგიის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე სამართლებრივი მექანიზმებით გარემოს გაუმჯობესების მოსალოდნელი შედეგები.

ამავე თავში განხილულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

Abstract

Developing Georgia's industrial sector is of great importance for the economic growth of the country. Economics is part of our daily life; all of us participate in the economic life and contribute to its growth; and each household manages its economic processes. Liberalization and denationalization of the industrial sector led to lossof competitivenessof most industries. Due to lack of capital, the majority of Georgian enterprisesremain ineffective and unprepared for economic transformation and competition in the global arena. The state needs to pay immediate attention to finding solutions to the existent problems. Among these problems are: unparalleled decrease of industrial production as a result of changes in the economic system; transformation of enterprises and severance of traditional ties; credit deficit, lack of capital of making new investments; a low level of revenues and increase of the unemployment rate. At now the economic situation in Georgia has significantly improved compared with prior years.As a result, industry sector indicators have increased. The year of 2011 witnessed increase of all industry sector indicators. According to the statistical data of the National Statistical Office (GeoStat) the turnover of the industry sector amounted to 6,540,7 mln GEL (increase by 18.1%) and the output amounted to 5,669,7 mln GELL (16,9%) in 2011.

The paper studies the legal aspects of the industry sectors or specific kinds of problems in the field such as : problems with industry standards on intellectual property rights , the role of the industrial sectors in the development of small and medium-sized businesses , and so on. A fundamental study of the Georgia legislative framework regulating the industry 's problems and ways to solve these problems , such as the work has not been carried out . While the industry development trends , a fairly detailed study of the world and the economic literature , the development of each new stage as well as the work of all the many issues require a new way of analyzing new scientific knowledge . Since Georgia is changing every year , and economic growth was not so unattractive should be some measures taken by the state . Periodically carried out a series of reforms to improve the legal framework is not always crowned with the desired result, in many cases, instead of getting a positive influence in the reverse reaction. To put it lightly, not create the legal framework becomes a real study of the current state of the industry that prevents effective legal acts . Detained until the big economies in the developed industrial countries or their achievements and exemplary important for us to study in detail the present condition of our country after years of bitter and sweet experience, Non-renewable and renewable natural resource conditions, past and today order to determine the future of Georgian industry . It is important to properly choose the priority sectors for their perspective in order to direction by the state through legislative acts to stimulate and support the development . This process should not become endless experiments , as in recent years, a variety of laws abolishing the old and the new law will have on the baneful economy in this sector . The leading sectors of the world economy and highly developed countries now have a service sector economy . In developing countries , are now at the stage of industrialization. In these countries, the share of industry in gross domestic product to grow . The contrast between developed and developing countries is characterized first of all, the level of industrial development and industrial potential of the mountain . If this criterion to measure the current state of our state is still a developing country is not even . As our country's industrial potential, the potential of a country to be able to rapidly develop the industry and become new industrial countries in our past

industrial achievements in one place instead of going after what happened to the front of the industry and some of its real condition. This issue should be examined in order to determine the specific steps to be implemented by the state in order to revive the industry.

Development of industry sector shall be facilitated by the state through improving the legal framework. Georgia shall take into consideration the experience of developed industrial countries and ensure implementation of such industrial policy that will facilitate development of various industrial subsectors. Georgia shall identify priority directions and stimulate their development. All the above referred shall be carried out in compliance with the international norms and the legislation of Georgia.

The introduction of the research paper gives reasoning as to why the dissertation paper is topical and proves the urgency of the research topic setting out itsgoal, objectives, subject,and object. It also discusses the scientific novelty and practical significance of the research.

Results and discussion discusses the current situation of Georgia's industry and the level of its development as well as the governing legislative framework, and the role and share of the industry sector in the economy of the country. This chapter examines the legal acts which govern the development of industries in Georgia covering incorrect formulations of some provisions thereof, or absence of some legal acts which create obstacles to the development of the industry sector.

discusses some general aspects of legal framework of the industry sector; the Tax Code of Georgia, and its effect on the development of industries; as well as the civil laws and their impact on solving economic disputes in the industry sector. This chapter also covers the issues indeveloping the private arbitrage proceedings of cases. The Tax Code of Georgia comprises of many ambiguous and unclear provisions, which, to say the least, confuse tax payers and thus different interpretations of law provisions often affect the entrepreneurs in Georgia. It is necessary that the tax burden be reduced and relations between the tax authority and industries be simplified.

examines the experience of several developed countries and the industry sector policy these countries implemented at the development stage. The Economic and Social Development Strategy of Georgia presented by theMinistry of Finance of Georgia is also examined and its strengths and weaknesses are discussed. It also covers expected results of improving the business environment through employing legal mechanisms.

შინაარსი

შესავალი 113
ლიტერატურის მიმოხილვა.....18

შედეგები და განსჯა.

2.1 საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და სამეწარმეო ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა. 31

2.2. საქართველოს მრეწველობის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში 51

2.3. საქართველოს სამრეწველო ბიზნესის მარეგულირებელი სამართებლივი აქტები 58

2.4. საქართველოს მრეწველობის სამართებლივი უზრუნველყოფის წინააღმდეგობები. 68

2.5 საქართველოს სამეწარმეო ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფის საერთო მიმართულებები 72

2.5.1.მეწარმეობის სამართლებრივი რეგულირების კვლევა 72

2.5.2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი და მისი გავლენა მრეწველობის განვითარებაზე. 87

2.5.3. სამოქალაქო სამართალი და მისი მოქმედება სამეურნეო დავების გადაწყვეტისას სამეწარმეო ბიზნესში. 106

2.5.4.კერძო საარბიტრაჟო საქმის განვითარების პრობლემები 114

2.6 საქართველოს მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის მიმართულებები 120

2.6.1. სამართლებრივი მექანიზმებით სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და მოსალოდნელი შედეგები 120
2.6.2.საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 126
დასკვნა.....144
გამოყენებული ლიტერატურა.....145

ცხრილების ნუსხა

ცხრილები არ არის ნაპოვნი განახლებისთვის დააწექით F9 ღილაკს.

ცხრილის##	ცხრილის დასახელება	გვერდი
1	აზერბეიჯანის მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები	40
2	საქართველოს მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები	41
3	პროდუქციის ბრუნვის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით 2011-2012წლის I/II/III კვარტალი.	45
4	საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 2012 წლის მესამე კვარტალის, სამთომომპოვებითი მრეწველობის და დამამუშავებელი მრეწველობის ბრუნვა 2011 წლის მესამე კვარტალის	47
5	დღგ.სა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები სხვადსხვა ქვეყნებში	97
6	სამრეწველო წარმოების ინდექსი, ჩართული სამრეწველო სიმძლავრეები, სამრეწველო შეკვეთების მოცულობა, სამრეწველო ინდექსი	121
7	საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2004-2010 წლები მლნ.აშშ დოლარი	128
8	2004-2009 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები	132

ნახაზების ნუსხა

ნახაზები არ არის ნაპოვნი განახლებისთვის დააწექით F9 ღილაკს.

ნახაზის ##	ნახაზის დასახელება	გვერდი
1	მრეწველობის დარგის ბრუნვის მოცულობა 1999-2011წლები.	43
2	მრეწველობის დარგის პროდუქციის გამოშვება 1999-2011 წლები.	46
3	ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები მრეწველობის დარგში 2006-2012 წლები.	48
4	უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012 წლის	49
5	მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა1999-2013წწ.	56
6	ქვეყნების ჯგუფების წილი ბრუნვაში 2013 წლის იანვარ–აპრილში	131

მადლიერება

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწიეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის დეკანმა, სრ. პროფესორმა ოთარ გელაშვილმა, მეცნიერ-ხელმძღვანელმა, სრ. პროფესორმა გოდერძი ტყეშელაშვილმა, რომელთა განსაკუთრებული დახმარებითა და რჩევით შესაძლებელი გახდა დისერტაციის შესრულება, რისთვისაც მათ მიმართ დიდ მადლიერებას გამოვხატავ.

განსაკუთრებულად მინდა მადლობა მოვახსენო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფესორ თეიმურაზ ჩხეიძეს რჩევებისათვის და იმისათვის, რომ მისი მონდომებითა და ხელმძღვანელობით ვეზიარე მეცნიერული აზროვნების ხელოვნებას.

მადლიერება მინდა გამოვხატო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და პროფესორ-მასწავლებლების მიმართ.

ასევე მადლობა ჩემს ოჯახს გვერდში დგომისათვის, თანაგრძნობისათვის. ასევე მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის ვინც დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში დახმარება გამიაწია რჩევით თუ მორალურად.

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ისევე, როგორც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის განვითარებას და მის ხვედრით წილს ზრდას ქვეყანაში წარმოებული მთლიან შიდა პროდუქტში. იმ დროს როდესაც საქართველო შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მრეწველობის სხვადსხვა დარგები საკმაოდ კარგად იყო განვითარებული, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი მრეწველობის მრავალი ობიექტი გაჩერდა და უკანსვლა დაიწყო. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში არსებული სხვადსხვა მთავრობები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ მრეწველობის განვითარებას, მაგრამ ამ მხრივ წარმატებას ვერ მიაღწიეს ხან დაკლებული მცდელობისა და ხან კი არასწორი პოლიტიკის გამო.

ეკონომისტების ნაწილი საჭიროდ არ თვლის სახელმწიფოს ჩარევას მრეწველობის განვითარების საქმეში. ისინი თვლიან რომ ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს. თუმცა არ შეიძლება უარვყოთ სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებაში. მისი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება ამ მხრივ არის სწორი სამართლიანი სმართლებრივი ბაზის შექმნა რომელიც არა მხოლოდ დაარეგულირებს სამრეწველო წარმოებაში არსებულ ურთიერთობებს, არამედ ხელს შეუწყობს მრეწველობის განვითარებას, გაამარტივებს ბიზნესის წარმოების გარემოს, დაიცავს თითოეული ბიზნეს- სუბიექტის ინტერესებს.

მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს ისეთი სამართლებრივი გარემო რომელიც დაიცავს ადგილობრივ წარმოებას, ასევე მიმზიდველს გახდის საქართველოს ბაზარს სხვადსხვა მწარმოებლებისათვის, დააინტერესებს ინვესტორებს. კანონმა უნდა უზრუნველყოს სამრეწველო წარმოებაში დასაქმებული ყველა ადამიანის უფლებები, შექმნას თავისუფალი კონკურენციისათვის შესაფერისი გარემო, მეწარმე უნდა

ენდობოდეს სახელმწიფოს და ჰქონდეს სამართლიანობის და დაცულობის შეგრძნება, რათა მოახდინოს თვისუფლად თვითრეალიზაცია.

მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემა მეტად აქტუალური არის დღეს და ხვალ არანაკლებ აქტუალური იქნება, იმიტომ, რომ იცვლება ყოველდღიურად გარემო რომელშიც უწევს ჩვენს მრეწველობას განვითარება, ჩნდება ახალ ახალი გამოწვევები აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია დღეს მოხდეს არსებული პრობლემების შესწავლა, რათა ხვალ უფრო დიდი და დაუძლეველი პრობლემების წინაშე არ აღმოვჩნდეთ.

კვლევის მიზანია საქართველოში არსებული იმ სამართლებრივი ნორმებისა და აქტების მეცნიერული ანალიზი, რომლებიც არეგულირებენ სამრეწველო საწარმოების დაარსებას, ფუნქციონირებასა და მათ ურთიერთობებს პარტნიორებთან, სახელმწიფოსთან და ა.შ.

კვლევის მიზანია აგრეთვე იპოვოს ის ხარვეზები სამართლებრივ ბაზაში, რომლებიც ხელს უშლის მრეწველობის განვითარებას და ამასთანავე აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. ხარვეზიანი კანონების აღმოჩენა და მათზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია, სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესების გზაზე.

კვლევის მიზანმა განსაზღვრა შემდეგი ამოცანები: საქართველოში არსებული მრეწველობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლა და ასევე სხვდასხვა ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის გატარების შედეგების განხილვა.

კვლევის ძირითად ობიექტი და საგანი:

კვლევის ობიექტია საქართველოს მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები და მათი გადაჭრის მიმართულებები. აქედან გამომდინარე ობიექტად წარმოდგება ეკონომიკის რეგულირების

ისეთი კანონები, როგორებიცაა: „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, „საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, “საქართველოს შრომის კოდექსი“, “კანონი გადახდისუუნარობის შესახებ“, “საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ და ა. შ. აგრეთვე საქართველოს მთავრობის დადგენილებები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგარადი განვითარების სამინისტროს მარეგულირებელი აქტები, საქართველოს ფინანსთა სამინინისტროს ინსტრუქციები და სხვა კანონქვემდებარე აქტები, საქართველოს ეროვნული ბანკის განკარგულებები და დადგენილებები კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულაციების შესახებ.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში არსებული მრეწველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და მისი გავლენა წარმოების განვითრებაზე. არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზები და არსებული პრობლემების გადაჭრის მიმართულებები. ასევე სხვადსხვა ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა განვითარების საწყის ეტაპზე და დღევანდელ რეალობაში.

კვლევის მეთოდები- სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას კვლევის პროცესში გამოყენებულ იყო ისტორიული ლიტერატურული წყაროების, მეცნიერ ეკონომისტთა კვლევების, სტატისტიკური მონაცემების, ცალკეული არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების კვლევის შედეგების შესწავლა. ნაშრომში გამოყენებულია ანალიზის მეთოდი, რომელიც გვაძლევს საშუალებას საქართველოს მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემების გამოვლენისა.

მეცნიერული სიახლეები:

- სადისერტაციო ნაშრომი პირველი გამოკვლევაა მიძღვნილი საქართველოს მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემებისა და მათი გადაჭრის

მიმართულებების ძიებისადმი. რომელიც განსაზღვრავს მრეწველობის განვითარების პრობლემების სამართლებრივ ხარვეზებზე დამოკიდებულებას, განხილულია პრობლემები, როგორც სამართლებრივი ბაზის ასვე მრეწველობის პრობლემები, რომლებიც მოდის სამართლებრივი სფეროს გაუმართაობიდან, ასეთი სახის კვლევა თავისთავად სიახლეა. კერძო სიახლეები კი ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

- გაანალიზებულია ეკონომიკის რეგულირების სამართებლივი მექანიზმი. კოდექსები, კანონები, დადგენილებები, განკარგულებები კლასიფიცირებულია მოქმედების მასშტაბის და ეკონომიკაზე მათი გავლენის ზომის მიხედვით;

- განალიზებულია საქართველოს მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა, მიმოხილულია მრეწველობის ფუნქციონირების დინამიკა, გაკეთებულია დასკვნა მისი დღევამდელი არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ, გამოკვლეულია მრეწველობის განვითარების შემაფერხებელი სამართებლივი გარემო და არსებული პრობლემები;

- გამოკვლეულია საქართველოსი არსებული სამართლებრივი გარემო, ამ გარემოს განმაპირობებელი აქტები და მისი გავლენა მრეწველობის სხვადსხვა დარგების განვითარებაზე;

- გაანალიზებულია მსოფლიოს ინდუსტრიული ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკა და საქართველოსათვის მათი გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა;

- გაანალიზებულია მრეწველობის სხვადსხვა დარგების განვითარების პერსპექტივები და მათი სტიმულირება სამართლებრივი ბაზის სრულყოფის გზით;

- გამოვლენილია მრეწველობის განვითარების ხელისშემშლელი გარემოებები და დადგენილია მრეწველობის განვითარების აუცილებლობა საქართველოში, გამოკვლეულია მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა სამართლებრივი უზრუნველყოფის და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების გზით.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება იმაშია, რომ მასში მოცემული რეკომენდაციები გამოადგებათ საქართველოს პარლამენტს და მთავრობას არსებული მრეწველობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის სრულყოფისათვის. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიძლება გამოიყენოს კვლევის შედეგები მრეწველობის განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული პროგნოზების ჩამოსაყალიბებლად. სამეცნიერო–კვლევით და სასწავლო დაწესებულებებს შეუძლიათ ისარგებლონ სადისერტაციო თემის შედეგებით მეცნიერული კვლევების ჩატარებისას და სამეურნეო სამართლის კურსის მსვლელობისას. სამრეწველო საწარმოებს შეუძლიათ ისარგებლონ კვლევის შედეგებით და დასახონ ღონისძიებები სამართებლივი ბაზის სრულყოფისათვის და არსებული კანონმდებლობის ფარგლებში უფრო მისაღები მობილურობის უზრუნველსაყოფად.

კვლევის შედეგების აპრობაცია- კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია სტატიების სახით მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში. აგრეთვე ძირითადი შედეგები მოხსენდა სტუ–ს ბოლო სამი წლის სტუდენტთა საერთაშორისო და პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებს.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაციის საერთო მოცულობა 151 გვერდი. ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, შედეგები და განსჯა, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის სია.

ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციაში განხილულია თემის გარშემო საქართველოში ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები:

ავტორების ოქროცვარიძე ავთანდილ, ლაჭყეპიანი თენგიზ, ოქროცვარიძე ლალი. [1] წიგნში გადმოცემულია მეცნიერ-ეკონომისტების შეხედულებები მსოფლიო ეკონომიკის შესახებ, განხილულია მსოფლიო მეურნეობის განვითარებისა და მეგაეკონომიკის წარმოშობის, ტრანსნაციონალიზაციის და ეკონომიკის ინფორმატიზაციის საკითხები, მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკის ანალიზი, რომელთა შესწავლის გარეშე თანამედროვე გლობალური მსოფლიო მეურნეობრივი სისტემის სრული წარმოდგენა შეუძლებელია. გაანალიზებულია მსოფლიო კონტინენტების, რეგიონებისა და ცალკეული სახელმწიფოების მიხედვით აქტუალური პრობლემები. მოცემულია მსოფლიო მიწის ფონდებისა და მიწათსარგებლობის სტრუქტურა, სხვა და სხვა გეოგრაფიულ ზონებში სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის მიმათულებები, განხილულია ცალკეული სახელმწიფოების ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ნიადაგობრივი და მცენარეული საფარი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა, წარმოების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმები, გატარებული აგრარული რეფორმები და სხვ.

ფეტელავა სლავა. [2] ნაშრომში მოცემულია კონკურენციის თეორიის ევოლუციისა და საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების პროცესი, საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის პრაქტიკული შედეგების სისტემატიზაცია და ჩამოყალიბებულია კონკურენციის განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა. წარმოჩენილია ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლითაც გამოირჩევა საქართველოს საკონკურენციო კანონმდებ-ლობა მსოფლიოში აპრობირებული მოდელებისაგან. დახასიათებულია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადგენილია საკონკურენციო სამართლის

რეალიზაციის შემაფერხებელი გარემოებები. შემოთავაზებულია ეტაპობრივი რანჟირება კონკურენციის კანონმდებლობის განვითარების პერიოდების მიხედვით და მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები. ნაშრომში თეორიულ გამოკვლევასთან ერთად განზოგადებულია ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მონოპოლიური ქცევების პრაქტიკა, რომელიც ეყრდნობა წლების განმავლობაში მიმდინარე კონკრეტულ სასამართლო დავებს კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სფეროში. ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერებისათვის, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილე პირებისათვის, სტუდენტებისათვის და საერთოდ კონკურენციის განვითარებისა და ხელშეწყობის (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართოწრისათვის.

ავტორების როდიონოვა ი.; კოკუციევა ტ. **[3]** წიგნი შეიცავს თეორიულ განყოფილების ბლოკს, პრაქტიკული ამოცანებს და განაცხადებს უნიკალურ სტატისტიკური მონაცემთა ბაზას მრეწველობის წამყვანი დარგების მიხედვით. წიგნი შედგება ორი დამატებითი ნაწილისაგან: თეორიული ნაწილი და პრაქტიკული ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის სტუდენტების. თითოეული სემინარი მომზადებული და დაკომპლექტებულია კითხვებით და ამოცანებით, რომლებსაც თან ახლვს გამოყენებული ლიტერატურის სია.

წიგნში განხილულია განვითარებადი გლობალური სამრეწველო სისტემა მსოფლიოში, როგორც მნიშვნელოვანი ნაწილი გლობალური ეკონომიკის. შესწავლილია მრეწველობის გლობალური სისტემა როგორც მეცნიერული კვლევის საგანი, განსაზღვრულია ინდუსტრიული სექტორის როლი მსოფლიო ეკონომიკაში, და ასევე განხილულია მრეწველობის განვითარების სხვადასხვა დონე სხვადასახვა ტიპის სახელმწიფოებში.

ძამუკაშვილი დ. **[4]** წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, გარდა ამისა იგი დაეხმარება

მხატვრული და ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს, მომღერლებსა და სხვა შემსრულებლებს, გამომგონებლებსა და მეწარმეებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საკუთარი უფლებების შეცნობასა და გამოყენებაში.

წიგნი შედგება სამი კარისაგან 1) საავტორო სამართალი, 2) სამრეწველო საკუთრების სამართალი, 3) ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტები.

პირველ კარში განხილულია საავტორო სამართლის ობიექტები, საავტორო უფლებათა სუბიექტები, პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებები, ავტორობის უფლება, განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები, უფლებათა გადაცემა და საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ფარგლები.

მეორე კარში განხილულია საპატენტო სამართალი, საპატენტო დაცვის ობიექტები, პატენტის გაცემის პროცედურა, საპატენტო უფლება-მოვალეობანი და დავების განხილვის წესები. ასევე კომერციული აღნიშვნების სამართალი ,სასაქონლო და მომსახურების ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები საფირმო სახელწოდება, სავაჭრო კაზმულობა. განსხვავებულია სასქონლო ნიშნების სახეობა, დაცვითუნარიანობა, სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლება-მოვალეობანი.

მესამე კარში განხილულია სასელექციო მიღწევა, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა, საწარმო-კომერციული საიდუმლოება (ნოუ-ჰაუ), ინტეგრალური სქემები და დომეინი.

ურიდია გონერის [5] წიგნი წარმოადგენს ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლებისა და ნაწილების განმარტებებს. განკუთვნილია მეწარმეების, სტუდენტების, ადმინისტრაციული ორგანოების, აუდიტორებისა და პროფესორებისათვის.

მეწარმეს, აუდიტორსა თუ სტუდენტს დაბეგვრის საკითხებზე სხვადსხვა აზრის მოსმენა და გაანალიზება ესაჭიროება. ამასთან გადასახადები და დაბეგვრა იმდენად მგრძნობიარე თემაა, რომ ეხება ყველას პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადის გადამხდელს, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რეზიდენტს და არარეზიდენტს.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს, რომელმაც გააერთიანა საკუთრივ საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, რის შედეგადაც მივიღეთ სისტემა, რომელიც მოითხოვს ნაკლებ სახელმწიფო ხარჯებსა და ადმინისტრირებას. ძალიან რთულია და პრაქტიკულად შეუძლებელიც, გარკვეული აბსტრაგირების გარეშე ყველა ფაქტობრივი მოვლენის ასახვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დონეზე, რაც საგადასახადო ნორმებს აშორებს პრაქტიკულ სამეწარმეო ცხოვრებას და განაპირობებს საგადასახადო კოდექსის კომენტარების აუცილებლობა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, წიგნში ასახულია შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებების ვრცელი სპექტრი, რაც წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის პრაქტიულ მექანიზმს.

ავტორის ალიქს ადამი.[6] წიგნი განკუთვნილია ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის რათა მათ შეისწავლონ სამართლებრივი ნორმები რომელთა დაცვით უნდა განახორციელონ საკუთარი საქმიანობა.

წიგნი შედგება შვიდი თავისაგან, პირველი თავი- შეიცავს სამართლის არსის განსაზღვრებას , ასევე განხილულია თუ რაში გვჭირდება სამართალი, რა განსხვავებაა კრიმინალურ და სამოქალაქო სამართალს შორის. როგორ იქმნება კანონები, აღწერილია ევროპული სამართალი, ადამიანთა უფლებების დაცვის აქტი, რომელიც მიღებულია 1998 წელს. განხილულია სასამართლო სისტემა და მეტი სიცხადისათის მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები. უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკული მაგალითები ახლავს წიგნის თითოეულ თავს.

მეორე თავი- ეძღვნება საკონტრაქტო და სავაჭრო სამართალს. ამ თავში აღწერილია კონტრაქტის შეთავაზების და მიღების წესები, ოფერტი და აქცეპტი. ასევე კონტრაქტის პირობები და პარტნიორების ურთიერთობები, ამ პირობების დაცვის ფარგლებში. ასევე განხილულია შეცდომები ხელშეკრულებებში, არასწორად პირობების განმარტება ან ორაზროვანი ნორმები. არაკანონიერი ხელშეკრულებების დადება, მათი გაუქმება და გაუქმების შემდგომ მხარეების ვალდებულებების შესრულების წესი.

ამავე თავში განხილულია სავაჭრო სამართლის ნორმები, თუ როგორ უნდა მოხდეს ვაჭრობის განხორციელება, მფლობელობის გადაცემა ერთი მხარიდან მეორეზე და მათ შორის ხელშეკრულების დადება.

მესამე თავში - განხილულია სამოქალაქო სამართალდარღვევები, დეფექტიანი საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

მეოთხე თავში - ეძღვნება შრომის კანონმდებლობას, დაქირავებულთა უფლებებს, მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობას და უსაფრთხოების უზრუნველყოფას სამსახურში.

მეხუთე თავში - წარმოდგენილია სამართლებრივი ნორმები რომლებიც არეგულირებს კომპანიების შექმნის მათი მართვის და გაუქმების წესებს. კომპანიების დირექტორების უფლება მოვალეობებს, ასევე საწარმოთა დაფუძნების და რეგისტრაციის წესებს.

მეექვსე თავში აღწერილია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები.

მეშვიდე ბოლო თავი დათმობილი აქვს კვლევის და შესწავლის უნარის შესამოწმებელ ტესტებს. ასევე მითითებულია დამატებითი რესურსები რომელთა საშუალებით შესაძლოა წიგნით შეძენილი ცოდნის გაღრმავება.

გერმანელი ავტორის ეუჰენ ვონ ბოჰ–ბავერკი [7] წიგნი ეძღვნება ეკონომიკურ სამართალს, რომელიც შეძლება საკამათო იყოს სხვადასხვა მკვლევარებისათვის. მნიშვნელოვანია გავავლოთ გამყოფი ხაზი ეკონომიკურ სამართალსა და ეკონომიკის მართვას შორის.

ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან. პირველი თავი ეძღვნება რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლებს, აქ განხილულია ეკონომიკური თეორიის მიერ კანონმდებლობის საშუალებით სახელმწიფოს დამოკიდებულებების განსაზღვრა ეკონომიკისადმი.

მეორე თავი ეხება ეკონომიკის მართვის და ეკონომიკური სამართლის ურთიერთკავშირს და წინააღმდეგობებს. მესამე თავში განხილულია კონკრეტული მაგალითები, საზოგადოების რეაგირების ეკონომიკური მოვლენების ცვალებადობისას. მეოთხე თავში შემოთავაზებულია სხვადასხავა ალტერნატივები საგადასახადო რეგულირების.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ [8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სოციალისტური სამოქალაქო სამართლის ნაცვლად, რომელიც არსებითად საჯარო სამართალი იყო, ქვეყანაში ამკვიდრებს კერძო სამართლს - ქონებრივ ურთიერთობებში კერძო პირთა ინიციატივისა და ბატონობის სფეროს. როგორც საბაზრო ეკონომიკა არ მოიაზრება კერძო საკუთრების გარეშე, ისე კერძო საკუთრება, მეწარმეობა, თავისუფალი ეკონომიკა - კერძო სამართლის გარეშე.

კოდექსი ემყარება სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეთა თანასწორობას, ნების ავტონომიას, ქონებრივ განცალკევებულობას; ამასთან, სახელმწიფო და პიროვნება თანასწორუფლებიანი მხარეებია.

კოდექსის ცენტრში დგას ადამიანი, მისი პიროვნება, საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია გარიგების დადების; სანივთო სამართლის; ვალდებულებითი სამართლის; ინტელექტუალური საკუთრების სამართლის; საოჯახო სამართლის და მემკვიდრეობითი სამართლის ნორმები.

ახვლედიანი ზურაბ „ვალდებულებითი სამართალი“ (მეორე გამოცემა) თბილისი-1999 გამომცემლობა „სამართალი“.

წიგნის ეს გამოცემა სრულყოფილია, როგორც თავისი სისტემით, ისე შინაარსით. მასში დამატებულია ვალდებულებითი სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორიცაა დავალების გარეშე სხვისი სხვისი საქმეების შესრულება, საბანკო გარანტია, თავდებობის ხელშეკრულება, საზიარო უფლებები, დელიქტური ვალდებულებანი. წიგნში წარმოდგენილია მთელი ვალდებულებითი სამართალი თავისი ზოგადი და კერძო ნაწილით.

მოცემული მონოგრაფია პირველი სერიოზული კვლევაა ვალდებულებითი სამართლის. მასში განხილულია ცივილიზაციის უაღრესად რთული პრობლემები, რომლებიც ძალიან მარტივად და გასაგებად არის გადმოცემული და ამდენად იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისათვის.

ავტორი პოპოვა ლუდმილა.[9] მისი წიგნი წარმოადგენს თეორიული დებულებებს მიმდინარე საგადასახადო სისტემების საზღვარგარეთის ქვეყნებში.

წიგნი შეიცავს ტესტ კითხვებს , გამოცდას და პრაქტიკულ სემინარების ჩატარებას სტუდენტებისთვის " გადასახადები და საგადასახადო ბრუნვის " და " საგადასახადო სისტემა უცხო ქვეყნებში " თემაზე. სასწავლო დროს სტუდენტებმა უნდა ისწავლონ არსი ეკონომიკური მოვლენების და საგადასახადო მექანიზმის გავლენა ამ მოვლენებზე, რის შემდგომაც შეძლებს მათ სისტემატიზირებას და

განიხილვას გავლენის სხვადასხვა ფაქტორების .იგი ამის შემდგომ აფასებს შედეგებს და ახდენს იდენტიფიცირებას რეზერვების ოპტიმიზაციის გადასახადების გადაუხდელობისას.

განკუთვნილია სტუდენტების, პედაგოგების ეკონომიკური ფაკულტეტის და ასევე სამაგისტრო , სადოქტორო მკვლევარებისათვის.

წიგნში აღწერილია საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემის წყობის საერთო პრინციპები; მიზანი საგადასახადო პოლიტიკის მისი განხორციელების ინსტრუმენტები, საგადასახადო ბრუნვის მნიშვნელობა მსოფლიო ვაჭრობის განვითარებაში, სხვადსხვა ქვეყნების ეროვნული სგადასახადო სისტემების მსოფლიო მსოფლიო საგადასახადო სისტემასთან ჰარმონიზაცია.

ასევე განხილულია ცალკეული ქვეყნების საგადასახადო სისტემები ისეთი ქვეყნების როგორიცაა საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, დანია , ნორვეგია, ფინეთი და ა.შ.

მიურეი როთბარდი [10] 35 წლის წინ გამოცემული როთბარდის ეს წიგნი დღესაც ერთ ერთი საუკეთესო სისტემური ანალიზია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის. ნაშრომში ავტორი მსუბუქად, რომ ვთქვათ გამოხატავს უნდობლობას სახელმწიფოს მიმართ და თვლის რომ მისი ჩარევა ეკონომიკაში არ არის საჭირო.

განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის განვითარებაში ჩარევის ძირითადი სახეები, მისი შედეგები და გამოწვეული კონფლიქტები. ასევე სამკუთხა ინტერვენცია რაშიც იგულისხმება ისეთი ბერკეტები სახელმწიფოს ჩარევის როგორიცაა ფასის კონტროლი; პროდუქტის კონტროლი: გრანტი მონოპოლიური პრივილეგია; სავალდებულო კარტელი; ლიცენზიები; სტანდარტები უვნებლობისა და ხარისხის შესახებ; ტარიფები; საემიგრაციო შეზღუდვები; ბავშვთა შრომის კანონები;

მინიმალური ხელფასის კანონები და სავალდებულო კავშირების; ანტიმონოპოლიური კანონები. და ა.შ.

წიგნში როთბარდს სურს აგვიხსნას რომ სახელმწიფოს ჩარევა არ არის ხსნა და რომ გამოსავალი არ უნდა ვეძებოთ მთავრობაში არამედ თვით ბაზარზე.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ [11] კოდექსში მოცემულია საქართველოს საგადასახადო სისტემა: საგადასახადო ორგანოები, მათი უფლებები და მოვალეობები, გადასახადის გადამხდელები მათი უფლებები და მოვალეობები.

კოდექსით განსაზღვრულია გადასახადის სახეები და გადასახადის გადახდის ადმინისტრირების წესები. საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსით მოცემული გადასახადის ექვსი სახეობა: 1) საშემოსავლო გადასახადი, 2) მოგების გადასახადი, 3) დამატებითი ღირებულების გადასახადი, 4) აქციზი, 5) იმპორტის გადასახადი, 6) ქონების გადასახადი. კოდექსში განხილულია თითოეული გადასახადის განაკვეთი, საგადასახადო ვალდებულებების შემსრულებელ პირთა წრე და გადასახადის გადახდის ვალდებულება. კოდექსის ენა შესაძლოა გაუგებარი იყოს ზოგადად საზოგადოებისათვის, მაგრამ საკმაოდ დაწვრილებით არის განმარტებული სამართლებრივი ნორმები ეკონომისტებისა და იურისტებისათვის.

ავტორების ნადარაია ლევან, როგავა ზვიად, რუხაძე კახა, ბოლქვაძე ბონდო [12] ნაშრომში ასახულია საგადასახადო სისტემის მინშვნელობა მეწარმეთათვის. საგადასახადო სამართალი სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთათვის ხელშემწყობი სამართლებრივი გარემოს ერთერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. ასეთი გარემოს ჩამოყალიბებისთვის კი აუცილებელია, ქართული საგადასახადო სამართალი სამართლიან და განჭვრეტად პირობებს სთავაზობდეს

გადასახადის გადამხდელებს. ქართული საგადასახადო სამართლის განვითარება გვიჩვენებს რომ კანონმდებელი, როგორც წესი, ცდილობს, სწორედ ამ კეთილშობილური მიზნით იხელმძღვანელოს. იმასაც დავძენთ, რომ მისასალმებელი იქნება, თუკი საგადასახადო სამართლებრივი საკითხები, არა მარტო პოლიტიკურ, არამედ საექსპერტო და აკადემიური დისკუსიაშიც უფრო თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს. საგადასახადო კოდექსის ნორმების კომენტირებასთან ერთად, სწორედ ეს ამოცანა დაედო საფუძვლად კომენტარის ავტორთა ძალისხმევას. ავტორების მნიშვნელოვანმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ, ვფიქრობთ, სასიკეთო გავლენა იქონია ტექსტის შინაარსობრივ მხარეზე. კომენტარში დაწვრილებით არის განხილული საგადასახადო კანონმდებლობის კომპექსური და, უმთავრესად, პრაქტიკული პრობლემებით ნაკარნახევი ბევრი საკითხი. კომენტატორები ასევე ეხებიან საკანონმდებლო ტექნიკის თემებს და მისი დახვეწის მიზნით, საკუთარ მოსაზრებებს სთავაზობენ მკითხველს.

ნადარაია ლევან, როგავა ზვიად, რუხაძე კახა, ბოლქვაძე ბონდო „საქართველოს საგადასახადო კოდექსი კომენტარი წიგნი მეორე [13]

საგადასახადოსამართლებრივი აზრი მუდმივ განვითარებას განიცდის. მოსაზრება, რომელიც დღეს საყოველთაოდ აღიარებულად გვეჩვენება, ხვალ, შესაძლოა, ეჭვის ქვეშ დადგეს და შეიცვალოს. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, თუკი ავტორთა მიერ გამოთქმული აზრები მკითხველთა ან საგადასახადო სამართლის სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს. ჩვენც, შესაძლოა, ბოლომდე არ ვიზიარებდეთ ავტორთა მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას. წინამდებარე კომენტარის შემქმნელებმა ერთ-ერთ მიზნად სწორედ საგადასახადო სამართლებრივ თემებზე ფართო საექსპერტო საზოგადოებაში დისკუსიის ხელშეწყობა დაისახეს. მკითხველი ინტერესით მიიღებს საგადასახადო კოდექსის კომენტარს. მოხარული ვიქნებით,თუკი დაინტერესებული

საზოგადოება თავიანთ მოსაზრებებს და შენიშვნებს გამოთქვამს ნაშრომის მიმართ, რაც არა მარტო ავტორთა მომავალ საქმიანობაში აისახება, არამედ ხელს შეუწყობს ქართული საგადასახადო სამართლის შემდგომ დახვეწას, აცხდებს რედაქტორი რომლის სიტყვა ერთვის კომენტარებს.

„საქართველოს შრომის კოდექსი“ [14] საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს შრომის კოდექსი” ბოლო რედაქციით 2010 წელს იქნა მიღებული და მას შემდეგ კოდქსში 2 ცვლილება შევიდა. 2006 წელს კი იქნა

მიღებული ,,საქართველოს შრომის კოდექსი”, რომელიც თვისობრივად ახალ პრინციპებს დაეფუძნა, რაც ძირითადად შრომითი ურთიერთობების სახელმწიფოს მხრიდან ,,ნაკლებ” რეგულაციას ეფუძნება და ერთიერთობები ძირითადად დამსაქმებელსა და დასაქმებულის შეთანხმებაზეა დამოკიდებული. შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაციის შედეგად საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური შრომის კოდექსი აქვს. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

კანონით განსაზღვრულია ისეთი საკითხები როგორიცაა: სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა; წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე; შრომითი ხელშეკრულების დადება; დამსაქმებლის მითითების უფლება, შრომითი ხელშეკრულების პირობების არაარსებითი შეცვლა და შეცვლა; მივლინება; შრომის შინაგანაწესი; სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო; შვებულება; შვებულების ხანგრძლივობა; შვებულების მიცემის წესი; შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო; შრომის ანაზღაურება; შრომის პირობების დაცვა; შრომითი ურთიერთობის

შეცვლა, შეჩერება და შეწყვეტა; კოლექტიური შრომითი ურთიერთობა; პასუხისმგებლობა და დავა; გაფიცვა და ლოკაუტი. მოცემულია სამართლებრივი ნორმები რომლებიც არეგულირებენ შრომითი ურთიერთობის ყველა ასპექტებს.

„საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“2009 წელი. [15] ეს კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.კანონში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა: საარბიტრაჟო შეთანხმება; არბიტრაჟის შემადგენლობა, არბიტრთა რაოდენობა, არბიტრთა დანიშვნის და აცილების წესი; არბიტრაჟის უფლებამოსილება; საარბიტრაჟო განხილვა; საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა და საქმის განხილვის შეწყვეტა; საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და გაუქმება; საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

იმედაშვილი გულნარა „საგადასახადო საქმე“ დამტკიცებულია სახელმძღანელოდ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. თბილისი 2010 წელი.[16]

ნაშრომში განხილულია საგადასახადო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები, იგი შედგენილია საგადასახადო საქმის სასწავლო პროგრამის შესაბამისად და გათვალისწინებულია ის ცვლილებები, რაც განხორციელდა საგადასახადო სფეროში 2004-2009 წლებში.

ნაშრომში წარმოდგენილ თემებში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა; გადასახადის არსი და ფუნქციები; გადასახადის სახეები და მისი კლასიფიკაცია; გადასახადის ელემენტები; საგადასახადო კანონმდებლობა; საგადასახადო ორგანოები; საქართველოს საგადასახადო

სისტემა და მისი ელემენტები; საგადასახადო კონტროლის განხორციელება; საგადასახადო ვალდებულების წარმოშობა და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებები; საგადასახადო დავა, მისი გადაწყვეტის ფორმები, საგადასახადო სამართალდარღვევები.

ნაშრომი განკუთვნილია ბიზნესისა და მართვის და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს საგადასახადო კანონმდებლობის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

შედეგები და განსჯა.

2.1.საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და სამეწარმეო ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა.

სამრეწველო წარმოება საქართველოსათვის ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური აღმავლობის და განვითარების სფეროში. მრეწველობის განვითარება ნიშნავს ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარებას და ეკონომიკურ წინსვლას. სამწუხაროდ საქართველოს დღევანდელი ეკონომიკის მდგომარეობით ვერ ვიამაყებთ და ინდუსტრიულ სახელმწიფოდაც ვერ მოვიხსენიებით . თუ გადავხედავთ არც თუ ისე შორეულ წარსულს აღმოვაჩენთ, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის პერიოდში კარგად იყო განვითარებული მრეწველობის ისეთი დარგები როგორიცაა: მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. კომუნისტური პარტიის მიერ წარმოებული სოციალური მშენებლობა ითვალისწინებდა მრეწველობის ინდუსტრიალიზაციას, მსხვილი წარმოების უპირატეს განვითარებას. ინდუსტრიალიზაციამ საქართველოში სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწია, თუმცა ეკონომიკური ეფექტი უფრო დიდი იყო ვიდრე კოლექტივიზაციისა. ინდუსტრიალიზაციის პერიოდში მეტი ინტენსივობით ამუშავდა ჭიათურის მარგანეცის ქარხანა, ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოება, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. 1933 წელს ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა. პირველი წარმატებები მოპოვებულ იქნა ქვეყნის ელექტროფიკაციაში. ძველი სამრეწველო სიმძლავრეების ამოქმედებამ და ახალი საწარმოების მშენებლობამ შესაძლებელი გახადა მუშახელის დასაქმება.

სამრეწველო წარმოება სახელმწიფოთა ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი სფეროა. მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების საფუძველთა-საფუძველს ეკონომიკის აღმავლობისადმი ყურადღება განაპირობებს. ამტომაც არის, რომ მრეწველობის მხრივ განვითარებული ქვეყნებში მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ეროვნული და ბიუჯეტის შემოსავლების ნახევარზე მეტი სამრეწველო წარმოებაში იქმნება.

წვრილი კაპიტალისტური საწარმოები XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღმოცენდებოდნენ ძირითადად ისეთ დარგებში, სადაც არ არსებობდა ხელოსნური წარმოება (მაგალითად, საპნის, კრამიტის, ზეთსახდელი, არყის სახდელი წარმოება და სხვ.), ანდა სადაც ხელოსნური პროდუქცია ვერ აკმაყოფილებდა ბაზრის მოთხოვნილებას.

შედარებით მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები საქართველოში აღმოცენდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, 20–30-იანი წლებიდან, როდესაც ტექნიკური პროგრესი ევროპაში და აგრეთვე რუსეთშიც მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს. საქართველოს სამრეწველო განვითარებას არ შეეძლო არ განეცადა ევროპისა და რუსეთის მრეწველობის გავლენა. საქართველოში დაარსებულ პირველსავე შედარებით მსხვილ საწარმოებში ვხვდებით უცხოეთიდან თუ რუსეთიდან შემოტანილ მანქანა-იარაღებს (დაზგებს, ღუმელებს, ქვაბებს და სხვ.), მაგრამ ტექნიკური სიახლენი მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავდნენ წარმოებას. ხელით შრომა ჯერ კიდევ გაბატონებული იყო. სათანადო მომზადების მქონე ადგილობრივი კადრების არარსებობა ქმნიდა წინააღმდეგობას ტექნიკურ დონესა და მუშათა დაბალ კვალიფიკაციას შორის. ამიტომ საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან სხვადასხვა დანადგარებთან ერთად იწერდნენ კვალიფიცირებულ ოსტატებს და მუშებსაც. მანქანური ტექნიკის დანერგვის გზაზე არსებული დაბრკოლებანი (დანადგარების შემოტანის დიდი ხარჯები, კვალიფიცირებული მუშათა კადრების და აგრეთვე სათანადო ენერგეტიკული ბაზის არარსებობა) განაპირობებდა ხელით

შრომის ბატონობას. მთელ რიგ საწარმოებში, ხელით მოჰყავდათ მოძრაობაში დაზგებიც კი, თუმცა ამ მიზნით გამოიყენებოდა ცხოველების და წყლის ენერგიაც.

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში არსებულ შედარებით მსხვილ საწარმოთაგან ყურადღებას იმსახურებს ფრანგი ვაჭრის კასტელას მიერ თბილისში ხაზინის დახმარებით დაარსებული აბრეშუმსახვევი და საძახავი "ფაბრიკა", რომელიც 1828 წლიდან ამოქმედდა120. კასტელას სიკვდილის შემდეგ იგი ხაზინის ხელში გადავიდა და, როგორც სახაზინო საწარმომ, იარსება 40-იანი წლების დასაწყისამდე. "ფაბრიკაში" თავიდანვე მოქმედებდა საფრანგეთიდან გამოწერილი დაზგები და სხვა მოწყობილობა. იქიდანვე იყვნენ მოყვანილი კვალიფიცირებული ოსტატებიც, მაგრამ წამყვან როლს წარმოებაში ასრულებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაქირავებული მუშები. უკანასკნელთა რიცხვი ზოგჯერ 50-მდე აღწევდა, ხოლო საშუალოდ 15 – 20 კაცს შეადგენდა

1903 წლისათვის ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი 20-ით გაიზარდა და 59 ერთეული შეადგინა, მუშათა რაოდენობა კი 224 კაცი იყო, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობამ 309970 მანეთი შეადგინა. ამ ფაბრიკა-ქარხნებს შორის 1983 წლის მონაცემებით 20 სააგურე და 9 საკრამიტე იყო, სადაც მუშათა რაოდენობა 1-2 კაცს შეადგენდა. ყველაზე მსხვილ საწარმოებად ითვლებოდა თამბაქოს ფაბრიკები. ორ ასეთ ფაბრიკაში 120 კაცი მუშაობდა, რომლებიც წლიურად 180000 მანეთის პროდუქციას ამზადებდა. ასევე მნიშვნელოვანია მაშინდელი შამპანურის ქარხანა, სადაც მუშაობდა 11 კაცი და უშვებდა 150000 მანეთის პროდუქციას .

საქართველოს დღევანდელი მრეწველობა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 1990 წლიდან 2003 წლამდე სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შემცირებულია 12-ჯერ და მეტად. წარმოების მოცულობის ასეთი მკვეთრი დაცემის გამო საქართველოს უკვე არ განიხილავენ განვითარებული

ინდუსტრიულ სახელმწიფოდ და იგი განვითარებადი - ,,მესამე სამყაროს~-ქვეყნების რიგში აღმოჩნდა. წარმოების მოცულობა დაეცა ეკონომიკის ყველა სექტორში, მაგრამ იგი ყველაზე საგრძნობია მრეწველობაში. აღნიშნული განაპირობებს მოსახლეობის შემოსავლების სიდიდესაც, რომელიც აგრეთვე დაცემულია. ერთწევრიანი ოჯახისათვის ჩვენთან მოქმედი სტატისტიკით საარსებო მინიმუმი განსაზღვრულია 150,7 ლარით, საშუალოდ ერთი ოჯახისათვის კი _ 263,7 ლარით. ერთ თვეზე გაანგარიშებით.

საქართველოში არსებული საწარმოო სიმძლავრეები და წარმოებული პროდუქციის მოცულობაც 80-იანი წლებისათვის შეესაბამებოდა განვითარებული სახელმწიფოს ანალოგიურ მაჩვენებლებს.

მრეწველობა საქართველოს ეკონომიკაში წამყვან დარგს წარმოადგენდა. საკმარისია ითქვას, რომ იგი აწარმოებდა ქვეყნის საერთო პროდუქციის 58-59 პროცენტს, ხოლო ამ დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 38-40 პროცენტს შეადგენდა. ამჟამად საქართველოში მთლიანად მრეწველობა და ცალკეული საწარმოები მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიან, მრავალჯერ შემცირდა სამრეწველო წარმოების მოცულობა 1995-2000წ. ძირითადად აღინიშნებოდა კლების ტენდენციებით.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად დაეცა, ისევე როგორც ყველა სხვა მის წევრ სახელმწიფოში. შეჩერდა ყველანაირი წარმოება ფაბრიკა ქარხნები ნაწილებად დაიშალა და ჯართად გაიყიდა. შეიძლება ითქვას რომ პოსტსაბჭოთა პერიოდი ყველაზე მტკივნეული საქართველოსათვის აღმოჩნდა.

90-იან წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა უაღრესად მძიმე, უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონის

ეკონომიკაზე. ეკონომიკური რღვევის შედეგად ფაქტიურად საეჭვო გახდა რეგიონში სამთო-მომპოვებელი, მეტალურგიული, კვების, მსუბუქი, ხე-ტყის გადამამუშავებელი, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური საწარმოთა შენარჩუნებისა და ფუნქციონირების შესაძლებლობა, დაიკარგა საგარეო და შიდა ბაზრის ისეთი სეგმენტები, სადაც მათი პროდუქცია ტრადიციულად დომინირებდა. დანაკარგები იმდენად მძიმე აღმოჩნდება, რომ სოლიდური ინვესტირების პირობებშიც კი მათი რეაბილიტაციის საკითხი დღესაც უაღრესად პრობლემატურია.

უკიდურესად დაეცა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები. ფინანსურ შედეგს სისტემატიურად აუარესებდა ხანდაზმული, უიმედო კრედიტორული დავალიანებები და მათზე დარიცხული საურავები. ასეთ პირობებში საბაზრო კონიუქტურის მცირე რყევაც კი წარმოების პარალიზებას იწვევდა.

პერმანენტულად მცირდებოდა მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვი, განსაკუთრებით პრობლემატურია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შენარჩუნება. აღნიშნულმა შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეუქმნას მაღალტექნოლოგიური საწარმოების აღდგენას მომავალში.

განსაკუთრებით დაზარალდა მანქანათმშენებლობის სექტორი, დღეისათვის მრეწველობის ამ დარგში რამოდენიმე საწარმო არის მხოლოდ, ესენია თბილისის საავიაციო ქარხანა, ვაგონთმშენებელი, ელმავალთმშენებელი და ფოთის გემთმშენებელი.

თბილავიამშენი (ყოფილი „თბილისის საავიაციო ქარხანა“) - <u>სააქციო საზოგადოება</u> „თამ“ (თბილავიამშენი), მანქანათმშენებლობის ყველაზე მსხვილი კომპანია კავკასიაში, ძირითადი საქმიანობის სფერო - თვითმფრინავმშენებლობა. 2005 წლიდან სხვადასხვა საწარმოებთან

ერთად თამ ჯგუფის შემადგენლობაში. ბიზნესის დივერსიფიკაციისა და საბაზრო მოთხოვნებთან უკეთ ადაპტირების მიზნით კომპანიამ 90-იანი წლებიდან დაიწყო სხვადასხვა დანიშნულების სამოქალაქო პროდუქციის წარმოება, ხოლო მოგვიანებით სამოქალაქო ავიამშენებლობის მზარდ სეგმენტში ინვესტირება.[30]

2004 წლამდე სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოს სახით არსებობდა. 2005 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვის წესით დაახლოებით 67მილიონ დოლარად გადაეცა საწარმოს კოლექტივს, შპს „თბილავიამშენს“ (დ. 2003). ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „თამ“ (თბილავიამშენი), მთავარი საქმიანობის სფერო - თვითმფრინავთმშენებლობა (პრივატიზაციის პირობის თანახმად).

2010 წლის 1 ივლისს გაკეთდა თავდაცვის სამინისტროს და თბილავიამშენის ერთობლივი განცხადება, რომ სააქციო საზოგადოების ძირითადი მფლობელი შპს „თბილავიამშენი“ სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის სსიპის სტატუსით, რაც სამხედრო-სარემონტო-სამრეწველო კომპლექსის შექმნას გულისხმობს. გადაწყვეტილება დიდი ხნის თანამშრომლობით და სახელმწიფო კონტრაქტების პრივილეგირებით აიხსნა (ეს უკანასკნელი პრივატიზაციის ერთ-ერთი პირობა იყო).

საწარმოში ამჟამად დასაქმებულია დაახლოვებით 2300 ადამიანი. მას მინიჭებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001-2000. კომპანიამ ბოლო დროს საკუთარი მოწყობილობა/დანადგარების მოდერნიზაცია და კომპიუტერიზაცია მოახდინა, რაც უფრო თანამედროვე დიზაინის პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა.

„თბილავიამშენის“ მფლობელობაში რამდენიმე საამქრო და ლაბორატორიაა:

- მეტალურგიული საწარმო

- შტამპური კვერვის საწარმო
- მექანიკური დამუშავების საწარმო
- თვითმფრინავის საბოლოო ასაწყობი საწარმო
- საფრენ-საცდელი საწარმო (2500მX80მ ასაფრენ-დასაფრენი ბილიკით)
- სპეციალური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების საწარმო
- საქარხნო ლაბორატორიები
- საცდელ-საკონსტუქტორო ბიურო

სს "თბილავიამშენის" საცდელ–საკონსტრუქტორო ბიურო (სსბ ან ОКБ) შეიქმნა 2006 წლის იანვარში, ადრე არსებული საინჟინრო სამმართველოს ბაზაზე. სსბ–ს გააჩნია მძლავრი კომპიუტერული ბაზა და მაღალკვალიფიციური საინჟინრო პერსონალი. სსბ–ში ხორციელდება ახალი პროექტების შემუშავება, საინჟინრო გამოთვლები თანამედროვე მეთოდებით (აეროდინამიკა, სიმტკიცე, საიმედოობა), საწარმოო დოკუმენტაციის მომზადება, სერტიფიცირება და სხვა სამუშაოები. უკანასკნელი 2 წლის მანძილზე სსბ–ში დაპროექტდა ორი თანამედროვე ბიზნეს–კლასის რეაქტიული თვითმფრინავი TAM–JET და TAM–AIR (ეს უკანასკნელი შეიქმნა აშშ–ში ქართველი ინჟინრების მიერ, ამერიკულ კომპანია EPIC AIR –თან ერთად). ორივე მათგანმა წარმატებით გაიარა საფრენოსნო გამოცდები და ამჟამად ელოდება სერტიფიცირებას. სსბ–ში პროექტირებისათვის გამოიყენება მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე მძლავრი ავტომატიზირებული პროექტირების სიტემა CATIA V5, რომელიც უკვე 6 წელია რაც დანერგილია კომპანიაში, როგორც ძირითადი სისტემა. გარდა ამისა, ასევე გამოიყენება სიმტკიცეზე გათვლის კომპიუტერული პროგრამა NASTRAN-ი.

შ.პ.ს. “ვაგონმშენებელი კომპანია” 2005 წელს შეიქმნა. იგი მდებარეობს ქ. რუსთავში. კომპაქტურად მოწყობილი და ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა სრულიად ახალ შესაძლებლობებს ხსნის სარკინიგზო ტრანსპორტის მშენებლობისა და მოდერნიზაციის დარგში. იგი ფაქტობრივად მემკვიდრეა სს “ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის”, რომელსაც საუკუნოვანი გამოცდილება გააჩნია სამგზავრო და სატვირთო ვაგონების მშენებლობის საქმეში.[30]

რუსთავის ვაგონმშენებელი კომპანია დაარსების დღიდან თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით აქტიურად შეუდგა ახალი სხვადასხვა ტიპის ვაგონების შექმნას და მოდერნიზებას.

დაიწყო ქართულ-ჩინური (EMV) ელექტრომატარებლის მშენებლობა, რომელშიც საქართველოს ვაგონმშენებელთა წილობრივი მონაწილეობა 60 %-ს აღემატება.

რუსთავის ვაგონმშენებელი კომპანია 2010 წლიდან იწყებს სრულიად ახალი თაობის სამგზავრო ელექტრომატარებლების მშენებლობას, ასევე ახალი ტიპის სატვირთო ვაგონების წარმოებას, რაც თავის მხრივ ახალი სიტყვაა ქვეყნის მასშტაბით სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის განახლების საქმეში.[32]

საწარმო პარალელურად გააგრძელებს ყველა ტიპის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზების, შეკეთების, კაპიტალური რემონტისა და სხვა სახეობის სამუშაოებს.

ახალი (EMV) ტიპის ელექტრომატარებლის ძირითადი მახასიათებლებს გაეცვნენ შუა აზიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის რკინიგზების ხელმძღვანელები, მათ დიდი ინტერესი გამოთქვეს და მზად არიან რუსთავის “ვაგონმშენებელ კომპანიას” ანალოგიური ელექტრომატარებლის დამზადება შეუკვეთონ. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ქვეყნის ბიუჯეტში ჰოლდინგმა 60 მილიონ ლარზე მეტი გადაიხადა.

ამ ორი სამრეწველო საწარმოს წარსულისა და აწყმოს მიხედვით შეიძლება იმედი ვიქონიოთ რომ სახელმწიფოს მიერ სათანადო კანონმდებლობის მიღებით გარკვეულწილად უზრუნველყოფილი იქნება მათი მომავალი განვითარება და მსგავსი საწარმოების რიცხვის ზრდა.

მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა შიდა ბაზრის დაუცველობა, რაც მეწარმეს აიძულებს შეწყვიტოს ფუნქციონირება ან ჩრდილოვან სექტორში გადაინაცვლოს. ეს კი რა თქმა უნდა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ლეგალური ბიზნესის განვითარებას.

საქართველოში მრეწველობას ვერ ვუწოდებთ ეკონომიკის წამყვან დარგს მიუხედავად იმისა რომ ზრდა აშკარად შესამჩნევია, მდგომარეობა მაინც არ არის სახარბიელო.თუ პარალელს გავავლებთ სხვა ქვეყნებთან სადაც მრეწველობა წამყვანი დარგია. განსხვავებას უკეთ დავინახავთ. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი მეზობელი ქვეყანა აზერბაიჯანი.

აზერბაიჯანში მრეწველობა ერთ-ერთი განვითარებული დარგია ქვეყნის ეკონომიკის. ძირითადად მოიცავს მანქანათმშენებლობას ,მეტალურგიას, საწვავ-ენერგეტიკულ, ქიმიურ, სავაჭრო და სხვა მიმართულებებს.“ ღია კარის „ პოლიტიკის შედეგად დღესდღეობით ფუნქციონირებს ორასამდე უცხოური კაპიტალის მონაწილეობით დაფუძნებული სამრეწველო საწარმო.

1995 წლისათვის მთლიანი წარმოების 5,5%-ს შეადგენდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება, 2008 წლისათვის კი 75%-მდე გაიზარდა.როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 2005 წლიდან 2010 წლამდე საგრძნობლად გაიზარდა გაიზარდა ასევე ძირითადი საწარმოო ფონდები. მეტი თვალსაჩინოებისათვის 2010 წლის სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ღირებულება გადავიყვანოთ ლარებში. დღევანდელი კურსის მიხედვით ერთი აზერბაიჯანული მანათი

2.12 ლარია პროდუქციის მოცულობის ღირებულება 2010 წლისთვის 58.201.208 (მლნ.) ლარია.(ცხრილი 1)

ცხრილი 1

აზერბეიჯანის მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები[1]

	2005	2006	2007	2008	2009	2010
პროდუქციის მოცულობა (ღირებულება მლნ.მანათი)	9 308.8	15544.0	22495.6	29773.3	22563.6	27453.4
დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი)	193.2	197.2	208.3	210.3	192.3	185.1
დასქმებულთა თვიური ნომინალური ხელფასი(მანათი)	196.9	261.6	346.0	426.0	412.4	463.0
ძირითადი საწარმოო ფონდები (მლნ.მანათი)	18225.1	21029.1	28466.8	30660.1	34788.7	37255.1

იგივე თანმიმდევრობით განვიხილოთ საქართველოს სამრეწველო მდგომარეობა 2005-2010 წლისათვის. (ცხრილი2)

[1] იხილეთ საიტი: http://azerbaijan.az/portal/Economy/Industry/Industry_r.html

ცხრილი. 2.

საქართველოს მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლები[2]

	2005	2006	2007	2008	2009	2010
პროდუქციის მოცულობა (ღირებულება მლნ.ლარი)	285.1	779.0	583.3	821.8	797.1	849.7
დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი)	94324	90311	88398	85711	93039	95849
დასქმებულთა თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)	230.3	3078	420.7	586.6	537.4	595.1
ძირითადი საწარმოო ფონდები (მლნ.ლარი)	1985.2	2124.4	2651.8	3276.2	3459.7	3856.2

ამ ცხრილების ერთმანეთთან შედარების შემდგომ ძნელია ისეთივე ოპტიმიზმი შეინარჩუნო თუმცა ურიგო არ იქნება თუ ყურადღებით შევისწავლით იმ ღონისძიებებს რასაც ატარებს აზერბაიჯანი მრეწველობის გასავითარებლად. მომავალში ისინი აპირებენ მეტი ყურადღება დაუთმონ ნავთობის გადამამუშავებელ წარმოებას ასევე სხვა დასხვა სახის გადამამუშავებელ მიმართულებებს. 2008-2011-წლის მათი ძირითადი მიზანი სამრეწველო სექტორის განვითარებაში წარმოების მაღალტექნოლოგიური, კონკურენტული და ექსპორტზე გამოშვებული საქონლია, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს,

[2] მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან.www.geostat.ge

გაფართოების სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები, გაუმჯობესება სახელმწიფოს ინტერვენციისა სამრეწველო კომპლექსებში და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დღეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ვიდრე წინა წლებში. აქედან გამომდინარე მრეწველობის მაჩვენებლებიც უკეთესია. 2011 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მრეწველობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მრეწველობის სექტორის ბრუნვამ 2011 წელს შეადგინა 6,540,7 მლნ. ლარი (ზრდა 18.1 %), ხოლო გამოშვების მოცულობამ კი 5,669,7 მლნ. ლარი (ზრდა 16,9%)

ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგ მიმართულებებში:

- დამამუშავებელი მრეწველობა - 14.3%
- ელექტროენერგიით, გაზითა და წყლით მომარაგება - 8.9%
- პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ - 5.3 %
- სამთომოპოვებითი მრეწველობა - 6.5% [3]

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნოვით, სახელნწიფოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია ვაჭრობის სექტორს (16,8%), ასევე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობის სექტორი (16,1%).

მრეწველობაში ყველაზე დიდი წილი დამამუშავებელ მრეწველობას უკავია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 9.1%-ს შეადგენს, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება განაწილება 3.0%-ს, პროდუქტის გადამუსავება შინამეურნეობების მიერ 3.0%-ს , ხოლო სამთო-მოპოვებითი მრეწველობა 1.0 %-ს

[3]www.geostat.ge

2010 წელს მრეწველობის სექტორის ბრუნვის მოცულობა 19,6 პროცენტით გაიზარდა 2009 წელთან შედარებით. მთლიანად 1999 წლიდან 2011 წლამდე მრეწველობის ბრუნვის მოცულობა გრაფიკში შემდეგნაირად გამოიყურება. (იხ.გრაფიკი 1)

2010 წელს 2003 წელთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე დიდი 133.3 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოებაში, 80.4 პროცენტიანი ზრდა აღინიშნა ნახშირის მოპოვებაში, ხოლო მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება გაიზარდა 72.2 პროცენტით.



ნახაზი 1. მრეწველობის ბრუნვის მოცულობის გრაფიკი 1999-2011წლები.

ასევე მაღალი ზრდის მაჩვენებლები აღინიშნება, ეკონომიკური საქმიანობის შემდეგ სახეობებში:

- ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-40.2%
- ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოება-32.7%

- ქაღალდის მრეწველობა და საგამომცემლო საქმიანობა-30.1%
- სამთო-მოპოვებითი მრეწველობა -29.4%
- ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება- 26.8%
- ქიმიური წარმოება-26.6%
- დამამუშავებელი მრეწველობა -26.5%
- ლითონის მადნების მოპოვება-24.4%
- საკვები პროდუქტების (სასმელის ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება-21%

საინტერესოა, რომ ჩამოთვლილი ეკონომიკური საქმიანობების შედეგად წარმოებული პროდუქციის ბრუნვის მოცულობამ 2011 -2012 წლებში ზრდის ნაცვლად საგრძნობლად იკლო (იხ. ცხრილი 3). მიუხედავად იმისა რომ 2010 წლიდან 2011 წლამდე მრეწველობის დარგის ბრუნვის მოცულობა 2 მილიარდით გაიზარდა.

მრეწველობის დარგის მიერ გამოშვებული პროდუქცია 1999 წელს 1 მილიარდ ლარს შეადგენდა, შემდგომ წლებში პროდუქციის ზრდა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა 2007- 2009 წლებში გამოშვებული პროდუქცია 3.6 მილიარდი ლარიდან 3.8 მილიარდამდე გაიზარდა ,მხოლოდ აქ გასათვალისწინებელია 2008 წლის ომი და მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური განვითარების შეფერხება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2011 წლის პირველ კვარტალში, მრეწველობის სექტორის ბრუნვის მოცულობამ 1,5 მლრდ. ლარი, გამოშვების მოცულობამ კი 1.2 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც შესაბამისად 34.4 და 27.7 %- ით აღემატება 2010 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებს.

ცხრილი 3.

პროდუქციის ბრუნვის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით 2011-2012წლის I/II/III კვარტალი.

	2011 წელი	2012/ I კვარტალი	2012/II კვარტალი	2012/III კვარტალი
ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეული	107.9 ლნ.ლარი	23.3 მლნ.ლარი	21.9 მლნ.ლარი	23.9 მლნ.ლარი
ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოება	70.8 მლნ.ლარი	12.0 მლნ.ლარი	20.1 მლნ.ლარი	21.1 მლნ.ლარი
ქაღალდის მრეწველობა და საგამომცემლო საქმიანობა	224.1 მლნ.ლარი	54.5 მლნ.ლარი	52.2 მლნ.ლარი	82.3 მლნ.ლარი
სამთო მოპოვებითი მრეწველობა	79.9 მლნ.ლარი	17.2 მლნ.ლარი	20.1 მლნ.ლარი	41.2 მლნ.ლარი
ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება	67.8 მლნ.ლარი	10.0 მლნ.ლარი	8.7 მლნ.ლარი	9.0 მლნ.ლარი
ქიმიური წარმოება	453.3 მლნ.ლარი	82.0 მლნ.ლარი	120.7 მლნ.ლარი	124.4 მლნ.ლარი
დამამუშავებელი მრეწველობა	5074.3 მლნ.ლარი	1034.1 მლნ.ლარი	1299.1 მლნ.ლარი	1485.6 მლნ.ლარი
ლითონის მადნების მოპოვება	141.3 მლნ.ლარი	38.4 მლნ.ლარი	22.4 მლნ.ლარი	21.2 მლნ.ლარი
საკვებიპროდუქტების და თამბაქოს წარმოება	2162.1 მლნ.ლარი	432.6 მლნ.ლარი	515.8 მლნ.ლარი	600.9 მლნ.ლარი

2010 წელს გამოშვებულმა პროდუქციამ 4.8 მილიარდ ლარს , ხოლო 2011 წელს 6.4 მილიარდ ლარს მიაღწია. ერთი წლის გამნავლობაში დარგის მიერ გამოშვებული პროდუქცია 2.4 მილიარდი ლარით გაიზარდა რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მრეწველობის განვითარების პერსპექტიულობას. (ნახაზი 2.)



ნახაზი 2. მრეწველობის დარგის პროდუქციის გამოშვება 1999-2011წლები.

რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკის სფეროების და სექტორების მიხედვით აქაც საკმაოდ დიდი წილი უჭირავს მრეწველობაში ჩადებულ ინვესტიციებს. 2010 წელს მთლიანად ეკონომიკის სფეროში 814.5 მლნ. ლარი ჩაიდო უცხოური ინვესტიცია აქედან მრეწველობაში 175.3 მლნ. ლარი. 2011 წელს მთლიანად - 1117.2 მლნ. ლარი ხოლო მრეწველობაში აქედან- 120.4 მლნ. ლარი. 2012 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში 684.2 მლნ. ლარი და მრეწველობაში აქედან 133.7 მლნ. ლარი. როგორც ვხედავთ 2010

წელთან შედარებით ბოლო ორი წლის განმავლობაში უცხოურმა ინვესტიციამ მართალია იკლო მრეწველობაში, მაგრამ მთლიანადგანხორციელებული უცხოური ინვესტიციების არც თუ ისე მცირე წილი უჭირავს.

თუ შევადარებთ საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 2012 წლის მესამე კვარტალის სამთომომპოვებითი მრეწველობის და დამამუშავებელი მრეწველობის ბრუნვას 2011 წლის მესამე კვარტალისას ვიხილავთ არც თუ ისე მცირე ზრდას. (ცხრილი 4)

ცხრილი 4

საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 2012 წლის მესამე კვარტალის, სამთომომპოვებითი მრეწველობის და დამამუშავებელი მრეწველობის ბრუნვა 2011 წლის მესამე კვარტალის

	2011/III კვარტალი	2012 / III კვარტალი
სამთომოპოვებითი მრეწველობა	60,0 მლნ. ლარი	65,7 მლნ. ლარი
დამამუშავებელი მრეწველობა	572,2 მლნ. ლარი	668,9 მლნ. ლარი

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე ძალიან გაუჭირდება ამ მძიმე ეკონომიკური მემკვიდრეობისაგან გათავისუფლება და შემდგომი რეგრესის აღმოფხვრა, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების და შესაბამისად ეროვნული კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევა.

რაც შეეხება ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებს მრეწველობის დარგში 2012 წლის ნიშნული თითქმის თანაბარია 2006 წლისა. ყველაზე დიდი ინვესტიცია 919,8 მილიონი ლარი შემოვიდა 2010 წელს კონკრეტულად მრეწველობის დარგში. მონაცემები

2006 წლიდან 2012 წლის ჩათვლით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში . (იხ. ნახაზი 3)



ნახაზი 3. ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები მრეწველობის დარგში 2006-2012 წლები.

საქართველოსათვის კი უცხოური ინვესტიციები კიდევ უფრო მნიშვნელოვნია, რადგან დაზოგვის ნორმა ქვეყანაში იმდენად მცირეა, რომ ეკონომიკის ზრდის მიღწევისათვის საჭირო ინვესტიციების მოძიება წარმოუდგენელიც კია. საკუთარი დანაზოგები (მით უფრო მთავრობის ხარჯების სწრაფი ტემპებით ზრდის პირობებში) ამორტიზაციის დასაბალანსებლადაც კი არ არის საკმარისი. ამდენად, საქართველოსათვის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთადერთი რეალური გზა უცხოურ ინვესტიციებზე მოდის. საქართველომ კონკურენცია უნდა გაუწიოს სხვა ქვეყნებს, მათ შორის უპირველეს ყოვლისა მეზობელ სახელმწიფოებს სწორედ ინვესტიციების მოზიდვაში. ამ მიზნის მისაღწევად და საქართველომ „კონკურენტული უპირატესობა“ უნდა მოიპოვოს ისეთ სფეროებში, როგორიცაა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული პროცედურების, გადასახადების, მონეტარული, საფინანსო-საკრედიტო და საბანკო, სავაჭრო, სამართლებრივი, განათლების, სოციალური, ეკოლოგიური და სასამართლო სისტემები.

საქართველოში უცხოური კაპიტალის ინვესტირება ხდება სხვადსხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფინანსური სექტორის შემდგომ ყველაზე სტაბილური ზრდა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში გვაქვს. სტატისტიკური მომაცემებიდან ჩანს რომ უცხოური ინვესტიციები 2012 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი რაოდენობით ჩაიდო ზუსტად მრეწველობაში. რამაც ხელი უნდა შეუწყოს სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ზრდას ისე რომ მისი ფასი არ გაიზარდოს და ხელმისაწვდომი დარჩეს რათა საქართველოში წარმოებულმა სამრეწველო პროდუქციამ და ასევე საწარმოებმა შეიძინონ ისეთი კონკურენტუნარიანობა რომ შეძლონ გლობალურ ბაზარზე გასვლა და თავისი ადგილის დამკვიდრება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012 წლის განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურება. იხილეთ ნახაზი .4.



ნახაზი 4. უმსხვილესი პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012 წელს.

მმართველობის გაუმჯობესება, ხარისხის მართვის და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ინოვაცია არის მნიშვნელოვანი წყარო

რომელიც ზრდის ეფექტურობას საწარმოების . თუმცა, მხოლოდ ყველაზე აქტიურ ნაწილს კომპანიების შეუძლიათ ხელსაყრელი საბაზრო პირობებით გააუმჯობესოს მართვა. შედეგად, დღესდღეისობით, დიფერენციაცია ქართული კომპანიების მენეჯმენტის თვალსაზრისით მკვეთრად გაიზარდა.

ზოგადად, საინოვაციო სტრატეგიაზე ორიენტირებული არიან, როგორც წესი, უფრო დიდი კომპანიები. გასაღები მათ აქვთ მცოდნე და გამოცდილი პერსონალი. განვითარებული საბაზრო კვალიფიციური კადრების არჩევანი დიდ ქალაქებში, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული კვლევებისა და განვითარების ხელის შეწყობა განაპირობებს კომპანიების ინოვაციურ განვითარებას.

საწარმოს სტრუქტურა, სტრატეგიული ორიენტაცია აისახება კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე. უფრო კონკურენტუნარიან საწარმოებს პოზიციაზე უფრო მომგებიანი კავშირების ჯაჭვი აქვთ . ისინი მნიშვნელოვნად ყურადღებას უთმობენ კავშირების განვითარებას, დიზაინი და პროდუქტის დიზაინი, მარკეტინგული დეპარტამენტებისა და რეკლამის, შემდეგ გაყიდვების სამსახური, ტრენინგი და უნარების განვითარებას.

2.2.საქართველოს მრეწველობის როლი და ადგილი საქართველოს ეკონომიკაში

ნებისმიერი ქვეყნის მეურნეობა მოიცავს სხვადასხვა დარგებს სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროსი, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი შრომის დანაწილების შედეგად. მეურნეობის სტრუქტურა ასახავს მეურნეობის სექტორებს შორის პროპორციას: საწარმოო და არასაწარმოო სფეროებს შორის;ეკონომიკის პირველად,მეორედ და მესამე სექტორებს. ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის შესახებ ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის აქტივობით და ჩართულობით ეკონომიკის სხვადხვა დარგებში.ზუსტად ეს პროპორციები განსაზღვრავენ პირველ რიგში ქვეყნის კუთვნილებას.

სამრეწველო გადატრიალებამდე (სამრეწველო რევოლუციები XVIII-XX საუკუნეები) მსოფლიოში გამეფებული იყო აგრარული ტიპის ეკონომიკა. შემდგომ მან თანდათანობით ადგილი დაუთმო სამრეწველო ტიპს რომელმაც გაძლიერება დაიწყო მე-19 საუკუნიდან და 20 საუკუნის მეორე ნახევარში გახდა დომინანტი ინდუსტრიული სექტორი.

მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მახასიათებლების ანალიზისას საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციები, სტატისტიკური ორგანოები, ეკონომისტები ფართოდ გამოიყენებენ სამ სექტორიან მოდელს მთლიანი შიდა პროდუქტის. ამ მოდელის თანახმად ყოველი სახელმწიფო იყოფა პირველად სექტორად (სასოფლო-სამეურნეო: სასოფლო, სატყეო, მეთევზეობა, ნადირობა); მეორად სექტორად (ინდუსტრიული: მომპოვებელი და დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა; ელექტრო და გაზ მომარაგება); მესამე სექტორი (მომსახურება: ვაჭრობა, ფინანსები, უძრავი ქონება, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და სასაწყობე მომსახურება, საინფორმაციო მომსახურება, მეცნიერება,

განათლება, ჯანდაცვა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, კულტურა, ტურიზმი, მართვა თავდაცვა).

მრეწველობა (ასევე გამოიყენება ტერმინი ინდუსტრია)- უმნიშვნელოვანესი და ტექნიკურად სრულყოფილი დარგია მატერიალური წარმოების, რომელსაც აქვს გადამწყვეტი გავლენა საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე. სამრეწველო საწარმოებში იქმნება შრომის ხელსაწყოები, წრმოების საშუალებები და მოხმარების საგნები. არსებობს მრეწველობის მრავალრიცხოვანი დარგები.

წამყვანი სექტორი მსოფლიო ეკონომიკაში და მაღალგანვითარებულ ქვეყნების ეკონომიკაში ახლა უკვე არის მომსახურების სფერო. ხოლო განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ჯერ მხოლოდ ახლა დგავენ ინდუსტრიალიზმის სტადიაში ფეხს. ასეთ ქვეყნებში მრეწველობის წილი იზრდება მთლიანი შიდა პროდუქციის შექმნაში.

კონტრასტი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ხასიათდება პირველ რიგში მათი მრეწველობის განვითარების დონით და მათი ინდუსტრიული პოტენციალით.

მრეწველობის განვითრებამ და ინდუსტრიული სექტორის მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდამ ბოლო ორი ასწლეულის განმავლობაში მიგვიყვანა კაცობრიობის ცხოვრებს წესის და პირობების გაუმჯობესებასთან.

მრეწველობის როლის შეფასებისას თანამედროვე საზოგადოებაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომსახურების სფეროს ნაწილს უშუალო შეხება აქვს სამეწარმეო მომსახურებასთან და ეს ფუნქციები ადრე თვითონ სამრეწველო ფირმების მიერ ხორციელდებოდა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ზუსტად მრეწველობის ზრდამ გახადა შესაძლებელი მომსახურების სფეროს წილის მატება მსოფლიო ეკონომიკაში. არსებობს მომსახურების სფეროს შიდა ინდუსტრიალიზაციის პროცესი, მაგალითად

როდესაც ორგანიზაცია, რომელიც ვაჭრობს ჩაითი ახდენს მის დაფასოებას და შეფუთვას, ან როდესაც კომპიუტერებით მოვაჭრე ორგანიზცია თავად აწარმოებს მათ აწყობას.

მსოფლიო ეკონომიკაში მეორადი სექტორის კლება არც თუ ისე საგრძნობია თუ გავითვალისწინებთ ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფ განვითარებას მაგალითად ჩინეთის, ინდოეთის, მექსიკის, ბრაზილიის და ა.შ. უნდა ავღნიშნოთ რომ ქვეყნების უმეტესი ნაწილი ისევ ინდუსტრიული განვითარების საფეხურზე იმყოფებიან ან ეხლა უახლოვდებიან მას(აზიის და აფრიკის მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყნები).

ეკონომიკა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, თითოეული ჩვენგანი ვცხოვრობთ ეკონომიკურ გარემოში და შეგვაქვს ჩვენი წილი მის განვითარებაში. თითოეული ოჯახი აწარმოებს საკუთარ ეკონომიკურ პროცესებს.

საწარმოო ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საწარმო (ფირმა) რომელიც აწარმოებს პროდუქციასა და მომსახურებას. ნათელია რომ საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლისათვის აუცილებელია მრეწველობის აღორძინება სამრეწველო სექტორის განვითარების საკითხებზე მომუშავე გაეროს სპეციალურმა ორგანიზაციამ დაადგინა რომ სამრეწველო განვითარება სტატისტიკურად დაკავშირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე და რენტაბელურობაზე. მსგავსი დამოკიდებულება არსებობს სამრეწველო წარმოებასა და ექსპორტს შორის, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ შემოსავლების ზრდას. საშუალო განათლების დონე და უნარები ბოლო წლებში გაიზარდა მნიშვნელოვნად. ყოველ მეათე კომპანიაში დასაქმებულია მენეჯერები სამაგისტრო ან უმაღლესი ეკონომიკური განათლებით მათ შორის უცხოეთში მიღებული. ეს უფრო დამახასიათებელი კონკურენტუნარიანი კომპანიებისათვის, შედარებით მინიმუმ კონკურენტუნარიანი ფირმებთან. ყველაზე მწვავე

სისტემური პრობლემა ყველა საქვეუწყებო და დეპარტამენტების საწარმოების დღეს არის ნაკლებობა კვალიფიციური პროფესიონალების, რომლეთანაც დაკავშირებულია ნაკლებობა ადეკვატური შრომის მიწოდების, და ნაკლებობა განვითარების შიდა ტრენინგის.

ზოგადად, კონკურენტულ საწარმოებს არ აქვთ აქტიურად სრულყოფილად მართვის სისტემა, შესაბამისად მუშაობა არ არის დაბალანსებული ტერიტორიებზე და სცილდება ნათელი განვითარების სტრატეგიას.

საქართველოში არიან დამსაქმებლები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ თუკი დასაქმებულს თავზე დამცავი ჩაფხუტი დაახურეს და უნიფორმა ჩააცვეს – ამით შრომის უსაფრთხოების პრობლემები გადაჭრეს. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. დამსაქმებლები ხშირად არ ითვალისწინებენ გარემო პირობებს, საველე პირობებში მუშაობის სირთულეს და სხვა... ამისათვის ყველა ქვეყანაში არსებობს კანონმდებლობა და ეს კანონმდებლობა დეტალურად არეგულირებს მსგავს საკითხებს. შრომის უსაფრთხეობა ისეთი საკითხია, რომელიც ამომწურავად უნდა იყოს კანონით დარეგულირებული. საქართველოში კი ხდება ის, რომ არათუ ამომწურავად, საერთოდ არ არის შრომის უსაფრთხოების საკითხები საკანონმდებლო კუთხით დარეგულირებული. დამსაქმებლები ამ საკითხს ან საკუთარი შეხედულებისამებრ უდგებიან, ან საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას.

იმის გამო, რომ შრომის უსაფრთხოების პრობლემის მოგვარება ფინანსურად თითქმის ყველა ტიპის საწარმოში მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული (შესაძენია სათანადო ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები. საჭიროა მონიტორინგის შესაბამისი პერსონალი), ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ბიზნესის წარმოების ხარჯებზე აისახება. სწორედ ამიტომ, საქართველოს წინა ხელისუფლების დროს დამსაქმებელთა მიდგომა მაქსიმალურად ნაკლებ დანახარჯებს

გულისხმობდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დანახარჯების შემცირებით ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დგებოდა საფრთხის ქვეშ.

საქართველოში არსებობენ ისეთი სამრეწველო საწარმოები სადაც აწარმოებენ სტანდარტების შესაბამის პროდუქციას მაგალითად „რუსთავის აზოტი“.

ნახევარსაუკუნოვანი ქიმიური საწარმო „რუსთავის აზოტი“ აზოტოვანი სასუქების ერთადერთი მწარმოებელია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსთავის «აზოტის» ამოქმედების შესახებ მეტალურგიული ქარხნის პროდუქციის - კოქსის აირის არსებობის საფუძველზე 1947 წელს გადაწყვიტეს. 1956 წლის 27 თებერვალში ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით მიიღეს პირველი ამიაკი. სწორედ ეს თარიღია მიჩნეული საწარმოს დაბადების დღედ.

„რუსთავის აზოტი“ მსოფლიო სტანდარტების შესაბამის პროდუქციას აწარმოებს და საქართველოს შიდა ბაზარზე, ასევე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აზოტოვანი სასუქების ძირითად მიმწოდებელს წარმოადგენს. პროდუქციის მომხმარებლები არიან ხმელთაშუა და შავი ზღვის ქვეყნები (საბერძნეთი, ისრაელი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, თურქეთი, სირია, მაროკო და სხვ).

დღეს საწარმოში მუშაობს 2313 ადამიანი, მათ შორის 947 ქალი. საწარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვის შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში იძლევა 450 ათას ტონა მინერალურ სასუქს, 400 ათას ტონა ამიაკს, 10 ათას ტონა ციანიდის ნატრიუმს.

შექმნის დღიდან საწარმომ ბევრი მფლობელი გამოიცვალა. იყო რთული პერიოდებიც, როცა არ იყიდებოდა პროდუქცია, წარმოება გაჩერებული იყო, მაგრამ დღეისათვის, „რუსთავის აზოტი”სიდიდით საქართველოს პირველი სამრეწველო საწარმოა.

ისევე, როგორც სხვა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, საქართველოშიც, სამრეწველო სექტორმა დაუთმო პოზიციები მომსახურების სფეროს, როგორც მოსახლეობის დასაქმების ძირითად ფაქტორს და ეროვნული კეთილდღეობის ძირითად წყაროს. მრეწველობაში დასაქმების ხასიათი პასუხობს წარმოებაში არსებულ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც (ქვეყნის მრავალ რეგიონში) კომპანიების დახურვასთანაა დაკავშირებული. მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება 1999 წლიდან 2013 წლის მესამე კვარტალის ჩათვლით. (იხ. ნახაზი 5)



ნახაზი 5. მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა1999-2013წწ.

პირველ რიგში ჩვენ გარკვეული ორიენტირები უნდა დავსახოთ, შევაფასოთ ჩვენი ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა, განვითარების ეტაპები და სასურველი ტემპები.

მომსახურების სფეროს როლის ზრდა ქართულ ეკონომიკაში მისი მსოფლიო ბაზართან ინტეგრაციის და გლობალური ინფორმაციის მოპოვების ბუნებრივი შედეგია. მოწინავე ეკონომიკაში მომსახურების სფეროზე მოდის მშპ_ს ნაწილი, რომელიც მრეწველობაზე და სოფლის მეურნეობაზე მეტია. ზოგიერთ მათგანში (საფრანგეთი, კანადა, აშშ)

მომსახურების სფეროს წილი უკვე აღწევს 70 %_ს. მიუხედავად ამისა, განვითარებული ქვეყნების ისტორია გვიჩვენებს, რომ მომსახურება (საბანკო საქმისა და დაზღვევის ჩათვლით) ვითარდება ძლიერი მრეწველობის ირგვლივ და არა პირიქით. საქართველოს ეკონომიკის რეალიების თავისებურება და საშიშროება მდგომარეობს იმ არსებულ დისბალანსში, რომელიც ამ სექტორებს შორისაა. კომერციული და ფინანსური მომსახურების სფეროების ტენდენციების ზრდა (აგრარული სექტორის დაბალი პროდუქტიულობის ფონზე) და მეორადი სექტორის საპროცენტო წილის მუდმივი შემცირება დასაქმებაში და მშპ_ში, საბოლოოდ, კი თვით მომსახურების სფეროს შეფერხებას გამოიწვევს და შესაძლოა, მთლიანად ეკონომიკის ჩამოქცევაც კი გამოიწვიოს.

მსოფლიოს ქვეყნები შეიძლება ოთხ დიდ ჯგუფად დავყოთ იმის მიხედვით, თუ როგორია მათი

1) უღარიბესი ქვეყნები - მშპ/სულზე ნაკლებია 1,000 დოლარზე;

2) განვითარებადი ქვეყნები - მშპ/სულზე არის 1,000-5,000 დოლარი;

3) საშუალო განვითარების ქვეყნები - მშპ/სულზე არის 5,000-12,000 დოლარი;

4) განვითარებული ქვეყნები - მშპ/სულზე 12,000 დოლარზე მეტია.

ეს კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, პირობითია, განსაკუთრებით, როცა საქმე რიცხვებს ეხება. მთლიანობაში ის ემთხვევა საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციას, თუმცა არის განსხვავება სხვადასხვა ჯგუფების ზღვრულ მაჩვენებლებში. ეს კლასიფიკაცია კარგად ასახავს ქვეყნების ძირითად ჯგუფებს ეკონომიკური განვითარების მიხედვით და მისი საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

საქართველოს მშპ/სულზე დაახლოებით 2700 ამერიკული დოლარია. ჩვენი უახლოესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, საქართველო საშუალო განვითარების ქვეყნად ვაქციოთ, რისთვისაც საჭიროა 5000-6000 დოლარიან მშპ-ს მივაღწიოთ. ეს არის ეკონომიკური განვითარების ის მინიმალური დონე, საიდანაც შეიძლება საუბარი სოციალურ პროგრამებზე, მეცნიერებისა და განათლების განვითარებაზე. ეკონომიკური განვითარების ამ დონეზე გამოიკვეთება, თუ როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკის როლი და ფუნქციები გლობალურ ეკონომიკაში, რომელი დარგები გახდება წამყვანი. განსაკუთრებით ეს მრეწველობას ეხება.

2.3. საქართველოს სამრეწველო ბიზნესის მარეგულირებელი სამართებლივი აქტები

საქართველოში ბიზნესში დასაქმებული ქართველი მეწარმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორი იქნება ამ სფეროს სამართლებრივი უზრუნველყოფა. წარმატებული ბიზნესი დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის გამართულობასა და გონივრულობაზე. ვინაიდან ყოველ დღიურად მეწარმეს შეიძლება წარმოეშვას სხვა დასხვა სახის ურთიერთობები პარტნიორებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან რაც აუცილებლად უნდა იქნეს მოქცეული სამართლებრივ ჩარჩოებში.

საქართველოს სამრწველო, სამეწარმეო საქმიანობის რეგულირება, ძირითადად დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე. იგი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის, მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და არა სამეწარმეო საქმიანობაში წარმოშობილ ყველა ურთიერთობებს. სამეწარმეო საქმიანობის.

სუბიექტები თვითონ ირჩევენ საქმიანობის სახეობას და მიმართულებას, თავისუფალნი არიან გადაწყვეტილებებში თუ არ ცდებიან კანონის ფარგლებს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრულია თუ როგორ უნდა დაფუძნდეს საწარმო, აირჩეს სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა, მოხდეს მისი რეგისტრაცია რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. ასევე მოცემულია საზოგადოების მართვის ორგანოების არჩევის წესი და მათი უფლება-მოვალეობები. კანონით განსაზღვრულია საწარმოს ექვსი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, და კოოპერატივი.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმების მიხედვით მრეწველობის ბრუნვა 2006-2012 წლებში ნელი ტემპით მაგრამ მაინც იზრდებოდა.

ყველა საწარმო რეგისტრირდება საჯარო რეესტრში მათი რეგისტრაციის წესი საერთოა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის გარდა ინდივიდუალური მეწარმისა. რეესტრში წარდგენილ უნდა იქნეს საერთო კრების ოქმი საწარმოს დაფუძნების გადაწყვეტილების და წილების გადანაწილების შესახებ; დამფუძნებელთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები; პასუხისმგებელი პირის ფაქსიმილია; საზოგადოების წესდება და რეგისტრაციის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ჩეკი. ჩეკის გარდა ყველა სახვა დოკუმენტები უნდა იყოს დმოწმებული ნოტარიალურად. თუმცა შესაძლებელია სურვილის შემთხვევაში ყველა დოკუმენტი დამზადდეს საჯარო რეესტრში.

თუ შევადარებთ რეგისტრაციის ძველ და ახალ წესს მივხვდებით, რომ საწარმოს დაფუძნების რეგისტრაცია ძალიან გამარტივებულია. წინათ

რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლოს უნდა მიეღო, ხოლო ინდმეწარმის რეგისტრაცია საგადასახადო ორგანოში ხდებოდა რაც ართულებდა საქმეს და დროის დიდი ნაწილი ტყუილიად იხარჯებოდა.

ყველას აქვს უფლება თავისუფლად ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული ხოლო სხვა დასხვა კანონები არეგულირებენ სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე ურთიერთობებს ისე რომ ეს მთავარი უფლება იყოს დაცული. კანონი სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ განსაზღვრავს ნორმებს რომლებიც უნდა დაიცვან სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმართველობის და მმართველობის ორგანოებმა მეწარმის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისას. მეწარმეობის საქმიანობის კონტროლი ნიშნავს საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების კანონთან და დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმებას. ნებისმიერი მაკონტროლებელი ღონისძიება გარდა გეგმიურისა უნდა განხორციელდეს მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე, მაკონტოლებელმა ორგანომ საწარმოს უნდა წარუდგინოს მოსამართლის ბრძანება კონტროლის განხორციელებაზე წინააღმდეგ შემთხვევაში მეწარმეს უფლება აქვს არ შეუშვას მაკონტროლებელი საწარმოში. მოსამართლის ბრძანების საფუძველზე მაკონტროლებელს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ იმ საკითხის შემოწმება რომელზედაც გაიცა ბრძანება, ასევე სხვადსხვა მაკონტროლებელს არ აქვთ უფლება შეამოწმონ ერთი და იგივე საკითხი რომლის შემოწმებაც უკვე განხორციელდა.

ბიზნესის სამართლებრივი რეგულირებისას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ვალდებულებითი სამართლის ნორმებს. სამოქალაქო კოდექსის უმეტესი ნაწილი ეთმობა ვალდებულებით სამართალს. ვალდებულების წარმოშობის საფუძველი იურიდიული ფაქტებია რომელთა შორის კანონმდებელმა განსაკუთრებით გამოყო ხელშეკრულებები.

ხელშეკრულება გარიგების ერთერთი სახეა რომელიც ემყარება მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ხელშეკრულების მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ რა სახის ხელშეკრულება დადონ და რა პირობებით.

ხელშეკრულების დადების პროცესი ორ მომენტს ეფუძნება ხელშეკრულების დადების შეთავაზებას ანუ ოფერტს და ხელშეკრულების დადებაზე პასუხს ანუ აქცეპტს. თუ მხარეები ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმდებიან ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ნებისმიერი სასურველი რეგულაციები რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ კანონს.

განსაზღვრულია ხელშეკრულების სხვადასხვა სახეები:

- ნასყიდობა
- ქირავნობა
- იჯარა
- ლიზინგი
- ფრენშაიზინგი
- სესხი.საბანკო კრედიტი
- დაზღვევა
- შუამავლობა
- თავდებობა და საბანკო გარანტია
- საბანკო მომსახურება.

ის ნორმები რომლებსაც ხელშეკრულების მხარეები ჩადებენ ხელშეკრულებაში სავალდებულოა ორივესათვის. დარღვევის შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში გააცნია რაზე შეთანხმდნენ მხარეები ხელშეკრულების დადებისას.

მეწარმის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებენ

მხოლოდ საგადასახადო ორგანოები.ამ კანონითვე განსაზღვრულია მაკონტროლებელ ორგანოთა პასუხისმგებლობის საკითხი უკანონო შემოწმების განხორციელების შემთხვევაში. მაკონტროლებელი ვალდებულია აანაზღაუროს მეწარმისათვის მიყენებული ზარალი. მიუხედავად იმისა რომ ეს კანონით გათვალისწინებულია დაზარალებული მაინც მეწარმე რჩება რომლის წარმოებაც შემოწმების გამო შეიძლება გაჩერებული იყოს დღეები კვირები და შეიძლება თვეებიც. ალბათ ასეთი მტკივნეული აღარ იქნება მეწარმისათვის მაკონტროლებელი ორგანოს საწარმოში შესვლა თუ უფრო ზუსტად განისაზღვრება კანონით მაკონტროლებელი ორგანოები, მაგალითად ისე როგორც საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მაკონტროლებელია განსაზღვრული.

ისევე როგორც ყველა სხვა სფეროში სამრეწველო წარმოებაშიც მნიშვნელოვანია შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება, რაც ეფუძნება შრომის კანონმდებლობას. იმისათვის რომ დაცული იყოს როგორც დაქირავებულის ასევე დამქირავებლის უფლებამოვალეობანი აუცილებელია სამართლებრივი ბაზის სრულყოფა. დღესდღეობით უფრო მეტად დაცული დამქირავებლის უფლებებია ვინაიდან შრომის ხელშეკრულებას ადგენს ეს უკანასკნელი და ის განსაზღვრავს თანამშრომლობის პირობებს. კანონით მკაცრად განსაზღვრულია შრომის საათები, სამუშაო პირობები, მივლინების, შესვენების და შვებულების გაცემის წესები თუმცა ხშირად ვხვდებით ფრაზას „თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“. ამ ფრაზაზე დაყრდნობით ხშირად ირღვევა დასაქმებულის უფლებები. მოუწესრიგებელი შრომითი ურთიერთობები აისახება წარმოების დონესა და ხარისხზე, ვინაიდან არამოტივირებული თანამშრომელი ქმნის უხარისხო პროდუქციას.

საზოგადოდ, შრომის კანონმდებლობა მოიცავს ყველა იმ კანონს, ადმინისტრაციულ რეგულირებასა და პრეცენდენტებს, რომლებიც მიმართულია დასაქმებულის კანონიერი უფლებებისა და

ვალდებულებების დასარეგულირებლად (ორგანიზებისათვის). იგი გვევლინება სავაჭრო კავშირებს, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის მედიატორის როლში. არსებობს შრომის კანონმდებლობის ორგვარი სახე: პირველი, კოლექტიური შრომის კოდექსი დაკავშირებულია სამი მხარის ურთიერთობების რეგულირებასთან, კერძოდ ურთიერთობა დასაქმებულს, დამსაქმებელსა და კავშირს შორის. მეორე, ინდივიდუალური შრომის კოდექსი, რომელიც სამუშაო ადგილზე დასაქმებულის უფლებებსა და ვალდებულებებს მოიცავს დადებული კონტრაქტის პირობების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებულთა უფლებების დაცვა განსაკუთრებით აქტუალური მე-19 და მე-20 საუკუნეებიდან დაიწყო. ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ, იგი ნებისმიერი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილი გახდა.

თანამედროვე საქართველოსთვის უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და ქვეყნის მთავარი გამოწვევაა. ამას აღიარებს ხელისუფლებაც და სულ უფრო ააქტიურებს ძალისხმევას ამ პრობლემის შემსუბუქებისა და რეგულირებისათვის. როგორც ცნობილია, შრომის ბაზარი ორი ძირითადი კომპონენტის მოთხოვნისა და მიწოდების ერთობლიობაა. მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა განსაზღვრავს შრომის ბაზარზე არსებულ სიტუაციას, დასაქმებისა და უმუშევრობის დონეს, სამუშაო ძალის ფასს, ქვეყნის შრომითი პოტენციალის გამოყენების ხარისხს და მასთან დაკავშირებულ სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს.

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში უმუშევრობის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორთა შორის მთავარია მკვეთრი დისბალანსი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის. ქვეყანაში სამუშაო ადგილების სიმცირე განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სამუშაო ძალის რაოდენობრივი მიწოდება მნიშვნელოვნად აღემატება მასზე მოთხოვნას.

2010 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგებით, დამსაქმებელთა 34%-ს პრობლემები აქვს მათთვის საჭირო პროფესიის კადრების მოძიებასა და მოზიდვაში. პრობლემის სიმწვავის ხარისხი კიდევ უფრო მკვეთრია ცალკეული რეგიონებისა და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით. ამის მთავარ მიზეზად დამსაქმებლები ასახელებენ შემდეგ გარემოებებს: ა) ვერ მოუძებნიათ სასურველი კვალიფიკაციის კადრი; ბ) საჭირო პროფესიის კადრები ქვეყანაში არ მზადდება; გ) საჭირო პროფესიის კადრები რეგიონში არ არის; დ) სამუშაოს მაძიებლები არ არიან თანახმა იმუშაონ იმ ხელფასზე, რომელსაც სთავაზობს დამსაქმებელი; ე) დამსაქმებლებმა არ იციან ვის მიმართონ საჭირო კადრების მოსაძიებლად და ა.შ.

საქართველოში შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია უაღრესად მწირია და შემოიფარგლება რამდენიმე ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლის პერიოდული (წელიწადში ერთხელ) გამოქვეყნებით. მსგავსი ინფორმაცია რეგიონულ დონეზე კიდევ უფრო მწირეა. საქართველოში სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის, ასევე სამუშაო ძალის მიწოდების კვლევა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, სამწუხაროდ, არ ხდება. შესაბამისად, არ არსებობს სისტემატიზებული ინფორმაცია, თუ რა პროფესიის კადრებზეა მოთხოვნა, რომელი სპეციალობის კადრებია დეფიციტური, რა ტენდენციებია მოსალოდნელი შრომის ბაზარზე და ა.შ.

არსებული პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია შრომის სახელმწიფო ბირჟის შექმნით. რათა მთელი რიგი ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები დადებითად გადაიჭრას. მაგალითისათვის განვიხილოთ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს რუსეთის სახელმწიფო შრომის ბირჟები. ამან შეიძლება რაღაცით გაგვახსენოს ჩვენი საბჭოთა წარსული, როდესაც უმუშევრობისათვის საზოგადოება ადამიანებს კიცხავდა და ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სასჯელსაც კი არ იშურებდა. დღევანდელი

რუსეთის სახელმწიფო შრომის ბირჟები ემსახურებიან მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს რომელიც შრომისუნარიანია და სურს იყოს დასაქმებული. სახელმწიფოს ვალია თითოეული მოქალაქის შრომის კონსტიტუციური უფლება დაიცვას და შესაძლოა ზუსტად შრომის ბირჟების შექმნამ შეუწყოს ამას ხელი.

შრომის ბირჟების ძირითადი ამოცანაა მოახდინოს შრომის ბაზრის ანალიზი და მოთხოვნისა და მიწოდების პროგნოზირება; ასევე მოსახლეობის ინფორმირება შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ; დახმარება გაუწიოს დაინტერესებულ პირებს შესაფერისი სამუშაოს მოძებნაში, ასევე დამსაქმებლებს სასურველი კადრების შერჩევაში; ორგანიზება გაუწიოს კადრების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. იმ შემთხვევაში თუ პირმა დაკარგა სამსახური და სურს დაიწყოს მუშაობა იგი ვალდებული არ არის მიმართოს შრომის ბირჟას თუმცა სურვილის შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს დახმაერებით. სამსახურის მაძიებელისათვის დასქმების ადგილი უნდა შეირჩეს მისი პროფესიის სტაჟის, გამოცდილების და სამუშაო ადგილთან სიახლოვის მიხედვით (იგულისხმება საცხოვრებელი ადგილი).

შრომის სახელმწიფო ბირჟას უფლება აქვს მიმართოს სხვადასხვა საწარმოებს და გამოითხოვოს ინფორმაცია ვაკანსიების და თავისუფალი თანამდებობების შესახებ; ასევე უფლება აქვს გაგზავნოს სამსახურის მაძიებელი ვაკანსიის დასაკავებლად თუ იგი აკმაყოფილებს დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს;

გამოიყენეოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები დასასაქმებელი პირის გადამზადების ხარჯების დასაფარად და სწავლის პერიოდში საჭიროების შემთხვევაში სტიპენდია დაუნიშნოს მას; განახორციელოს უმუშევართა შემწეობის დანიშვნა, გადახდა და საჭიროების არ არსებობის შემთხვევაში მოხსნა.

შრომის სახელმწიფო ბირჟის შექმნა ვფიქრობ მკვეთრად გააუმჯობესებს დასაქმების მდგომარეობას საქართველოში. შესაბამისი კანონის მიღებით რომელიც უზრუნველყოფს შრომის სახელმწიფო ბირჟის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ეფექტურობას შესაძლოა უმუშევრობის აღმოფხვრის საქმეში დიდი ნაბიჯი გადავდგათ წინ.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონში განმარტებულია სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის წესი ხოლო საწარმოს გადახდისუუნარობა და გაკოტრების წარმოება მიმდინარეობს შესაბამისი კანონით. “გადახდისუუნარობის წარმოების შესახებ“.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება ჯერ კიდევ არ ნიშნავს რომ საწარმო აუცილებლად გამოცხადდება გადახდისუუნაროდ ან გაკოტრებულად. კანონი ითვალისწინებს ახალი შესაძლებლობების გამოჩენისას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტას და რეაბილიტაციის დაწყების შესაძლებლობას.ინიშნება რეაბილიტაციის მმართველი რომელიც დამოუკიდებელი პირია როგორც კრედიტორებისაგან ასევე მეწარმისაგან რომლის მიმართაც წარმოებს რეაბილიტაციის პროცესი.

არსებობს ბიზნესის ისეთი სახეები, რომლებისათვისაც სავალდებულოა სხვადასხვა სახის ნებართვების ან ლიცენზიის მიღება და ამ უკანასკნელთა არ არსებობის გარეშე განხორციელებული საქმიანობა უკანონოა და განიხილება როგორც სამართალდარღვევა.

კანონი ”ლიცენზიისა და ნებართვის შესახებ” შეიცავს ნორმებს იმის შესახებ თუ როგორ უნდა მიიღოს დაინტერესებულმა პირმა ან პირთა წრემ სხვასხვა საქმიანობის განხორციელების ნებართვა ან ლიცენზია. კანონში ჩამოთვლილია საქმიანობის ის კონკრეტული სახეები რომლებიც საჭიროებს ლიცენზირებას. ლიცენზია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირისათვის სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე

გაცემული საქმიანობის განხორციელების ნებართვა. ნებართვა კი არის პირისათვის რაიმე ქმედების განხორციელების უფლების მინიჭება.

ბიზნესის სფეროში დასაქმებული პირისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს ისეთი კანონები რომლებიც გაუადვილებს საქმიანობას და შექმნის მისი ბიზნესისათვის ხელსაყრელ გარემოს. ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდაზე, რათქმა უნდა მნიშვნელოვანია მისი სტიმულირება სახელმწიფოს მიერ, რაც სამართლებრივი ბაზით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

იმისათვის რომ საქრთველოში არსებული მდგომარეობა მრეწველობის დარგში შეიცვალოს და წარმატებით განვითარდეს აუცილებელია სახელმწიფოს მეტი მონაწილეობა და დახმარება ამ დარგის განსავითარებლად. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ რომ ამ სფეროს აქვს განვითარების პერსპექტივა.

მნიშვნელოვანი საკითხია განვსაზღვროთ თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში არსებული სამრეწველო წარმოების სამართლებრივი რეგულირება მსოფლიო საკანონმდებლო ნორმებსა და სტანდარტებს. საქართველოში მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დამყარების უპირველესი დაბრკოლება არის საგადასახადო სისტემა, რომელიც თითქოსდა საკმაოდ ლიბერალურია, ვინაიდან ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადები სახეობების მიხედვით საკმაოდ მცირეა მოქმედებს ექვსი სახის გადასახადი: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებითი ღირეულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი და ქონების გადასახადი. მაგრამ მთავარი პრობლემა რომელსაც აწყდება მეწარმე არის გადასახადების ადმინისტრირება. საგადასახადო კოდექსში შევხვდებით გადასახადის გადახდევინების წესის შესახებ არსებულ მუხლებს, რომელის შინარსი საკმაოდ ბუნდოვანია. რა თქმა უნდა მათი განმარტება ხდება არა მეწარმის არამედ სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ავღნიშნეთ რომ მნიშვნელოვანია მსოფლიო ბაზარზე გასასვლელად წარმოებულ იქნას კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ასეთი პროდუქციის წარმოება მხოლოდ თავისუფალი ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი, რაც შესაბამისი საკანონმდებლო აქტით უნდა იქნას უზრუნველყოფილი. საქართველოში მოქმედებდა კანონი "მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ" რომლის გაუქმებამაც შედეგად მოგვიტანა მონოპოლიური კომპანიების ჩამოყალიბება სხვადსხვა სფეროში. რაც მნიშვნელოვნად აზარალებს როგორც შედარებით მცირე მწარმოებლებს ასევე მომხმარებელს. მიღებული უნდა იქნას საგადასახადო შეღავათები უფრო ლიბერალური მიდგომაა საჭირო ამ მიმართულებით. კონტროლის ორგანოებთან მიმართებაში მეწარმისათვის მეტი დაცვის მექანიზმი უნდა ჩავდოთ კანონში რათა მართველობის და თვითმართველობის მიერ მაკონტროლებლად აღიარებული ორგანოები კონტროლის განხორციელებისას არ აზარალებდნენ წარმოებას. მაკონტროლებელი ორგანოების შექმნისას და კონტროლის განხორციელებისას მეტი გამჭვირვალობაა საჭირო ეს ყველაფერი კი საკანონმდებლო ბაზის დახვეწით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ბიზნესის სფეროში წარმოშობილი დავების გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს საარბიტრაჟო სასამართლოში რაც გაამარტივებს ამ სფეროში არსებულ ურთიერთობებს. სამართლებრივი სტიმულირება მრეწველობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნება და გააუმჯობესებს ბიზნეს გარემოს.

2.4.საქართველოს მრეწველობის სამართებლივი უზრუნველყოფის წინააღმდეგობები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მრეწველობისათვის ისევე როგორც ეკონომიკის ნებისმიერი დარგისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ უზრუნველყოფას. მიუხედავად იმისა რომ ბოლო წლებში საქართველოში ბიზნესის კეთების გასაადვილებლად სხვადასხვა კანონებში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები ეს საკმარისი არ აღმოჩნდა სამრეწველო

ბიზნესის ასაყვავებლად. მნიშვნელოვან შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს ანტიმონოპოლიური კანონის და შესაბამისი სამსახურის გაუქმება. ამ კანონის გაუქმებას მოჰყვა საქართველოში ფარმაცევტულ წარმოებაში მონოპოლიების შექმნა ბაზარი თითქმის სრულად გადანაწილდა სამ მწარმოებელზე რამაც რათქმაუნდა შეზღუდა კონკურენცია, იგივე შეიძლება ითქვას საწვავის შემომტან საწარმოებზე აქაც გაჩდნენ მონოპოლისტი კომპანიები. თუმცა შეიძლება ითქვას რომ დღეს უკვე მიმდინარეობს მუშაობა ამ კანონის აღსადგენად, რაც ხელს შეუწყობს თავისუფალი კონკურენტული გარემოს შექმნას.

ძალიან მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო სასამართლოების არსებობა ვინაიდან ჩვეულებრივი სასამართლო წარმოება მოითხოვს დიდ დროსა და რესურსებს საარბიტრაჟო სასამართლოები ბიზნესის სფეროში წარმოქმნილი დავების გადასაწყვეტად კარგი გამოსავალია.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ინსტიტუტებს არ შეუძლიათ რა თქმა უნდა მართლმსაჯულების განხორცილება, ეს ფუნქცია ჩვენში იმპერატიულად ეკუთვნის მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ სასამართლოებს, მაგრამ არბიტრაჟმა, განსაკუთრებით კი ამ ეტაპზე, როცა ვითარდება საბაზრო ეკონომიკა და ხშირ შემთხვევაში დროში გაწელილი პროცესები ზიანს აყენებენ მეწარმეთა საქმიანობას და იწვევენ არასასურველ შედეგებს, დიდი როლი უნდა შეასრულოს.

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“ კანონი უკვე დიდი ხანია რაც მოქმედებს, ფაქტიურად ეს კანონი გამოუყენებლია. ამის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს. საზოგადოება საარბიტრაჟო განხილვას უყურებს როგორც კიდევ ერთ დასავლურ მექანიზმს, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ შეიყვანონ ისინი შეცდომაში. ამ აზრს ვერ ცვლის დავების ტრადიციული მეთოდების გადაწყვეტის მზარდი დაუკმაყოფილებლობა. უმრავლეს შემთხვევაში იურისტებს საარბიტრაჟო განხილვის მიმართ ფორმალური მიდგომა აქვთ.

თუმცა კომპეტენტური იურისტები არ თვლიან კონტრაქტს დასრულებულად, თუ იგი არ შეიცავს დათქმას საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, მაგრამ ნაკლები თუ გასცემს პასუხს კითხვაზე, იმ შედეგების შესახებ, რომელიც შეიძლება დადგეს არბიტრაჟის შესახებ ნორმის გამოუყენებლობის დროს. დავის წარმოშობის შემთხვევაში ბევრი იურისტი ურჩევს თავის კლიენტს მიმართოს სასამართლოს ან თვითონ აკეთებს ამას. ნაწილობრივ ეს გამოწვეულია იმით, რომ მათთვის ცნობილია სასამართლო განხილვის პროცედურები. ხშირ შემთხვევებში მხარეები დავის განხილვის დროს უარს ამბობენ პრობლემის გადაწყვეტაზე და არავითარ ზომებს არ იღებენ, რათა საქმე მაქსიმალურად ორივე მხარის სასარგებლოდ გადაწყდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე იძულებულია ტენდენციურად შეხედოს საკითხს და გარდა ამისა პროცესი დაუსრულებლად გრძელდება. ეს კი თავის მხრივ მხარეებისთვის დაკავშირებულია ბევრ პრობლემასთან, როგორც სასამართლო, ასევე სასამართლოსგარეშე ხარჯებთან და ა.შ.

არბიტრაჟი განიხილავს კერძო ხასიათის ქონებრივ დავებს რომელთა მოგვარებაც მხარეებს შეუძლიათ. არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეების ან მის მიერ დადგენილი პროცედურის მიხედვით. საარბიტრაჟო წარმოება იწყება მხარეთა შეთნხმების შედეგად. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მათ შორის არსებული დავის მთლიანად ან ნაწილობრივ საარბიტრაჟო სასამართლოში გადაწყვეტის შესახებ. არბიტრაჟის გადაწყვეტილება ისეთივე სავალდებულოა როგორც სასამართლო გადაწყვეტილება.მაინც რატომ ჯობია საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვა?!

იმიტომ, რომ საარბიტრაჟო განხილვის თვისებებია:

- გაჭიანურებული და ხანგრძლივი სასამართლო პროცედურების თავიდან აცილება, რომლებიც იწვევს როგორც ხარჯს, ასევე დიდი დროის დაკარგვას, ეს კი ხშირად დიდ ზარალს აყენებს როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს.

- არბიტრების, არბიტრაჟისა და მხარეთათვის მისაღები პროცედურების ფართო არჩევანი - მხარეებს უფლება აქვთ თვითონ აირჩიონ დავის განმხილველი პირები, განსაზღვრონ დავის განხილვის პროცედურა, ენა, ადგილი, ხარჯის განაწილება და ა.შ., რაც, უდავოდ, არბიტრაჟის დიდი უპირატესობაა სასამართლოსთან შედარებით.

- საარბიტრაჟო განხილვის მოქნილობა - პროცესი იმართება მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადებში. თუ მხარეთა მიერ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს განხილვის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, და იგი სწრაფი და სამართლიანია, ვინაიდან არბიტრები თანაბარი რაოდენობით არის არჩეული თითოეული მხარის მიერ.

- კონფიდენციალობა - თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან - საარბიტრაჟო განხილვა დახურულია და განხილვის ყველა მონაწილე ვალდებულია, არ გაამხილოს პროცესზე მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია. მხარეთა მორიგებისა და პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნების ალბათობა.

- გადაწყვეტილების საბოლოობა და სავალდებულობა - არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის. თუ გადაწყვეტილება ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, იგი აღსრულდება იძულებით, ისეთივე წესით, რაც დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის, რაც გათვალისწინებულია "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით.

2.5. საქართველოს სამეწარმეო ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფის საერთო მიმართულებები

2.5.1.მეწარმეობის სამართლებრივი რეგულირების კვლევა

საქართველოში სამეწარმეო ბიზნესის წარმოების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. სახელმწიფოს მოვალეობაა ამ მიმართულებით შექმნას ხელსაყრელი პირობები, როგორც მცირე ისე საშუალო და მსხვილი საწარმოებისათვის. პირობების შექმნა კი შესაძლებელია შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნით და არსებული სამართლებრივი ნორმების გაუმჯობესებით. ძირითადი პრობლემური საკითხები ამ მიმართულებით არის საგადასახადო სისტემა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, კერძო არბიტრაჟის არ არსებობა, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო და ასე შემდეგ.

მნიშვნელოვანია რეფორმების გატარება, ინოვაციები, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება, სოფლის მეურნეობის განვითარება, ენერგეტიკის განვითარება- ეს არის სექტორი რომელიც სხვა სექტორების განვითარებას უწყობს ხელს განსაკუთრებით კი ინდუსტრიული სექტორის განვითარებას.

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საქართველოში ანტიმონოპოლიური კანონი, ფაქტობრივად არ მოქმედებდა. 2012 წლის მაისში ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე პარლამენტმა ახალი ანტიმონოპოლიური კანონი მიიღო. მომავალი მთავრობა მონოპოლიის პრევენციის მიზნით უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას აპირებს.

არის თუ არა ბაზარი საქართველოში მონოპოლიური? - ამ საკითხთან დაკავშირებით ეკონომიკის ექსპერტების მოსაზრებები ხშირად

ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენცია არ არსებობს, ფარმაცევტული და ნავთბპროდუქტების ბაზრები მონოპოლიზირებულია. მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ ქვეყანაში მონოპოლიების არსებობა დასაბუთებული არ არის.

მოვიყვანოთ მხოლოდ ფაქტები და ეს დაგვანახებს თუ რამდენად თავისუფალი კონკურენციის პირობებში უწევთ მცირე საწარმოებს არსებობა. საწვავის საცალო ბაზარზე წლების განმავლობაში ექვსი კომპანია დომინირებდა: "ვისოლი", "ლუკოილი", "სოკარი", "ეკო", "რომპეტროლი", "სენტა" და "მაგნატი". გასულ წელს ბაზარზე კომპანია "გალფი" გამოჩნდა, რომელმაც "სენტა", "ეკო" და "მაგნატი" შეიძინა. „გალფის“ გამოჩენამდე ლიდერობას „ვისოლი“ ინარჩუნებდა და ბაზრის 35% ეკავა, ხოლო 65%-ს დანარჩენი კომპანიები ინაწილებდნენ. დღეს "გალფს" ყველაზე მეტი - 130 ავტოგასამართი სადგური აქვს, "ვისოლს" - 105, "სოკარს"-88.

2004 წლამდე საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის 65%-ს სამი მსხვილი კომპანია "პსპ", "ავერსი" და "ჯი-პი-სი" ფლობდა, 2010 წლის ზაფხულისთვის კი ისინი 85%-ს აკონტროლებდნენ. მსხვილ მწარმოებელთა შორის "ავერსი რაციონალის" საბაზრო წილი 59,9% იყო, ხოლო GMP-ის - 29,9%. საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის 2010 წლის ფარმაცევტულ ბაზრის კვლევის თანახმად, ფარმაცევტული საქონლის იმპორტს 94 კომპანია ახდენდა: 16,8% "პსპ"-ის წილი იყო, 14,4% - "ავერსის", 10,7% - "გლობალ ფარმის", 9,3% - GPS-ის.

ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მეურნეობის დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზიაჩვენებს, რომ ისევე როგორც განვითარებული სა ბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, კონკურენციარესურსების ეფექტური გამოყენ ებისა და მინიმალური საწარმოო დანახარჯების პირობებშიეროვნული სიმ დიდრის ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სრულყოფილი კონკურენციის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბაზარი, რომლის ფუნქციონირების პირობებს მომხმარებელი განსაზღვრავს. კერძოდ, იწარმოება ის, რაც სჭირდება მყიდველს და საქონელიიყიდება მაქს იმალურად შესაძლებელ დაბალ ფასებში. ბაზარი იმითია ეფექტური, რომ წარმოების ან გასაღების რაიმე კონკრეტულ ცვლილებებს არ შეუძლია გააუმჯობესოს მომხმარებლის ან გამყიდველის მდგომარეობა სხვა რომელიმეს უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაყენების გარეშე. საზოგადოების კეთილდღეობა მაქსიმუმს აღწევს, რადგან რესურსები გამოიყენება მაქსიმალურად ეფექტიანად, ხოლო პროდუქციის გამოშვება ოპტიმალურია.

ცნობილია, რომ ბაზრის ეკონომიკური კანონები ფიასკოს განიცდიან, თუ მათ არ შეუძლიათ უზრუნველყონ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა და ისეთ შედეგებამდე მივყავართ, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროებზე, ხშირ შემთხვევაში ხდება ბაზრის ან მისი რომელიმე ნაწილის მონოპოლიზება. მონოპოლიზებული ბაზარი კი რადიკალურად განსხვავდება კონკურენციული ბაზრისაგან; განსხვავებულია რესურსებისა და შემოსავლების განაწილება და საზოგადოების კეთილდღეობისადმი მიდგომაც კი. კერძოდ, მონოპოლიზების დროს, როგორც წესი, ხორციელდება სიმდიდრის გადადინება მომხმარებლიდან გამყიდველისაკენ, მცირდება პროდუქციის წარმოება, კლებულობს წარმოებაში სიახლეთა დანერგვის მოტივაცია და სწრაფვა ეფექტიანობის გაზრდისაკენ.

როგორც წესი, მონოპოლია სრულიად განსხვავდება კონკურენციისაგან საზოგადოების კეთილდღეობასა და რესურსების განაწილების ხასიათზე ზემოქმედებით. მონოპოლიის პირდაპირნეგატიური შედეგია პროდუქციის გამოშვების შემცირება, ფასების ამაღლება და შემოსავლების გადანაცვლება

მომხმარებლიდან მწარმოებლისაკენ. დარგის მონოპოლიზაციის შემთხვევაში, როგორც წესი, ფასი იზრდება, ხოლო გამოშვების მოცულობა მცირდება.

კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე ეკონომიკური კონცენტრაციის ზრდის პარალელურად მატულობს მონოპოლიზების დონე, უარესდება კონკურენციის ხარისხი და შესაბამისად, ბიზნესის გარემოც. განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ ბაზრის მონოპოლიზების მიმართ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რომელთა უდიდესი ნაწილი არასწორი საფასო პოლიტიკისა და შექმნილი ბარიერების გამო კარგავს საშუალებას განაგრძოს მეწარმეობა და იძულებული ხდება დატოვოს ბაზარი; შემთხვევითი არაა, რომ 1890 წელს აშშ-ში პირველი ანტიტრესტული კანონი შერმანის აქტის სახელწოდებით კონგრესმა სწორედ მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა და ფერმერთა დაწოლით მიიღო, რომელიც თავის მხრივ გამოიწვია ამ უკანასკნელთა საფუძვლიანმა ეჭვმა და შიშმა თავიანთი ბიზნესის პერსპექტივების თაობაზე მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების შექმნისა და თავისუფალი ფასწარმოქმნის მონოპოლიურით, ხოლო კონკურენციული ბიზნესგარემოს დისკრიმინაციულით შეცვლის გამო.

ნიშანდობლივია, რომ ნავთობ კომპანიების საქმიანობით უკვე საქართველოში კი არა, სხვა ქვეყნებშიც დაინტერესდნენ. გერმანიის ანტიმონოპოლიური სამსახური ხუთი უმსხვილესი კომპანიის საქმიანობას სწავლობს, რადგან მათ შორის საფასო გარიგებაზე ეჭვი გაუჩნდათ. უკრაინის ანტიმონოპოლიურმა კომიტეტმა ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად ბენზინის ფასების შესწავლა დაიწყო, რადგან ეჭვობენ, რომ ბენზინი მსოფლიო ფასების კონიუნქტურისგან დამოუკიდებლად ძვირდება.

ანტიმონოპოლიური სამსახური საქართველოში ჯერ კიდევ 1992 წლიდან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებობდა. 1997 წელს ის დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა. ანტიმონოპოლიური

სამსახური “მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ” კანონის აღსრულებაზე იყო პასუხისმგებელი.

ეკონომიკის ექსპერტი ქეთევან ლაფაჩი 1997-2001 წლებში ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილე იყო. მისი განმარტებით, ანტიმონოპოლიური რეგულირება კონკურენციის ზოგადი პოლიტიკის ნაწილია. კონკურენციის პოლიტიკის მიზანი კი, ყველა ტიპის ანტიკონკურენციული ქმედებების შეზღუდვა, პრევენცია და აღკვეთა.

“ანტიკონკურენციული ქმედება შეიძლება გამოწვეული იყოს სახელისუფლებო წრეების არასწორი პოლიტიკით. ასევე, შესაძლებელია თვითონ ბიზნეს სტრუქტურების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის საფრთხე არსებობდეს.”

კონკურენციის სფეროში ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ხორციელდებოდა მონოპოლისტი კომპანიების საბაზრო ქცევის მონიტორინგი, რათა არ მონოპოლისტებს დომინირებული მდგომარეობა ბოროტად არ გამოეყენებინათ. რადგან როგორც ძველი, ისე ახალი, ანუ 2012 წელს მიღებული კანონები კრძალავს არა თავად მდგომარეობას, არამედ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. მაგალითად, კონკრეტული ბიზნესი შეიძლება იყოს ძალზედ წარმატებული, კარგი სტრატეგია ჰქონდეს, ჰყავდეს ბევრი მომხმარებელი, შესაბამისად, მან შეიძლება დაიკავოს ბაზრის 80%. ამ შემთხვევაში კანონს აინტერესებს არა ის, რომ კომპანიას ბაზრის დიდი წილი უჭირავს, არამედ ის, რომ მან ეს მდგომარეობა ბოროტად არ გამოიყენოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი მაღალი ფასი, ან განსაკუთრებული პირობები არ დააწესოს რაც მომხმარებელს პრობლემას შეუქმნის.

ლაფაჩი ამბობს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობის პერიოდში 1997-2005 წლებში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა აქტიურად მინდინარეობდა.

მისივე თქმით, აღმსარულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან მეწარმეთა შევიწროვების, დისკრიმინაციის და მომხმარებელთა უფლებების შელახვის ფაქტები, აგრეთვე, ხშირი იყო.

2005 წელს ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა და სანაცვლოდ მკვეთრად შეზღუდული ფუნქციების მქონე "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო" შეიქმნა, რომელიც 7 კაცისგან დაკომპლექტდა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლების არგუმეტი იყო, რომ საქართველო პატარა ბაზარია და რეგულირება არ სჭირდება.

ევროკომისიის ფაქტების დამდგენმა მისიამ 2008 წელს საქართველოში კონკურენტული გარემოს შეფასების შემდეგ განსაკუთრებულ აქცენტი ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე გააკეთა. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ 2010 წელს "კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია" შეიმუშავა.

2011 წლის დეკემბერში, კონკურენციის და შესყიდვების სააგენტოები ერთ სამსახურად გაერთიანდა.

ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში, ვაჭრობის საკითხებში პროექტის მენეჯერის ვირჟინი კოსულის თქმით, კონკურენციის სფეროში საქართველოს მიმართ ევროკავშირს ორი თხოვნა ჰქონდა. პირველი, მიღებული ყოფილიყო მკაფიო კონკურენციის პოლიტიკა და კონკურენციის შესახებ კანონი. მეორე, სათანადო კონკურენციის სააგენტო შექმნილიყო, რომელიც კანონის განხორციელებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი.

"თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონი საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის მაისში დაამტკიცა. ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე მუშაობა და კონკურენციის შესახებ პოლიტიკის რეფორმა ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო იყო

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე მოლაპრაკების დასაწყებად.

“კონკურენცია უპირველეს ყოვლისა, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ პირდაპირ კავშირშია ვაჭრობასთან. ჩვენ ვთვლით, რომ კონკურენცია ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის სწორი მუშაობისთვის. ის მნიშვნელოვანია როგორც კომპანიებისთვის, ასევე, მომხმარებლებისთვის, რადგან თუკი კონკურენციის ნაკლებობაა ბაზარზე, იზრდება ფასები”, თქვა ვირჟინი კოსულიმ „ლიბერალთან“ საუბრისას.

“თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

ამ კანონით განისაზღვრება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდველი ქმედებები, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები და უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენცია.

კანონი ვრცელდება:

ა) ისეთ ქმედებაზე, რომელიც ხორციელდება შესაბამის ბაზარზე და არამართლზომიერად ზღუდავს საქართველოს საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე არსებულ თავისუფალ ვაჭრობასა და კონკურენციას;

ბ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს იმ ქმედებაზე ან/და გადაწყვეტილებაზე, ან იმ სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც

მნიშვნელოვნად ზღუდავს ან შეუძლია მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენტული გარემო და თავისუფალი ვაჭრობა.

ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად უფლებამოსილი ორგანოა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სააგენტოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სააგენტოს სტრუქტურასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სააგენტო თავისი საქმიანობის განხორც იელებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს დამოუკიდებელია. სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი საბაზრო წილის ფლობა აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი წინაპირობაა. მნიშვნელოვანი საბაზრო წილი განისაზღვრება ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამის ბაზარზე, როგორც წესი, წინა 3 ფინანსური წლის განმავლობაში გაყიდვების რაოდენობის წილის მიხედვით, სააგენტოს მიერ შემუშავებული მნიშვნელოვანი საბაზრო წილის გამოთვლის მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გულისხმობს:

ა) სავაჭრო პირობების არსებით და მიზანმიმართულ ცვლილებას, რაზედაც გავლენას ვერ ახდენენ კონკურენტი ეკონომიკური აგენტები და რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მომხმარებელს;

ბ) წარმოების, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ან ტექნოლოგიების განვითარების მიზანმიმართულ შეზღუდვას ან/და კონტროლს, რომლის მიზანია სხვა ეკონომიკური აგენტების კონკურენტუნარიანობის შეზღუდვა;

გ) გარკვეულ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებით მიზანმიმართულად დისკრიმინაციული პირობების დაწესებას იდენტურ ტრანზაქციებზე, რითაც ხდება აღნიშნული სავაჭრო პარტნიორების არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) მიზანმიმართულად გარიგების ისეთი პირობის დაწესებას, რომელიც გარიგების სხვა მხარეს დამატებით ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან.

სააგენტოსთან შეთანხმებით შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას და რომელიც გაიცემა შემდეგი მიზნით:

ა) გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის;

ბ) გარკვეული ეკონომიკური სექტორის განვითარებისათვის.

დასაშვებია და სააგენტოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს:

ა) სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიცემა ფორსმაჟორულ შემთხვევაში;

ბ) სოციალური დახმარება, რომელიც გაიცემა ინდივიდისათვის;

გ) ქვეყნის რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება;

დ) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება;

ე) ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება;

ვ) სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარება;

ზ) ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიცემა უმნიშვნელო ოდენობით. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

თ) გადასახადის შემცირებისა და რესტრუქტურიზაციის შემთხვევები, თუ აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა;

ი) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების, უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებისა და საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემთხვევები.

სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) ეკონომიკის ყველა სექტორში კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის დარღვევის ფაქტების გამოვლენა;

გ) სახელმწიფოს მიერ კონკურენციის შემზღუდველი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების გამოვლენის შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება;

დ) კონკურენციის შემზღუდველ სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება;

ვ) სახელმწიფო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საქართველოში თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით.

სააგენტოს საქმიანობის პრინციპებია: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

კონსულის შეფასებით, ახალი კანონი წინა კანონისგან განსხვავებით, კონკურენციის პოლიტიკის მთავარ პრინციპს მოიცავს, 2005 წლამდე მოქმედ კანონი ძირითადად სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხებს კურირებდა და, განსხვავებით ახალი კანონისაგან, ანტიმონოპოლიურ რეგულირებას თითქმის არ ეხებოდა.

ახალი საკანონმდებლო რეგულირების მიხედვით, კომპანია მონოპოლისტად ჩაითვლება, თუ მას შესაბამისი ბაზრის არანაკლებ 40% უკავია.

საქართველო აქვს დადებული სხვადსხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები მათ შორის იგი წევრია პარიზის კონვენციის_ 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ. რომელიც გადაიხედა და ჩასწორდა 1967 წელს სტოკჰოლმში.

საერთაშორისო სამართალი და ეროვნული კანონმდებლობების უმრავლესობა არ იძლევა "ინტელექტუალური საკუთრების" რაიმე ფორმალიზებულ დეფინიციას.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის თანახმად, რომელიც მიიღეს სტოკჰოლმში 1967

წლის 17 ივლისს (მუხლი 2[VIII]), "ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც ეხება:

(1) ლიტერატურის, ხელოვნებისა და სამეცნიერო ნაწარმოებებს;

(2) მსახიობ-შემსრულებელთა გამოსვლებს, ფონოგრამებსა და საეთერო მაუწყებლობის პროგრამებს;

(3) გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში;

(4) მეცნიერულ აღმოჩენებს;

(5) სამრეწველო ნიმუშებს;

(6) სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს;

(7) არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და ყველა სხვა უფლებას, რომლებიც გამომდინარეობს ინტელექტუალური საქმიანობიდან მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების სფეროებში”.

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან ტრადიციულად გამოყოფენ ორ სფეროს. კერძოდ, სამრეწველო საკუთრებაზე უფლებებისა და საავტორო უფლებების დაცვას.

სამრეწველო საკუთრების ობიექტებია: გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, ინტეგრალური მიკროსქემები, სასაქონლო ნიშნები და გეოგრაფიული აღნიშვნები. გარდა ამისა, სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების დაცვის ერთ-ერთ სახეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთაც წარმოადგენს.

გამოგონების დაცვის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება მკვეთრად ვლინდება საზოგადოების პროგრესთან ერთად.

ტერმინი „სამრეწველო საკუთრება“ პირველად შემოღებულ იქნა მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, როდესაც ყალიბდებოდა საპატენტო სამართალი. ამ დროს სამართლის თეორიებს შორის იყო გაბატონებული

ბუნებითი სამართლის და სამრეწველო საკუთრების თეორიები. ორივე თეორიამ გარკვეული გავლენა იქონია და შესაბამისი ასახვაც ჰპოვა სხვადსხვა ქვეყნების საპატენტო კანონში.

სამრეწველო საკუთრების თეორიამ გამომგონებლის უფლება მისი „სულიერი“ შემოქმედების შედეგზე გააიგივა მატერიალურ ნივთზე საკუთრების უფლებასთან. შესაბამისად შრომის შედეგი, როგორ ნივთიერი ისე გონებრივი, შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირის საკუთრება, ვინც შექმნის მათ.

საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით პატენტი გაიცემა გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე.

სამრეწველო საკუთრების ძირითადი ობიექტი გამოგონება შეიძლება განიმარტოს, როგორც განსახიერებადი ახალი იდეა, რომელსაც ახასიათებს საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა. პარიზის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, სასარგებლო მოდელი განეკუთვნება სამრეწველო საკუთრების ობიექტებს. საქართველოს საპატენტო კანონით სასარგებლო მოდელი განმარტებულია , როგორც მოწყობილობების, ნივთიერებებისა და ხერხების გაუმჯობესება (ანუ ზოგადად რომ ითქვას, ნივთის ან ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება) და მასზე გაიცემა პატენტი.

სამრეწველო საკუთრების კიდევ ერთი ობიექტია“ სამრეწველო ნიმუში“ ქვეყნების მიხედვით გამოიყენება შემდეგი ტერმინოლოგია: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში-Design, საფრანგეთში-les dessins ou modeles industriels, გერმანიაში -Geshmackmuster, ხოლო საქართველოში დამკვიდრდა ტერმინი “სამრეწველო ნიმუში“. იგი საქართველოს კანონმდებლობით განიმარტება როგორც სამრეწველო წესით დამზადებული ნაკეთობის (ნივთის) მხატვრულ-კონსტრუქციული გარეგნული სახე. სამრეწველო საკუთრეის კიდევ ერთი ობიექტია

სასაქონლო ნიშანი, რომელთანაც სამრეწველო ნიმუშს საკმაო სიახლოვე აკავშირებს. კერძოდ მოცულობითი ნიშანი ისევე როგორც სამრეწველო ნიმუში არის ახალი ორიგინალური გამოსახულება.ძირითადი განსხვავება სამრეწველო ნიმუშსა და სასაქონლო ნიშანს შორის იმით გამოიხატება, რომ ნიშანი თავისთავად საქონლის(ნაწარმის) ხარისხს არც აუმჯობესებს და არც აუარესებს. სამრეწველო ნიმუში კი უშულოდ აუმჯობესებს ნაწარმის გარეგნულ გაფორმებას და შესაბამისად მაღლა წევს მის ხარისხობრივ მახასიათებლებს.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია „ინტელექტუალური საკუთრების და საწარმოო საკუთრების უფლებები“ (ქვეთავი 4.5.5), რომელიც შემდეგი ღონისძიებების გამხორცილებას ითვალისწინებს:

- ინტელექტუალური და საწარმოო საკუთრების უფლებების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან“ და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმების (TRIPS) მოთხოვნებთან და ამ უფლებების ეფექტიანად განხორციელება;

- სასამართლო სისტემის ჯეროვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ზემოხსენებული უფლებების მქონე პირთათვის მართლმსაჯულება გახდეს უფრო ხელმისაწვდომი, დაწესდეს და უფრო ეფექტიანად განხორციელდეს სანქციები;

- შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების, აგრეთვე, საწარმოო უფლებების დაცვის სამსახურების, საავტორო უფლებების დამცველი და შემგროვებელი საზოგადოებების ერთმანეთთან დაკავშირება. მესამე ქვეყნების მთავრობებთან

და საწარმოო გაერთიანებებთან თანამშრომლობის გაფართოება;

- გეოგრაფიული მაჩვენებლების დაცვის ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- ინტელექტუალური და საწარმოო საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოების უკეთ გათვითცნობიერებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება. საწარმოების მიერ პატენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება;
- აღსრულებაზე მიმართული - სასამართლო სისტემის ჩათვლით - რესურსების გაზრდა;
- საქართველოში მეკობრული და ფალსიფიცირებული საქონლის წარმოების შესწავლა და უფლებების მქონე პირებთან ეფექტიანი დიალოგის წარმართვა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2011 წლის სამოქმედო გეგმის მთავარი

მოთხოვნები ამ მიმართულებით გახლავთ შემდეგი:

- ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ არსებული ხელშეკრულებების განახლება და ახალი ხელშეკრულებების გაფორმება;
- ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოების უკეთ გათვითცნობიერებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება.

გარდა ამისა, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სისტემის ჩამოყალიბება ევროკავშირის მიერ ღრმა და

ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) შესახებ მოლაპარაკებების დაწყების ერთ-ერთ საკვანძო წინაპირობადაც იყო მიჩნეული.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით, ქართული კანონმდებლობა ძირითადად უკვე ჰარმონიზებულია ევროპულთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი პრობლემებია კანონმდებლობის აღსრულების თვალსაზრისით, მათ შორის ფალსიფიკაციასთან და პირატობასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

2.5.2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი და მისი გავლენა მრეწველობის განვითარებაზე.

გადასახადების წარმოშობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გადასახადების გადახდას საქართველოში საფუძველი სახელმწიფოს წარმოშობისთნავე ჩაეყარა.

თანამედროვე ქვეყნების საგადასახადო სისტემა ჩამოყალიბდა ამ ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით. ამიტომ გადასახადების სტრუქტურით განაკვეთებით, ამოღების წესით საგადასახადო სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

მეწარმეობის განვითარება შეუძლებელია ხელსაყრელი საგადასახადო სისტემის არსებობის გარეშე. ეკონომიკაში გადასახადის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა და სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბების პრობლემა საზოგადოების განვითარებასთან ერთად არათუ მოიხსნა არამედ გარკვეულწილად გამწვავდა.

1998 წლიდან 2004 წლამდე მოქმედებდა პირველი საგადასახადო კოდექსი რომლის მიხედვითაც თავიდან განსაზღვრული იყო 18 გადასახადი ხოლო მოგვიანებით დაემატა 3 სახის გადასახადი და სულ არსებობდა 21 სახის გადასახადი საქართველოში 1998-2004 წლებში.

2005 წლის პირველი იანვრიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსი ახალმა საგადასახადო კოდექსმა ჩაანაცვლა. ადრე არსებული 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ შვიდი და შემდგომ 2007-2008 წლებში ცვლილებების და დამატებების შედეგად დარჩა 6 სახის გადასახადი. შემცირდა ზოგიერთი გადასახადების განაკვეთები და დაბეგვრის ობიექტები. 2010 წლის 17 სექტემბერს საგადასახადო კოდექსში ახალი ცვლილებები შევიდა რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს, დროის გარკვეულ პერიოდში, კონკრეტულ სახელმწიფოში მოქმედი გადასახადებით დაბეგვრის არსებითი პირობების ურთიერთკავშირებულ ერთობლიობას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

გადასახადი არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საგადასახადო სისტემა მაშინ ფუნქციონირებს ოპტიმალურად, როდესაც ის აგებულია ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა: სამართლიანობა, თანასწორობა, ეკონომიკური ეფექტიანობა, სიმარტივე და განსაზღვრულობა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში საგადასახადო სისტემით უკმაყოფილება და მისი მწვავე კრიტიკა გამოწვეულია გადასახადების სამართლიანობის დეფიციტით. კერძოდ იმით, რომ ხშირ შემთხვევაში ეს გადასახადები მიჩნეულია არასამართლიანად. საგადასახადო სამართლიანობა გულისხმობს გადასახადით დაბეგვრის საყოველთაობას და მოქალაქეთა შორის მათი განაწილების თანაბრობას შემოსავლების მიხედვით.

ცნობილია სამართლიანობის ორგვარი გაგება: ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ჰორიზონტალურად სამართლიან საგადასახადო სისტემასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანები გადასახადით ერთნაირად, თანაბრად იბეგრებიან. ის საგადასახადო სისტემა, რომელიც ეწევა ადამიანთა დისკრიმინაციას რასის, ფერის, თუ სარწმუნოების მიხედვით, არასამართლიანი და მიუღებელია. მეორის მხრივ, ჰორიზონტალური სამართლიანობა პრაქტიკულად განუხორციელებელია, რამდენადაც არ მოიძებნება ორი ყოველმხრივ ერთნაირ პირობებში მყოფი ადამიანი, რომელთა მიმართ საგადასახადო დაბეგვრაში სამართლიანობის პრინციპები სრულად იქნება დაცული.

გადასახადის სახეებია საერთო-სახელმწიფოებრივი და

ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი გადასახადია ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება:

ა) საშემოსავლო გადასახადი;

ბ) მოგების გადასახადი;

გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);

დ) აქციზი;

ე) იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავთ გადასახადის გადამხდელებს და საგადასახადო აგენტებს. გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება. საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელმაც დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო აგენტი გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან. გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები. საწარმოს/ორგანიზაციის, მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო იურიდიული პირის საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება იურიდიული მისამართის მიხედვით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით საწარმოდ ითვლება შემდეგი

წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;

ბ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება;

გ) გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები.

საწარმოს არ მიეკუთვნება ინდივიდუალური მეწარმე.

გადასახადის ოპტიმალური განაკვეთის დადგენა ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, პრობლემური საკითხია. მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი, ერთი მხრივ, საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმიზაციას იწვევს და, მეორე მხრივ, გადასახადის გადამხდელებისთვის მძიმე ტვირთი არ არის. პრობლემურია იმიტომ, რომ ოპტიმალური განაკვეთის დადგენა ყოველთვის მოითხოვს ზუსტ პროგნოზირებას და საგადასახადო განაკვეთის დიფერენცირებას. დიფერენცირებული გადასახადის ეფექტიანი ადმინისტრირება კი გამართული საგადასახადო ადმინისტრაციის გარეშე შეუძლებელია. ამგვარი ადმინისტრაცია კი ყველა ქვეყანას არ გააჩნია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ ცნობილია შემთხვევა, როდესაც საქართველოს ძირითად საგზაო მაგისტრალთან ახლოს მდებარე რესტორანი 400 000 ლარით დაჯარიმდა. მას ჯარიმა დაეკისრა რესტორნის საქმიანობის ერთკვირიანი გამოძიების შემდეგ, რომლის დროსაც საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლები რესტორანში

ისხდნენ და მის კაპიტალბრუნვას აკონტროლებდნენ. მათ ამაზე დაყრდნობით გამოიანგარიშეს რესტორნის წლიური ბრუნვა. გამოძიების 2009 წლის აგვისტოში ჩატარებამ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს შავი ზღვის სანაპიროსკენ მიმავალ ძირითად მაგისტრალზე მდებარე რესტორნისთვის წლის ყველაზე სარფიანი პერიოდი იყო, უდავოდ გამოიწვია წლიური ბრუნვის მაჩვენებლის ხელოვნური ინფლაცია. მიუხედავად ამისა, შემოსავლების სამსახურმა, შეიარაღებულმა მათ მიერ გამოთვლილი რესტორნის წლიური ბრუნვის შეფასებით, რესტორნის მეპატრონეს წინა ორი წლის განმავლობაში გადასახადების გადაუხდელობაში დასდო ბრალი და დიდი ჯარიმა დააკისრა. ის ფაქტი, რომ 2008 წლის ზაფხულში ომის გამო რესტორანი დახურული იყო, შემოსავლების სამსახურის ყურადღების მიღმა დარჩა.

საგადასახადო ორგანოებთან მსგავს დავაში ჩაბმულ ბიზნესებზე პირდაპირი უარყოფითიგავლენის გარდა, ასეთი ქცევა, რამდენადაც ირონიულად არ უნდა მოგვეჩვენოს, ბიზნესების მხრიდან ოფიციალურ ეკონომიკაში მონაწილეობაზე და საგადასახადო ორგანოს ბადეში გახვევის პერსპექტივაზე გულის აცრუებას იწვევს.შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შექმნილი სიტუაცია ინვესტორების მხრიდან კაპიტალის საქართველოში დაბანდებისგან თავის შეკავებას განაპირობებს. ჟურნალ BusinessWeek Europe-ში დაბეჭდილ სტატიაში მითითებულია: „ელიტ ელექტრონიქსის“ საქმემ „მისცა სიგნალი, რომ ქვეყანაში ბიზნესის წარმოება არ არის ისე მარტივი, როგორც ამას მთავრობის მიერ პოტენციური ინვესტორების დასარწმუნებლად დადგმული სარეკლამო კამპანია წარმოაჩენს“

იმის აღიარების მიუხედავად, რომ გადასახადებით მანიპულირება საბაზრო პროცესების შეცვლასა და დამახინჯებას იწვევს, მრავალი განვითარებული ქვეყანა მაინც ხედავს აუცილებლობას, ეკონომიკაში გადასახადებით ჩაერიოს. მაგალითად, ირლანდიის გადასახადების სახელმწიფო კომისიას ვერ დავაბრალებთ ორთოდოქსული ფისკალური

მიდგომის გამოყენებას, როცა საქმე ეკონომიკაში გადასახადებით ჩარევას ეხება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ეს ორგანო ასეთ იდეოლოგიას ემხრობა: „მთავრობის ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკა უფრო ძლიერ გავლენას ახდენს ეკონომიკური საქმიანობის დონესა და ტიპზე, ვიდრე სპეციალური ღონისძიებების ნებისმიერი სპექტრი, რომლებსაც წამახალისებელ ღონისძიებებს უწოდებენ“. და მაინც, კომისიამ თავი ვალდებულად ჩათვალა, ეკონომიკაში ჩარეულიყო იმისთვის, რომ „საბაზრო ჩავარდნა გამოესწორებინა, საერთაშორისო მობილური ინვესტიციები მოეზიდა და სახელმწიფო პოლიტიკის სხვა სფეროებში შექმნილი სირთულეები სიტუაციის დაბალანსების გზით აღმოეფხვრა“. ირლანდია და მრავალი სხვა ქვეყანა, რომელთა დაბალი დაბეგვრის სისტემაც საქართველოს მთავრობას ხშირად მოჰყავს მაგალითად, მართლაც აანალიზებენ საფრთხეს, რომელიც

მოქალაქეების მაღალი, ხელის შემშლელი გადასახადებით ზედმეტად დატვირთვას ახლავს. ირლანდია ამ კუთხით არ არის დოგმატური და აღიარებს, რომ საგადასახადო ინსტრუმენტებს გარკვეული როლი აკისრიათ სახელმწიფოში ზოგადი პოლიტიკის გატარებისა და დასახული მიზნების მიღწევის საქმეში. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენების პრიორიტეტული სფეროა; წამახალისებელი ზომების მთელი წყება ინერგება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რომლებიც სამუშაო ადგილებს ქმნიან და მხოლოდ სახელმწიფოს აქტივების გაყიდვით მიღებულ მოგებას არ ემყარებიან. ფაბრიკა-ქარხნების ასაშენებლად საგადასახადო კრედიტის გამოყენება, საგადასახადო არდადეგები და საგადასახადო კრედიტები იმ დანახარჯებზე, რომლებიც ე. წ. კვლევასა და განვითარებას ხმარდება, დაბეგვრის მექანიზმების გამოყენებით საბაზრო ურთიერთობებში შექმნილი პრობლემების გადაჭრის რამდენიმე მოხერხებული მაგალითია.

იმის განსასაზღვრავად თუ ვინ რა დოზით გადაიხადოს გადასახადები, მსოფლიო პრაქტიკა იყენებს კრიტერიუმებს: 1) ადამიანთა პირველ ჯგუფს

მიაკუთვნებენ გადასახადის მეტი ოდენობით გადახდის ჯგუფს, 2) მეორე ჯგუფი ფლობს ეკონომიკური კეთილდღეობის მეტ შესაძლებლობას 3) მესამე ჯგუფი საერთო სახელმწიფო ხარჯებიდან მეტ შემოსავალს იღებს. ფიზიკური პირი აქვს რა უკეთესი ეკონომიკური პირობები, ვალდებულია მეტი გადასახადი გადაიხადოს. პრობლემა ისაა,რომ განვსაზღვროთ ვის აქვს უკეთესი ეკონომიკური პირობები. საგადასახადო სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს კეთილდღეობის განსაზღვრული ვიწრო-კონკრეტული გაგება და არა მოვლენათა და საერთო მდგომარეობის შეფასება.

მსოფლიო სამეურნეო კავშირების გლობალიზაციამ, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მიგრაციამ სხვადასხვა ქვეყნებს შორის საგადასახადო ურთიერთობების მოწესრიგების აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. ყოველი ქვეყანა მოწოდებულია უცხოელებთან–ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში დაიცვას როგორც თავისი, ისე მისი იმ მოქალაქეებისა და კომპანიების ინტერესები, რომლებიც ქვეყნის გარეთ იღებენ შემოსავალს.

საერთაშორისო საგადასახადო თანამშრომლობის ძირითადი მიზანია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი გადასახადის ავის არიდებაზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არარეზიდენტებისათვის ხელსაყრელი პირობების შეთავაზებით. ამ ამოცანების განსახორციელებლად გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა: საერთაშორისო სამართლის სფეროში საგდასახადო საკითხების ჩართვა; ორმხრივი საერთაშორისო საგაასახადო ხელშეკრულებების მიღება; ფისკალური პოლიტიკის ჰარმონიზაცია და ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობის უნიფიცირება საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ჩარჩოებში.

2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო–ევროკავშირის ევროპული

სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობს ხელს. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად საქართველო უნდა ეცადოს ეტაპობრივად მიუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირისას. ამავე მუხლში ჩამოთვლილია ის სფეროები, რომლებიც უნდა მოიცვას საკანონმდებლო ჰარმონიზაციამ, ესაა კომპანიათა ინვესტიციები, საბაჟო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, საბანკო სამართალი, კომპანიათა ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, მუშაკთა დაცვა სამუშაო ადგილებზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის წესები, სახელმწიფო შესყიდვები, ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არაპირდაპირი დაბეგვრა, ტექნიკური წესები და სტანდარტები, ბირთვული კანონმდებლობა და ტრანსპორტი.

მნიშვნელოვანია რამდენად დაცულები იქნებიან მეწარმეები სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ამ მიზნით საგადასახადო კოდექსში ჩადებულია მთელი რიგი მუხლები რომლებიც იცავს გადასახადის გადამხდელთა კონსტიტუციურ უფლებებს. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოებისაგან მიიღოს ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის შესახებ, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს მის შესახებ საგადასახადო ორგანოებში არსებულ ინფორმაციას.

ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში გადასახადების განაკვეთები ძირითადად დიფერენცირებულია, მაგ. ევროკავშირის ქვეყნებში არსებობს

დღგ-ის ძირითადი და დამატებითი განაკვეთები, ისევე როგორ არსებობს საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული (მინიმალური და მაქსიმალური) განაკვეთები. აშშ-ში ოდნავ განსხვავებული სისტემა არსებობს: ამ ქვეყანაში დღგ საერთოდ არ არსებობს და მას ბრუნვის გადასახადი ცვლის. საშემოსავლო გადასახადი კი ჩვეულებრივ დიფერენცირებულია.

რაც შეეხება ამ გადასახადების განაკვეთების სიდიდეს, დღგ-ის იგივე განაკვეთები აქვთ რუსეთს, აზერბაიჯანს და თურქეთს. უკრაინაში დღეს მოქმედი 20%-იანი განაკვეთი 2014 წლიდან ხდება 17% და უკრაინა ამ განაკვეთის სიდიდით რეგიონში ლიდერი ქვეყანა გახდება. საშემოსავლო გადასახადის დაბალი განაკვეთები აქვთ რუსეთს და უკრაინას.

მნიშვნელოვანია რამდენად დაცულები იქნებიან მეწარმეები სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ამ მიზნით საგადასახადო კოდექსში ჩადებულია მთელი რიგი მუხლები რომლებიც იცავს გადასახადის გადამხდელთა კონსტიტუციურ უფლებებს. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოებისაგან მიიღოს ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის შესახებ, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს მის შესახებ საგადასახადო ორგანოებში არსებულ ინფორმაციას.

საინტერესოა საქართველოში არსებული განაკვეთების მექანიზმის შედარება ევროკავშირის და მეზობელ ქვეყნებთან, ასევე, აშშ-სთან. დღგ-ის და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების დადგენის მექანიზმის მხრივ, საქართველო ჰგავს უკრაინას და რუსეთს. ამ ქვეყნებში არსებობს დღგ-ის და საშემოსავლო გადასახადის მონო-განაკვეთები (ერთადეთი ფიქსირებული განაკვეთი). ყველა სხვა შესადარებელ ქვეყნებში დიფერენცირებული განაკვეთები არსებობს. (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი 5).

ცხრილი 5.

დღგ.სა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები სხვადსხვა ქვეყნებში

	დღგ. ძირითადი	დღგ. დამატებითი	საშემოსავლო მინიმალური	საშემოსავო მაქსიმალურიი	შენიშვნა
ევროკავშირის ქვეყნები (საშუალო)	20.98	8.41	12.05	36.84	გამოყვანილია საშუალო განაკვეთი
აშშ.	10.25	0	0	45.55	დღგ.-ის ნაცვლად არის ბრუნვის გადასახადი
თურქეთი	18		15	35	
აზერბაიჯანი	18		0	30	
სომხეთი	20		10	20	საშემოსავლო გადასახადზე არის მხოლოდ ეს ორი განაკვეთი
რუსეთი	18			13	
უკრაინა	20			15	დღგ.-ის განაკვეთი 2014 წლიდან ხდება 17%
საქართველო	18			20	

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს, გარდა საგადასახადო ორგანოებისა, არ წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებით დაბეგვრის ობიექტების განსაზღვრასთან, გადასახადების გამოანგარიშებასთან და გადახდასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კოდექსით ასეთი უფლებამოსილება გადაცემული აქვს სხვა ორგანოებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით, მოგების და საშემოსავლო გადასახადებზე დაწესებულია მიმდინარე გადასახდელები (მუხლი 155). საწარმოები და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებულნი არიან მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, ოთხ თანაბარ ნაწილად; მიმდინარე გადასახდელები დაწესებულია, ასევე, ქონების გადასახადზე (მუხლი 205). საწარმო/ორგანიზაცია ქონებაზე გადასახადს იხდის მიმდინარე გადასახდელის სახით, გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით; მიმდინარე გადასახდელები, ფაქტიურად, წინასწარი გადასახდელებია და ნიშნავს იმ ას, რომ მეწარმის მხრიდან ჯერ კიდევ მიუღებელ მოგებაზე/ შემოსავალზე სახელმწიფო წინასწარ ახდევინებს გადასახადს, რაც გაუმართლებელია და მნიშვნელოვანი საგადასახადო ტვირთია მეწარმისთვის. ამასთან, მიმდინარე გადასახდელების თავისდროულ გადაუხდელობაზე მეწარმეს ერიცხება საურავები. მიმდინარე გადასახდელების გადახდას არ ითვალისწინებს ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა. ქვეყნები, სადაც ამგვარი გადასახადები არის გათვალის-წინებული, მას გაცილებით უფრო ცივილიზებული ფორმა გააჩნია.

საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას.

საგადასახადო ორგანო, მისი თანამშრომელი, მოწვეული სპეციალისტი ან/და ექსპერტი ვალდებულია დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მისთვის

ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. მას უფლება აქვს, ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასცეს მხოლოდ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს წევრებს – ამ პირთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;

ბ) სამართალდამცავ ორგანოებს – იმ პირთა შესახებ, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გ) სასამართლოს – სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების ან პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით;

დ) სხვა სახელმწიფოთა საგადასახადო ორგანოებს – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად;

ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს (შემდგომ – აღსრულების ეროვნული ბიურო) და კერძო აღმასრულებელს – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში ან/და საგადასახადო ორგანოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას;

ვ) საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატს) – საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად; და კანონით განსაზღვრულ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს დადგენილი წესის შესაბამისად.

საგადასახადო შემოწმების/კონტროლის უმთავრესი პრობლემაა დაუსაბუთებლად საბაზრო ფასის გამოყენება და გადასახადის გადამხდელისათვის დამატებით თანხების დარიცხვა. შემოწმების აქტების ანალიზი მოწმობს, რომ საგადასახადო შემოწმების/კონტროლის განმახორციელებელი მოხელე უთითებს, რომ გადასახადის გადამხდელი „დადგენილი წესით არ აწარმოებდა საბუღალტრო აღრიცხვას" და შემოსავლებს განსაზღვრავს საბაზრო ფასით. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში არ არის მითითებული, რას წარმოადგენს ეს „დადგენილი წესი", რომელიც დაირღვა. არ სახელდება რამე საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტი, რომელიც უნდა დაეცვა გადასახადის გადამხდელს. ამის შემდგომ იწყება უხეში დარღვევისა და უფლებამოსილების გადამეტების მეორე ნაწილი – საბაზრო ფასის გამოყენება. საგადასახადო სამსახური, ასევე, არ ასაბუთებს, თუ საიდან მიიღო/დაადგინა საბაზრო ფასი. ხშირ შემთხვევაში სახელდება არაპირდაპირი მეთოდი, მაგრამ კონკრეტული გაანგარიშება, ფასის განსაზღვრის წყაროები უცნობია, ფაქტობრივად არ არსებობს. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხდება ფასის განსაზღვრა ექსპერტიზისადმი მიმართვით.

მთავარი პრობლემაა, ასევე, შაბლონური შემოწმების აქტები. მონიტორინგის შედეგად შეიძლება დადასტურდეს, რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი იყენებს წინასწარ მომზადებულ შაბლონს, რომელშიც შეიტანება გადასახადის გადამხდელის დასახელება, მონაცემები და საბაზრო ფასით დარიცხული თანხები. ძირითადი ნაწილი მოიცავს საგადასახადო კოდექსის მუხლების გადატანას (ციტირებას), რომელიც ითვალისწინებს საბაზრო ფასის გამოყენებას. თუმცა ამ ნორმების შესაბამისობა ვერ ხდება „დარღვევებთან". დარღვევის სახეები კონკრეტულად არ არის დასახე-ლებული.

საგადასახადო შემოწმების/კონტროლის დებულებები უნდა იყოს შემზღუდავი და საგადასახადო მოხელეს არ უნდა აძლევდეს თვითნებური მოქმედების ფართო არეალს. უნდა დადგინდეს ინდიკატორები, რასაც უნდა პასუხობდეს შემოწმების აქტი. დაუსაბუთებელი აქტი ავტომატურად უნდა გამოცხადდეს ბათილად, რომელშიც არ მიეთითება დარღვევის კონკრეტული სახეობა, საბუღალტრო სტანდარტი, ფასის დაანგარიშების წყაროები და ა.შ.

2011 წლიდან საქართველოში საგადასახადო კოდექსში შემოიტანეს საგადასახადო ომბუდსმენდის ინსტიტუტი რომელსაც ასევე ბიზნეს ომბუდსმენდსაც უწოდებენ. საგადასახადო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას.

საგადასახადო ომბუდსმენი განიხილავს პირთა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც შეეხება საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს.

საგადასახადო ომბუდსმენი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სხვა კანონებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით.

საგადასახადო ომბუდსმენს უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოდან მიიღოს განმარტება გადასახადის გადამხდელის განცხადებასთან ან/და საჩივართან დაკავშირებულ საკითხზე.

გადასახადის გადამხდელის უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო ომბუდსმენი მიმართავს შესაბამის

ორგანოს და აძლევს რეკომენდაციას ამ უფლებების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

საგადასახადო ომბუდსმენს უფლება აქვს, არ გასცეს ინფორმაცია იმ ფაქტზე, რომელიც მას გაანდეს, როგორც გადასახადის გადამხდელთა უფლებების დამცველს.

მოქმედი საგადასახადო კოდექსი შეიცავს საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ შეღავათებს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს.

დადგენილი 30 000 - ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საქმიანობის სახეებზე.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მიკრო ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს.მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი, გარდა იბეგრება 5 პროცენტით. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლებისაგან, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა.

დღესდღეობით საქართველოში შემდეგი განაკვეთის მქონე გადასახადები მოქმედებს:

1) საშემოსავლო გადასახადი - 20 პროცენტი;

2) მოგების გადასახადი - 15 პროცენტი;

3) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)- 18 პროცენტი;

4) აქციზი- განაკვეთი მერყეევია

5) იმპორტის გადასახადი- 0%,5%ან 12 პროცენტი;

6) ქონების გადასახადი - ქონების თვითღირებულების 1 პროცენტი.

ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულმა რეფორმება მიღებულმა ცვლილებებმა საგადასახადო კოდექსში თითქოს გაამარტივა სახელმწიფოსა და მეწარმის ურთიერთობები ორი-სამი წლის წინ მეწრმეები წუხდნენ სახელმწიფოს მიერ გაურკვეველი საურავების დაკისრების გამო.

ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს გაურკვეველი უფრო სწორად კი ორაზროვანი მუხლები საგადასახადო კოდექსში, რომელშიც ასევე ჩადებულია ფინანსთა მინისტრის უფლება გაურკვევლობის შემთხვევაში თავად განმარტოს მუხლის შინაარსი. ეს რა თქმა უნდა არ იწვევს დიდ ნდობას მეწარმეებისათვის. თითქოსდა შემცირებული გადასახადების რაოდენობა და განაკვეთი ხელს უნდა უწყობდეს მეწარმეობის განვითარებას, განვიხილოთ ერთ ერთი მანქნათმშენებელი საწარმოს შპს.“ ილერკო“ -ს მდგომარეობა და გადასახადები რომელთა გადახდაც მას უწევს.

შ.პ.ს. "ილეკრო" აწარმოებს უნივერსალურ სახარატო ხრახნსაჭრელ ჩარხების გამას. 1 M63M და მის ბაზაზე შექმნილი ჩარხი გამოირჩევა მაღალი მწარმოელურობით და განკუთვნილია ცენტრებს შორის ან ვაზნაში დამაგრებული დეტალების სხვადსხვა სახის სახარატო დამუშავებისათვის. ჩარხზე კონუსების გაჩარხვა შესაძლებელია კონუსური სახაზავის გამოყენების გარეშე.(იხ.სურათი 1)

სურათი 1.



ახდენს ნებისმიერი სირთულის დეტალების მექანიკურ დამუშავებას; ყველა მოდელის ლითონდამამუშავებელ დაზგა-დანადგარების კაპიტალურ

შეკეთებას; სხვა და სხვა სახის სახალხო მეურნეობისათვის მოწყობილობების და მექანიზმების დამზადება-შეკეთებას. ნებისმიერი ნახაზით ნებისმიერი კვანძების აწყობა. ასევე მის საქმიანობაში შედის კოოპერაციულ საწყისებზე ნებისმიერი ზომის თუჯის ნაკეთობების და სხვადასხვა დეტალების ჩამოსხმა, სარეკლამო ფირნიშებისა და მაგისტრალური კონსტრუქციების დამზადება - დამონტაჟება.

შპს. "ილეკროს" წლიური ბრუნვა 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით არის შემდეგი:

2008 წელი – 107094 ლარი;

2009 წელი – 62357 ლარი;

2010 წელი – 156508 ლარი;

2011 წელი – 186249 ლარი;

2012 წელი – 184502 ლარი.

„ილეკრო" იბეგრება შემდეგი გადასახადებით : საშემოსავლო გადასახადი 20 პროცენტი; დამატებითი ღირებულების გადასახადი-18 პროცენტი; მოგების გადასახადი - 15 პროცენტი და ქონების გადასახადით.

როგორც ზემოთ მოყვანილი ინფორმაციიდან ჩანს შპს. „ილეკრო" არის საშუალო სიდიდის საწარმო, რომლის წლიური ბრუნვა 200 000 ლარს არ აღემატება და ვერც კი აღწევს. გადასახადების განაკვეთები რომლითაც ის იბეგრება ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას რაც ხელს უშლის საწარმოს პროდუქციას ჯანსაღი კონკურენცია გაუწიოს საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებულ მსგავს პროდუქტს რომლის ხარისხი იგივეა ხოლო ფასი კი გაცილებით ნაკლები ვიდრე „ილეკრო"-ს მიერ წარმოებული პროდუქციის.

2.5.3.სამოქალაქო სამართალი და მისი მოქმედება სამეურნეო დავების გადაწყვეტისას სამეწარმეო ბიზნესში.

სამოქალაქო სამართალი სიმდიდრის შექმნის სამართალია, იგი საშუალებას გვაძლევს თითოეულ ჩვენთაგანს მონაწილეობა მივიღოთ სიმდიდრის შექმნაში და თავადაც გავმდიდრდეთ. მდიდარი საზოგადოების გარეშე არც სახელმწიფო იქნება მდიდარი და ღარიბ სახელმწიფოს თავისთავად ეყოლება ღარიბი მოსახლეობა. სამრეწველო რევოლუცია მოგვიანებით კი ტექნოლოგიური რევოლუცია სწორედ კერძო საკუთრებისა და პიროვნების თავისუფლების შედეგად გახდა შესაძლებელი.

ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით სამოქალაო სამართალი პიროვნების თავისუფლების სამართლებრივი საფუძველია ეკონომიკურ კომერციულ ურთიერთობებში ხელშეკრულების თავისუფლად დადების თვალსაზრისით. სხვადსხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს,მეწარმეებს შეუძლიათ დადონ ნებისმიერი სახის ხელშეკრულებები და გარიგებები რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ნებისმიერ საწარმოს განვითარებისათვის ესაჭიროება სხვადსხვა სახის გარიგებებში შესვლა და ხელშეკრულებების დადება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წარმოიქმნა მრავალი საწარმოები კოოპერატივები სააქციო საზოგადოებები და ა.შ. რომლებიც საქმიან ურთირთობებში შედიოდნენ ერთმანეთთან ზეპირი გარიგების და შეთანხმების საფუძველზე რაც შემდგომ იწვევდა დაპირისპირებებს და ხშირად სისხლიან გარჩევებსაც კი ვინაიდან დავის გადაწყვეტა

სამართლებრივი გზით შეუძლებელი ხდებოდა გარიგების არსებობის დამტკიცების შეუძლებლობის გამო.

სამოქალაო კოდექსი ნათლად განმარტავს მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს გარიგებებისა და ხელსეკრულებების დადების დროს და შემდგომ მისი შესრულებისას. ასევე კარგადაა განმარტებული თუ რა არის გარიგება და რა არის ხელშეკრულება.

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით.

გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით.

გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენა, განმეორება ან აღბეჭდვა დასაშვებია იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, მათ შორის, ფასიან ქაღალდებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება.წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა.

სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ

ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის,მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც.

თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვა და სხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი. ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების

განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები.

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად. ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ შეიძლება გამსვლელ პირს ხელშეკრულების მეორე მხარისაგან განესაზღვროს ასეთი ვადა. ვადა უნდა იყოს გონივრული. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება, თუ უარი ვადის გასვლამდე არ იქნება გაცხადებული.

ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის (მორიგების) გზით, თუ, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ეს მორიგება ემყარება სინამდვილის შეუსაბამო გარემოებებს, და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ. დაურწმუნებლობას უთანაბრდება, როცა რაიმე მოთხოვნის განხორციელება საეჭვოა.

ნებისმიერი მხარე რომელიც დაარღვევს შეთანხმებას და ჩაიდენს რაიმე საზიანო ქმედებას მისი პარტნიორი საწარმოს ან ფიზიკური პირის მიმართ პასუხს აგებს სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით. სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ კანონით დადგენილი საფუძვლებითა და წესით. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი.

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება.თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს

შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლე. მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

ა) ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს;

ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს;

გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს.

პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით: ა) სარჩელზე, აგრეთვე განცხადებაზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ; და განცხადებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე.

ა[1]) აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებაზე;

ა[2]) საარბიტრაჟო წარმოებაში მოწმის დასწრების უზრუნველყოფაში და მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარების თაობაზე განცხადებაზე, არბიტრის დანიშვნასთან, აცილებასთან, უფლებამოსილების

შეწყვეტასთან, კომპეტენციასთან დაკავშირებულ განცხადებაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ა[3]) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სარჩელზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) შეგებებულ სარჩელზე;

გ) მესამე პირის სარჩელებზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;

დ) განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა აღძვრის შესახებ;

ე) სარჩელზე სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ;

ვ) სააპელაციო საჩივარზე;

ზ) საკასაციო საჩივარზე;

თ) კერძო საჩივარზე.

ი) განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

ი) საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების ან ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

კ) განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

ნებისმერი გადაწყვეტილება რომელსაც გამოიტანს პირველი ინსტანციის სასამართლო შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში. საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ამ ღირებულების ოდენობა ეჭვს იწვევს, საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს. არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე.

ნებისმერი სახის სამეურნეო დავები შეიძლება განხილულ იქნას საერთო სასამართლოში. როგორც ზემოთ ვახსენე დავის განხილვა მიმდინარეობს სასამართლო გზით თუ არ მოხდა მხარეებს შორის შეთანხმება. სასმართლო პროცესი დროში გაწელილია და მთელ რიგ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამიტომ მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს, მაგრამ მთავარი არის ის, რომ თუ მხარეებს გაუჩნდათ პრეტენზიები არბიტრაჟთან მიმართებაში საჩივრით ისევ სასამართლოს უნდა მიმართონ და არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებაც ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს.

2.5.4. კერძო საარბიტრაჟო საქმის განვითარების პრობლემები

ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო სასამართლოების განვითარება განსაკუთრებით კი კერძო არბიტრაჟის არსებობა.კერძო არბიტრაჟის განვითარებისთვის არ შეიძლება ქვეყანაში მხოლოდ ერთი არბიტრაჟი არსებობდეს. უნდა იყოს მრავალი არბიტრაჟი. კომპანიებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ალტერნატივა, რომ გადაწყვიტოს ვის ენდობა. აქ თავად არბიტრაჟის ინსტიტუტისადმი ნდობაა მნიშვნელოვანი. თუ მოდავე მხარეები არბიტრაჟს არ ენდობიან, ისინი იქ ცხადია არ წავლენ. არბიტრაჟი არ არის სასამართლო, სადაც სიმართლის დასადგენად, გვინდა თუ არ გვინდა უნდა წავიდეთ. სახელმწიფომ არბიტრაჟის ამოქმედების დელეგირება ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატას მიანიჭა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა გთავაზობთ დავების გადაწყვეტის სამართლიან, სწრაფ და ხელმისაწვდომ სერვისს პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს სახით.

ეკონომიკური დავები, კორპორაციებს შორის დავები, მოქალაქეებს შორის დავები, კორპორაციებსა და კლიენტებს შორის და პირიქით, ნებისმიერი ტიპის დავა გარდა სისხლის სამართლისა და სახელმწიფოსთან დავებისა წარმოადგენს მათი საქმიანობის სფეროს.

თუ თქვენმა მევალემ დაგიგვიანათ თანხის დაბრუნება, თუ თქვენ თვლით, რომ არ მიიღეთ კუთვნილი სქონელი ან მომსახურება, თუ დაირღვა თქვენი კონტრაქტით გათვალისწინებული ვადები და პირობები - სამართლიანობის აღსადგენად პალატის არბიტრაჟი ყველაზე მოსახერხებელი ინსტრუმენტია.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის საჭიროა საჩივრის შეტანა, რომელზეც უნდა იყოს ასახული ორი მხარის სრული მონაცემები, ასევე მათი დავის საგანი და ყველა არსებული დოკუმენტაცია რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ საქმესთან. საჩივრის მიღებისთანავე ხდება საქმის პროცედურული განხილვა, რომელსაც ახდენს არბიტრი. ქვემოთ წარმოდგენილია პროცედურები და საჩივრის ფორმა.

პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს პროცედურები:

- საარბიტრაჟო დავის განხილვისათვის საჭიროა შეავსოთ საჩივრის ფორმა.

- საჩივარი უნდა იქნეს დადასტურებული ხელმოწერით და მიტანილი/გაგზავნილი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს მისამართზე

- საჩივარს თან უნდა ახლდეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც არსებობს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

- საჩივირს მიღების შემდგომ, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო ატყობინებს მოპასუხე მხარეს დავის წარმოების შესახებ.

- მოპასუხის მიერ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადისა, სასამართლო ნიშნავს განხილვის დღეს.

- საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 30 დღის ვადაში.

მიუხედავად იმისა რომ სამრეწველო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლო მეწარმეებს სთავაზობს სრულ პაკეტს მომსახურების არ

შეიძლება ქვეყანაში არსებობდეს მხოლოდ ერთი საარბიტრაჟო სასამართლო. კერძო არბიტრაჟის არსებობა საშუალებას მისცემს მხარეებს უფრო სწრაფად და ეფექტურად გადაწყვიტონ დავები. ნებისმიერი დავა რომელიც დროში არის გაწელილი ერთნაირად წამგებიანია საქმიანი პარტნიორების ორივე მხარისათვის.

არბიტრაჟში საქმის განსახილველად საჭიროა არსებობდეს საარბიტრაჟო შეთანხმება დავის არბიტრაჟში განხილვის თაობაზე.

არბიტრაჟი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე დავის გადაწყვეტის მსოფლიოში დამკვიდრებულ და აღიარებულ სამართლებრივ ინსტიტუტს. არბიტრაჟი სწრაფად, ეფექტურად და მიუკერძოებლად განიხილავს საბანკო, კომერციულ, საფინანსო და სამოქალაქო დავებს. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეთათვის შესასრულებლად.

არბიტრაჟი დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. არბიტრაჟი ძლიერი ფინანსური ინსტიტუტებისა და ფიზიკური პირების არჩევანი ხდება იმ უპირატესობების გამო, რაც არბიტრაჟს სასამართლოსთან მიმართებაში გააჩნია. კერძოდ, არბიტრაჟში სამოქალაქო საქმის განხილვას სასამართლოსთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ დავა განიხილება მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა გაცილებით ნაკლებია ვიდრე სასამართლოში შესატანი ბაჟისა, რაც ფინანსურად მომგებიანია მოქალაქეებისთვის. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას თუ მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ და დროულ აღსრულებას.

2009 წლის „საქართველოს კანონის არბიტრაჟის შესახებ“ მიღებამდე ფუნქციონირებდა კანონი „კერძო არბიტრაჯის შესახებ“ რომლის გაუქმებას

შედეგად მოჰყვა ბიზნესმენთა დიდი უკმაყოფილება ვინაიდან გაუქმდა კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტი. ეს კანონი განასხვავებდა ორი სახის არბიტრაჟს - მუდმივმოქმედ და დროებით კერძო არბიტრაჟს. მათ შორის განსხვავება გამოიხატებოდა ასეთი სახის არბიტრაჟების შექმნის წესში. ,,კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მუდმივმოქმედ არბიტრაჟს უნდა ჰქონოდა ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ასევე, სავალდებულოა, რომ მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა რეგისტრაცია გაიაროს სასამართლოში „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ასეთი სახის საწარმოების (არბიტრაჟების) საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენდა მხარეთა შორის წარმოშობილი სამოქალაქო დავების განხილვა. ,,კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებული იყო მიეღო არბიტრაჟის დებულება, სადაც აისახება არბიტრაჟის დანიშვნისა და საარბიტრაჟო განხილვის წესები. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებულია, ამოქმედებამდე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოაქვეყნოს არბიტრაჟის დებულება. რაც შეეხება დროებით არბიტრაჟს, მათი შექმნის წესი უფრო გამარტივებულია. დროებითი არბიტრაჟი იქმნება ყველა კონკრეტულ სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით და მისი რეგისტრაცია სასამართლოში არ არის სავალდებულო.არბიტრაჟი შესაძლებელია შედგებოდეს როგორც ერთი, ისე, რამდენიმე წევრისაგან. არ დაიშვება ისეთი შეთანხმება, რომლის ძალითაც არბიტრაჟის წევრთა დანიშვნისას ერთ-ერთ მხარეს ენიჭება უპირატესი მდგომარეობა. ასეთი შეთანხმება, კანონის თანახმად, ბათილია. თუ არბიტრების რაოდენობა ერთზე მეტია, მაშინ არბიტრაჟის წევრები ერთ-ერთ მათგანს ნიშნავენ თავმჯდომარედ. არბიტრაჟის თავმჯდომარეს არბიტრები ნიშნავენ მისი შექმნიდან ხუთი დღის ვადაში, ან პირველსავე სხდომაზე. თავმჯდომარის დანიშვნის ვადის საკითხის გადაწყვეტისას შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ იქნას გათვალისწინებული.

საქართველოში დღეს დღეობით მოქმედებს რამოდენიმე მუდმივმოქმედი არბიტრაჟი რომელთა საქმიანობაც მოწესრიგებულია კანონით არბიტრაჟის შესახებ. მოქმედი კანონი არბიტრაჟის შესახებ სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. კანონის მიღების შემდგომ რომელიც ამოქმედდა 2010 წლიდან საკმაოდ სწრაფად გამრავლდნენ დაბალი დონის კერძო არბიტრაჟები რომელთა გადაწყვეტილებები მოკლებულ იქნა სანდოობას, ისინი გადაიქცნენ დამოუკიდბელი არბიტრაჟების ნაცვლად პირად არბიტრაჟებად. ძალიან მნიშვნელოვანია მოხდეს კანონის ისე დახვეწა რომ საქართველოში მოქმედი კერძო არბიტრაჟები აკმაყოფილებდნენ მსოფლიო სტანდარტებს მათი პროფესიონალიზმით, მიუკერძოებლობითა და სანდოობით.

მნიშვნელოვანია დავუბრუნოთ სანდოობა კერძო არბიტრაჟს რაც კანონის სრულყოფით უნდა მოხდეს. "ბიზნესასოციაცია", რომელიც ძირითადად მსხვილი კომპანიებისგან შედგება, კერძო არბიტრაჟის ჩამოყალიბებას, მაღალი კონკურენციისა და სათანადო კანონმდებლობის საფუძველზე მიესალმება. "ბიზნესასოციაციის" პრეზიდენტი სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას განმარტავს, რომ კერძო არბიტრაჟის ნდობის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე მის მუშაობაში უცხოელი არბიტრებიც ჩეართონ, რაც თავის მხრივ ნდობასთან ერთად მუშაობის გამოცდილებასც გაზრდის.

უცხოელი არბიტრების მოწვევა დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული თანაც იმ დროს როდესაც ჩვენ გვყავს ბევრი კომპეტენტური არბიტრი, მაგრამ რამდენად ენდობა ქართული საზოგაოება მათ. პირველ ეტაპზე ალბათ, მართლაც მნიშვნელოვანია ევროპის გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინება. არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან. არბიტრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები. მხარეები ნიშნავენ თანაბარი რაოდენობის არბიტრებს. არბიტრების ერთზე მეტი რაოდენობა საქმის განხილვისას

იწვევს მეტ ნდობას მხარეების მიერ, სწორედ აქ შეიძლება ერთი უცხოელი არბიტრის ჩართვა. როგორც აღვნიშნეთ უცხოეთიდან მოწვეული არბიტრის მომსახურება გაცილებით უფრო ძვირი დაუჯდებათ მოდავეებს ვიდრე ადგილობრივი არბიტრისა რაც უკვე თვითონ შეუძლიათ გადაწყვიტონ უღირთ თუ არა. თუმცა კარგი იქნება თუ არბიტრაჟი უზრუნველყოფს ამ არჩევანის გაკეთების საშუალებას.

2.6 . საქართველოს მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის მიმართულებები

2.6.1. სამართლებრივი მექანიზმებით სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და მოსალოდნელი შედეგები

ევროპის პოზიტიური გამოცდილების გათავისება მნიშვნელოვანია სამამულო ეკონომიკის დაცულობის ასამაღლებლად გლობალური გამოწვევების წინაშე. ეს გამოწვევები საჭიროებს რაციონალური ზომების მიღებას სამრეწველო პოლიტიკის დონეზე და პრინციპულად ახალი სამრეწველო სტრატეგიის ამუშავებას. თითოეული სახელმწიფოს როლი და წონა მსოფლიოში ფასდება მის მიერ ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების შემუშავება დანერგვის და თანამედროვე ნეგატიური ადეეკვატური რეალობის დაძლევის მიხედვით.

სხვა სახელმწიფოების გამოცდილების წარმატებული გაზიარების საწინდარი მისი კრიტიკული გააზრებაა. განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამრეწველო პოლიტიკის სრულყოფა მომდინარეობს უკვე მრავალი წელია. მნიშვნელოვანია ავიღოთ სამრეწველო განვითარების საუკეთესო მოდელი და მოვარგოთ ჩვენს ქვეყანას მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის მდებარეობა, რესურსების პოტენციალი, მუშახელის პროფესიონალიზმი და მომზადების დონე.

სამრეწველო პოლიტიკის გატარება ხელს უწყობს პროდუქციის წარმოების პოტენციალის შექმნას და ამ პროდუქციის მოთხოვნადობას მსოფლიო ბაზარზე.

წარმოვადგინოთ შედარებითი ანალიზი სამრეწველო წარმოების იაპონიის, აშშ-ს გერმანიის და დიდი ბრიტანეთის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით: სამრეწველო წარმოების ინდექსი, ჩართული სამრეწველო სიმძლავრეები, სამრეწველო შეკვეთების მოცულობა, სამრეწველო ინდექსი PMI. (ცხრილი 6)

ცხრილი 6.

სამრეწველო წარმოების ინდექსი, ჩართული სამრეწველო სიმძლავრეები, სამრეწველო შეკვეთების მოცულობა, სამრეწველო ინდექსი PMI

მაჩვენებელი	2009წ.	2010 წ.	2011წ.
	იაპონიის სამრეწველო წარმოება		(1,6)
სამრეწველო წარმოების ინდექსი %	90,4	94,8	93,4
ჩართული საწარმოო სიმძლავრეები %	84,1	89,3	89,4
	აშშ-ს სამრეწველო წარმოება		(2,6)
სამრეწველო წარმოების ინდექსი %	86,7	92,6	92,3
ჩართული საწარმოო სიმძლავრეები %	70,8	76,8	78,6
სამრეწველო შეკვეთების მოცულობა, მილიარდ დოლარებში	4238,9	4784,3	5368,7
ფასის კომპონენტი ინდექსი ISM	61,5	72,5	47,5
	გერმანიის სამრეწველო წარმოება		(3,6)
სამრეწველო წარმოების ინდექსი %	96,2	107,1	109,4
სამრეწველო შეკვეთების მოცულობა %	92,6	110,6	110,8
ფასის კომპონენტი ინდექსი PMI	52,7	60,7	51
	დიდი ბრიტანეთის სამრეწველო წარმოება		(4,6)
სამრეწველო წარმოების ინდექსი %	90,5	93,5	90,4
გადამამუშავებელი სამრეწველო წარმოების მოცულობა %	91	94,9	95,6
ფასის კომპონენტი ინდექსი PMI	54,6	58,7	47,6

მრეწველობის განვითარების საუკეთესო მაგალითია იაპონიის ეკონომიკა, რომელმაც გაიარა გზა სუსტი თითქმის განადგურებული მეურნეობიდან დღეს მნიშვნელოვანად განვითარებულ ეკონომიკამდე. ამ ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკა მკვეთრად გამოხატული არის სხვა ქვეყნებთან შედარებით. იაპონურმა ეკონომიკამ გვიჩვენა ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებული სისწრაფე. მთავარი კითხვა არის მართლაც სამრეწველო პოლიტიკის შედეგად განვითარდა ასე სწრაფად მრეწველობა იაპონიაში თუ არა. არის ორი მიზეზი რის გამოც შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოს როლი არ იყო გადამწყვეტი პირველი მიზეზი არის ის რომ შესაძლოა თავისუფალი საბაზრო პრინციპების შესაბამისად ინდუსტრიის განვითარება მოხდებოდა სახელმწიფოს ჩარევის გარეშეც და მეორე ის რომ ეკონომიკა სახელმწიფოს ჩაურევლადაც დარეგულირდებოდა. თუმცა სახელმწიფოს მთავრობამ თავიდან გადაკეტა რესურსების განაწილების ნორმალური არხები ვალუტის და კრედიტების ადმინისტრაციულად გადანაწილების შემოღებით, ხოლო შემდეგ თავის თავზე აიღო ბაზრის რეგულირების როლი და დაიწყო რესურსების პირდაპირ გადანაწილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სახელმწიფო იღებდა ჯანსარ გადაწყვეტილებებს, რომლის განხორციელება ბაზარს თვითონაც შეეძლო. იაპონიის გარე ვაჭრობის კურსი დიდად არ განსხვავდებოდა იმ სტრუქტურისაგან რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკური რესურსებიდან და განვითარების დონიდან გამომდინარე.

იაპონიის წარმატება მრავალი მიზეზით შეიძლება ავხსნათ: მას ჰქონდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი დონის დანაზოგი, განათლების ეფექტური სისტემა, კარგი შეთავსება კაპიტალსა და შრომას შორის, ცხოვრებისეული ფასეულობების სისტემა, რომლის საშუალებითაც მთელი ცოდნისა და რესურსების მიმართვა ხდებოდა კორპორაციების მართვისაკენ. შესაძლოა სამრეწველო პოლიტიკა ხელის შემშლელიც კი იყო განვითარების გზაზე.

იაპონიის სამრეწველო პოლიტიკის რეალიების გასაგებად მისი ისტორიისათვის თვალის გადავლებაა საჭირო. მას ხშირად მიიჩნევენ საზოგადოებად რომელიც აგებულია თითქმის საომარ პრინციპებზე ეკონომიკური მიზნების მიღწევის განხრით.

ჩავატაროთ პატარა კვლევა ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო პოლიტიკის თავისებურებების. აშშ მხარს უჭერს თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიას, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვას, ისე როგორც იაპონიაში, მიუხედავად ამისა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს მთვრობამ დიდი როლი ითამაშა მთელი რიგი სფეროების ზრდის სტიმულირებაში. უფრო აშკარად ეს ხდებოდა სოფლის მეურნეობის სფეროში.

როგორც ვიცით სამეცნიერო სიახლეებზე საკუთრების უფლების ცნობა დიდი პრობლემაა ამა თუ იმ, დარგში. სოფლის მეურნეობაში რომელიც ძირითადად ეფუძნება საოჯახო ფერმებს ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას, ვინაიდან ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიების შემოტანისას ის ვინც პირველი ნერგავს მას, ეწევა უფრო მეტ რისკს და ამიტომ საჭიროებს სახელმწიფოსაგან დაცვას. ამიტომ ამერიკის მთავრობა ორგანიზებას უწევა მეცნიერული სიახლეების კვლევას და შემდგომ ავრცელებდა ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო სამსახურების მიერ.

ასევე სახელმწიფო მონაწილეობდა სხვადსხვა მსხვილმაშტაბურ აქციებში, როგორიც იყო მაგალითად საირიგაციო სისტემების მშენებლობა. ასეთი ჩარევა სახელმწიფოსაგან სწორად მიაჩნდათ სამრეწველო პოლიტიკისადმ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ეკონომისტებსაც კი.

მეორე ამოცანა ამერიკის მთავრობის არის- თავდაცვა. მაღალი ეროვნული შემოსავლების მქონე და სხვა მრეწველობა განვითარებულ სახელმწიფოთა შორის აშშ-ს აქვს ყველაზე მსხვილი საომარი ტექნიკის ბაზარი.

ევროპელი ანალიტიკოსები ამერიკის სამრეწველო პოლიტიკას თვლიან არანაკლებ ეფექტურად იაპონიის სამრეწველო პოლიტიკაზე. ამერიკის ეკონომიკის სამრეწველო დარგი იყო ერთ-ერთი დარგი რომელიც 2011 წელს მისაღებ შედეგებს აჩვენებდა. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის ნოემბეის მაჩვენებელი ნეგატიური იყო, დეკემბერში 0,4 %-იანი ზრდა დაფიქსირდა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ და ავღნიშნოთ, რომ გერმანის გამოცდილება სამრეწველო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში მართლაც, რომ იმსახურებს ყურადღებას. სამეურნეო წესრიგის პოლიტიკაში, მთავარი როლი ენიჭება პირდაპირ სახელმწიფო რეგულირებას სამეურნეო პროცესების.

ბოლო წლებში გერმანიის მზარდი ინტერესი სამრეწველო პოლიტიკის მიმართ განპირობებულია იმით, რომ ერთი მხრივ დაიცვას ეროვნული მრეწველობ, რომელსაც აქტიურად იყენებენ პარტნიორები ევროკავშირიდან, განსაკუთრებით საფრანგეთი. სამრეწველო პოლიტიკის მეშვეობით სახელმწიფო ადხენს კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებას სხვადსხვა სამრეწველო დარგების და სექტორების.

გერმანიის ძირითადი კონკურენტები გლობალურ ბაზარზე არიან აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, რომლებიც ასევე ატარებენ აქტიურ სამრეწველო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია არც თუ ისე იშვიათად ეროვნული დარგების პროტექციონისტური მხარდაჭერისაკენ. მსოფლიო კრიზისმა ეს ეროვნული სამრეწველო პოლიტიკის პროტექციონისტური მიმართულება უფრო გააქტიურა.

გერმანია მეტ ყურადღებას უთმობს დარგობრივ სტრუქტურულ პოლიტიკას ადგილების, მიწების, კომუნების დონეზე. ამ საუკუნის სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ გერმანიაში არსებული რეგიონალური კლასტერები. რეგიონალური კლასტერი ეს არის კომპანიების დაჯგუფება,

რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან კოოპერაციით და შრომის დანაწილებით, რათ მათ აძლევთ საშუალებას გააძლიერონ საკუთარი კონკურენტული უპირატესობა.

წინასწრ მონაცემებზე დაყრდნობით სეზონური რყევების და სამუშაო დღეების ვარიაციების გათვალისწინებით. 2013 წლის ნოემბერში სამრეწველო წარმოების ბრუნვა ოქტომბერტან შედარებით 3.0%-ით გაიზარდა. შიდა ბრუნვა გაიზარდა 2.2%-ით უცხო ქვეყნების მომხმარებელთან წარმოებული ბიზნესი 4.0 %-ით, ხოლო გაყიდვები ევრო კავშირის არეალში 4.3%-ით. სამრეწველო პროდუქციის ბრუნვა ყოველ თვიურად იზრდება ასევე მრეწველობის სხვადსხვა დარგების ბრუნვა.

ეს იმ ფონზე როდესაც გერმანიას მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი ინდუსტრიული ქვეყანაა მაინც უწევს სამრეწველო პოლიტიკის გატარება რათა მოახდინოს სამამულო წარმოების სხვადსხვა დარგების სტიმულირება რომლებიც ვერ უძლებენ თანამედრო მსოფლიო ბაზრის გამოწვევებს.

გერმანიის მრეწველობა უზრუნველყოფს ქვეყნის ლიდერობას მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე. უფრო მეტად კონკურენტუნარიანი დარგებია:

- მანქნათმშენებლობა;
- ელექტროტექნიკური მრეწველობა;
- მთლიანად მანქანათმშენებლობა (დანადგარების წარმოება, სხვადსხვა ხელსაწყოები);
- სატრანსპორტო მანქნათმშენებლობა (ვაგონთმშენებლობა);
- ქიმიური, ფარმაცევტული და პარფიუმერულ-კოსმეტიკური;
- ზუსტი მექანიკა და ოპტიკა;
- შავი მეტალურგია;
- საავიაციო და კოსმიური მრეწველობა;
- საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნიკის წარმოება.

ჩვენ განვიხილეთ რამოდენიმე წამყვანი მრეწველობის მქონე ქვეყნის მაგალითი იმისა თუ როგორ ცდილობენ მრეწველობის უფრო მეტად განვითარებას და არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას სამრეწველო პოლიტიკის გატარებით. ნებისმიერი სახის სახელმწიფოს ჩარევა ამა თუ იმ დარგში ხდება კანონის დაცვის ფარგლებში. სახელმწიფოს ჩარევა სამრეწველო საწარმოების განვითარების საქმეში უნდა განხორციელდეს ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებით.

2.6.2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-ში წარმოდგენილია, სახელმწიფოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტული საკითხები და ხედვა თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2020 წლისათვის.

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც იქნება ეფექტური ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფისათვის. სახელმწიფოს მიზანია გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპია კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა. ამისათვის კი

საჭიროა მოხდეს ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბება, დაცული იყოს საკუთრების უფლება.

სტრატეგიაში დეტალურად არის აღწერილი ის პრობლემები და პრიორიტეტები რომელთა გადაჭრა აუცილებელია ქვეყნის მდგრადი და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის.

სამთავრობო სტრატეგიაში განსაზღვრულია რიგი პრიორიტეტული მიმართულებები, მათ შორის:

- საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება;
- ინოვაციისა და ტექნოლიგიების განვითარების ხელშეწყობა;
- ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება;
- სოციალური უზრუნველყოფის სისტემების სრულყოფა;
- ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარება.

კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოკვეთილია სამი მნიშვნელოვანი ძირითადი მიმართულება: 1. კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა; 2. არასაკმარისად განვითარებული ადამიანური კაპიტალი; 3. ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ მიმართული რეფორმები არ აღმოჩნდა საკმარისი მწარმოებლურობის, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და შესაბამისი ეკონომიკური ზრდის საფუძველის შესაქმნელად.

მწარმოებლურობის ზრდა ყველაზე ნაკლებად მოხდა მრეწველობის დარგში სადაც განვითარების დონე და საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ბევრ სხვა ინდიკატორთან ერთად მოხმარებაში იმპორტის წილითა და იმპორტისა და ექსპორტის თანაფარდობით ხასიათდება. იხილეთ ცხრილი .7. სადაც მოცემულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ციფრები მილიონ აშშ დოლარში.

ცხრილი .7

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2004-2010 წლები მლნ.აშშ დოლარი

	2004	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
ექსპორტი	646,9	866,7	993,1	1232,4	1496,1	1134,9	466,1
იმპორტი	1847,9	2490,9	3681,2	5214,9	6304,6	4378,1	1404
წმინდა ექსპორტი	-1201	-1624	-2688	-3983	-4809	-3243	-937,9
იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი	35,0	34,8	27,0	23,6	23,7	25,9	33,2

სამწუხაროდ, ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებს იმ მდგომარეობას რომელშიც საქართველოს ეკონომიკა იმყოფება. ექსპორტი დაახლოებით 3-4-ჯერ ჩამორჩება იმპორტს. საქართველო მოიხმარს წელიწადში დაახლოებით 4 მლრდ. დოლარით მეტს, ვიდრე აწარმოებს. 2010 წლის იანვარ-მაისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 2434 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა,

რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 22 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 608 მლნ. აშშ დოლარი იყო (შესაბამისად 49 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი – 1827 მლნ. აშშ დოლარი (14 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2010 წლის იანვარ-მაისში 1219 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (შესაბამისად 3 პროცენტით მეტი). 2010 წლის იანვარ-მაისში 2008 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 24 პროცენტით, ექსპორტი 0.2 პროცენტით, ხოლო იმპორტი 30 პროცენტით შემცირდა. რაც შეეხება უარყოფით სავაჭრო ბალანსს, 2010 წლის იანვარ-მაისში 39 პროცენტით ნაკლები დაფიქსირდა, ვიდრე 2008 წლის შესაბამის პერიოდში. კიდევ უფრო მძიმეა მდგომარება, თუ განვიხილავთ ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურას.მიუხედავად იმისა, რომ უკვე ცნობილია როგორც 2009, ისე 2010 წლის პირველი ხუთი თვის შედეგები, ვფიქრობთ, ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურაზე ყველაზე კარგ წარმოდგენას. 2008 წლის სტრუქტურა მოგვცემს, სწორედ 2008 წელს იყო საქართველოდან ექსპორტირებული ყველაზე დიდი რაოდენობით საქონელი.

2013 წლის იანვარ–აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 3006 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 4 პროცენტით ნაკლებია; აქედან ექსპორტი 785 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (8 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი – 2220 მლნ. აშშ დოლარს (8 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2013 წლის იანვარ–აპრილში 1435 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 48 პროცენტი შეადგინა.

2013 წლის იანვარ – აპრილში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 785 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 1 3 0მლნ. აშშ დოლარი იყო (6 პროცენტით ნაკლები), ხოლო

იმპორტი – 655 მლნ. აშშ დოლარი (14 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 26 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 16 პროცენტი და იმპორტში 30 პროცენტი. (2012 წლის იანვარ–აპრილში – შესაბამისად 29, 19 და 32 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 37 პროცენტი (2012 წლის იანვარ–აპრილში ასევე – 37 პროცენტი). დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2013 წლის იანვარ–აპრილში 994 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2012 წლის იანვარ–აპრილთან შედარებით 0,4 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტმა 430 მლნ. აშშ დოლარს (27 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტმა – 564 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (13 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 33 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 55 პროცენტი და იმპორტში 25 პროცენტი. (2012 წლის იანვარ–აპრილში –შესაბამისად 32, 47 და 27 პროცენტი). დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 9 პროცენტი (2012 წლის იანვარ –აპრილში – 19 პროცენტი).

2013 წლის იანვარ – აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნულ ქვეყნებთან უარყოფითი სავაჭრო სალდო 57 პროცენტით შემცირდა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში.

2013 წლის იანვარ–აპრილში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (440 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (398 მლნ. აშშ დოლარი) და უკრაინა (225 მლნ. აშშ დოლარი). დსთ-ის ქვეყნების წილი ბრუნვაში 2013 წლის იანვარ-აპრილში 33%-ია, ევროკავშირის ქვეყნების 26%, ხოლო დანარჩენი ქვეყნების 41%. იხ. ნახაზი (6)



ნახაზი 6. ქვეყნების ჯგუფების წილი ბრუნვაში 2013 წლის იანვარ–აპრილში.

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა შეიძლება ითქვას, რომ 2004-2009 წლებში საქართველოში განხორციელებულმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ, ხელი შეუწყო სტაბილური ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატა ინფლაციის ტემპების შემცირებით, სტაბილური სავალუტო კურსის შენარჩუნებითა და განუხრელი ეკონომიკური ზრდით.სულ 2003-დან 2009 წლამდე მშპ 40%-ით გაიზარდა (2008 წლის ჩათვლით 46,3%), ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა (ზრდამ შეადგინა 188%) საფინანსო მომსახურებაში, ასევე კავშირგაბმულობაში (114%), ოპერაციები უძრავი ქონებით (103%). (იხ. ცხრილი 8.)

ცხრილი .8.

2004-2009 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

	2004	2005	2006	2007	2008	2009
მშპ საბაზრო ფასებში (მლნ. ლარი)	9 824,3	11 620,9	13 789,9	16 993,8	19 074,9	17 948,6
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი)	2 276,7	2 689,1	3 133,1	3 866,9	4 352,9	4 092,8
გაცვლითი კურსი (ლარი აშშ დოლარი)	1,9170	1,8127	1,7767	1,6707	1,4902	1,6705
ეკონომიკის ზრდა	105,9	109,6	109,4	112,3	102,3	96,1
მშპ დეფლატორი	108,1	107,9	108,5	109,7	109,7	98,0
საქართველოს სახელმწიფო ვალი(მლნ.ლარი)	4,155,5	3,509,0	2,954,2	3,015,3	4,407,4	5,927,4
მშპ.მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ.დოლარი)	1 187,6	1 438,5	1 763,5	2 314,6	2 921,1	2 450,1

ამავე დროს გადასახადები პროდუქციაზე გაზრდილია 2008 წელს 2003 წელთან შედარებით 356,4%-ით, ხოლო სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული ხარჯები გაიზარდა 390%-ით, ხოლო სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული ხარჯები კოლექტიურ მომსახურებაზე გაზრდილია 759%-ით. 2003 წელს სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-სთან 11,9% იყო, იგივე მაჩვენებელმა 2008 წელს 25,2% შეადგინა.

2009 წელს ეს მაჩვენებლები შემცირდა, თუმცა გავლენა მოახდინა არა იმდენად ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებამ, რამდენადაც კრიზისმა. ეს ციფრები გვარწმუნებს, რომ რესურსები მთლიანად ხელისუფლების ხელშია მობილიზებული. ინვესტირებისათვის შიდა ფინანსური რესურსი საკმარისი არ არის. 2009 წელს ძირითადი კაპიტალის ფორმირებაზე 2,6 მლრდ. ლარი მიიმართა რაც წინა წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 63%-ია, მარაგები კი თითქმის ნახევარი მილიარდი ლარით შემცირდა.

გასათვალისწინებელია, რომ ომის შემდგომ რუსეთის აგრესიის შედეგების მინიმიზაციის მიზნით, საქართველომ დონორთა უპრეცედენტო დახმარება - 4,5 მლრდ აშშ დოლარი - მიიღო, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა დაცემის ამპლიტუდა.

"გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი - 2012-2013 " - ში საქართველომ დაიკავა 77-ე ადგილი და ათი პუნქტით გააუმჯობესა ერთი წლის წინანდელი მაჩვენებელი. კვლევა მოამზადა „მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა“, რომელმაც 144 ქვეყნის 14 ათასამდე მაღალი რანგის ბიზნესმენი გამოკითხა. „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი შედგენილია 127 მახასიათებლის მიხედვით. ყველა ქვეყანას თითოეული მახასიათებლის მიხედვით ენიჭება კონკრეტული ქულა. ასე მაგალითად, ცალკეულ პუნქტებში საქართველო 144 ქვეყანას შორის ლიდერ პოზიციაზეა. ესენია : ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების სიმსუბუქე, მცირე გადასახადები, დაბალი საბაჟო ტარიფები, ბიზნესის მარტივი რეგისტრაცია და სხვა.

„საქართველო 2020“ -ის ძირითად ამოცანად დასახულია კერძო სექტორის მწარმოებლურობის და შესაბამისად მისი კონკურენტუნარიანობის სტაბილური ზრდა. ამ მიზნით მთავრობა აპირებს შექმნას „ ეროვნული განვითარების საბჭო“.

თავისთავად არსებული პრობლემის აღმოჩენა და გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია მისი აღმოფხვრის გზაზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სტრატეგიაში ასახული პრობლემები ძალიან მნიშვნელოვანია, სამუშაო მიმართულებები კი სწორადაა შერჩეული

მსოფლიო ბანკის მთავარმა ეკონომისტმა ჰანს თიმერმა მოიწონა „საქართველო 2020“, მსოფლიო ბანკი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას დადებითად აფასებს.

პროექტმა ძირითადად დადებითი შეფასებები მიიღო საზოგადოების მხრიდან. მასში ასახული პრობლემების გადაჭრა მართლაც რომ მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკური წინსვლის საქმეში.

„შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 10 წელიწადია, მთავრობას არ მოუმზადებია მსგავსი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ხედვას, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა. ის თვისობრივად განსხვავდება წინა ეტაპზე მომზადებული დოკუმენტებისგან. სტრატეგიის პროექტი ასახავს რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს: პირველი – ქვეყანა უნდა იყოს ინოვაციურ ეკონომიკაზე დაფუძნებული, მეორე – მისი ვექტორი არის ევროინტეგრაცია, ევროკავშირთან თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმება და მის ბაზაზე საქართველოს ეკონომიკის განვითარება. დოკუმენტში წარმოდგენილი პროგნოზები დღევანდელი გადმოსახედიდან რეალისტურია, თუმცა, ამავე დროს, აუცილებელია ამ პროგნოზების მუდმივი განახლება და დაზუსტება“, – აცხადებს მრჩეველთა საბჭოს წევრი თსუ-ს რექტორი, **ლადო პაპავა.**

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ინოვაციების დაბალი დონე. ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელია და დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და

განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში.

ინოვაციის გლობალურ ინდექსში 2013 (GII) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) საქართველოს 44-ე ადგილი უკავია 131 ქვეყანას შორის. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI) 2013-2014 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს: ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი –118-ე ადგილი; კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D)–128-ე ადგილი. დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები: უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა – მე-100-ე ადგილი; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ–117-ე ადგილი. არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ- ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისთვის. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა. ამიტომაც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას, სტრატეგიის მიხედვით, წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება.

ამერიკის შეერთებულ შტატებს საუკეთესოდ განვითარებული ეკონომიკა აქვს, მაგრამ მაინც საჭიროდ თვლის სამრეწველო პოლიტიკის გატარებას ინოვაციების დანერგვის საკითხთან მიმართებაში. ვინაიდან

მწარმოებელი, რომელიც აპირებს დანერგოს თავის წარმოებაში ინოვაციური ტექნიკა ეწევა გარკვეულ რისკს აქედან გამომდინარე იგი საჭიროებს სახელმწიფოსაგან თანადგომას და მისი უფლებების დაცვას.

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ადგილი დღესდღეობით განისაზღვრება არა იმდენად მუშა ხელისა და ნედლეულის სიუხვით, რამდენადაც ადამიანის კაპიტალის ხარისხით, განათლების დონით, ცოდნის პრაქტიკული გამოყენებითა და ეკონომიკის ინოვაციური აქტივობით.

სწორედ ამიტომაა, რომ ბოლო წლებში, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პროცესში, აღინიშნება მეცნიერების როლის გათვითცნობიერებისადმი ინტერესის ახალი აღმავლობა. იგი ბევრ მიზეზზეა დამოკიდებული, რომელთა შორის საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ თანამედროვე მსოფლიოში ცალკეული ქვეყნების არათანაბარი ეკონომიკური ზრდის ტემპები, მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზაზე გლობალური კონკურენციის გამძაფრება, საბიუჯეტო დეფიციტი, რომელიც რიგ ქვეყნებში ზღუდავს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სახელმწიფო დაფინანსების შესაძლებლობებს და სხვა. ამასთან ერთად, ძლიერდება ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური ზრდის ტემპების დიფერენციაცია და, აქედან გამომდინარე, ეროვნული ეკონომიკების სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონეთა შორის სხვაობა. ასე მაგალითად, წამყვანი ქვეყნების ხუთეული - აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტუქტორო სამუშაოებზე ხარჯავენ უფრო მეტ სახსრებს, ვიდრე ერთად აღებული მსოფლიოს სხვა ქვეყნები, ამასთან, აღნიშნულ ხუთეულში აშშ-ს წილი 50%-ს აღემატება.

სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური გლობალიზაციის ძირითად საპროგნოზო მიმართულებებად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც:

● ტექნოლოგიების პრიორიტეტული დამუშავებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნებს შორის საინფორმაციო ურთირთმოქმედებას და საინფორმაციო საზოგადოებაში გადასვლას;

● გლობალური მეტატექნოლოგიების დამუშავება (ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციების ინტეგრირება);

● ინტელექტუალური რესურსების საერთაშორისო მობილურობის რადიკალური ინტენსიფიკაცია;

● მსოფლიო სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ნაწილობრივი რეგულირების საერთაშორისო მექანიზმის ფორმირება, უწინარეს ყოვლისა ეკოლოგიური პრობლემების მიზნით, ასევე ,,მესამე მსოფლიოს" ქვეყნების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის შემცირება;

● საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში მცირე და საშუალო მეცნიერებატევადი ბიზნესის ორგანული ჩართვა;

● ინტერნეტ-ტექნოლოგიებისა და კომპანიების განვითარება, რომლებიც სამეცნიერო-საინოვაციო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე მოახდენს სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური რესურსების აკუმულირებას;

● მსოფლიო სამეცნიერო-ტექნოლოგიური კომპლექსის განვითარების პროცესის რეგულირებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთმოქმედებისა და საწინააღმდეგო ქმედების შეთანხმება.

ჩამოთვლილი მიმართულებები შესაძლებლობას იძლევა ზოგადად შევაფასოთ მსოფლიოს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ არენაზე ქვეყნის ადგილის პერსპექტივა.

„საქართველო 2020“ სახელმწიფო სტარტეგიის მიხედვით, ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს მიერ

გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგებს შორის მოიაზრება კომპანიების მიერ ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარება, ინოვაციების დონის ამაღლება და შედეგად ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია.

მთავრობის პრეროგატივაა არსებულ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება და განვითარება, საერთაშორისო ბაზრებზე საქართველოს ექსპორტიორების ინტერესების დაცვა, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების მიზნით; ექსპორტიორებისათვის საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს მთავრობის მიზანია, ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემა, სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების და რეგიონში ვაჭრობასა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაში მისი როლის შესრულებისათვის. სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით გაღრმავდება საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია და რეგიონალური თანამშრომლობა.

საქართველოს მთავრობის მიზანია სატრანსპორტო სისტემების სრულყოფა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვებისა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის გზით. „საქართველო 2020“ განხილულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული პრობლემები რომლეთა გადაჭრა

აუცილებელია. ეს პრობლემია: ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად განვითარებული, რომ უზრუნველყოს როგორც კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა, ასევე, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ამასთან, ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული მრავალი კაპიტალური დანახარჯი არ იყო გაწეული ისეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელიც საუკეთესო ეკონომიკური ეფექტის მომტანი იქნებოდა; მიუხედავად იმისა, რომ წარსულში საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები მუდმივად იზრდებოდა, არსებული პოტენციალის დიდი ნაწილი დღეისთვის კვლავ აუთვისებელია; დღეს არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა ვერ უზრუნველყოფს გაზრდილი ტვირთების მომსახურებას; გადაზიდვის და ლოგისტიკური მომსახურების ფასი არაკონკურენტუნარიანია; არ არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ლოგისტიკური ცენტრები. „ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, კვლავ პრობლემად რჩება სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სექტორის - როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების, ასევე, მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობის - პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის. დღეისათვის არასათანადოდაა განვითარებული საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურა. „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფის და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების მიზნით, მთავრობა ხელს შეუწყობს სატრანსპორტო სისტემების სიმძლავრეების შესაბამის გაზრდას და განვითარებას (საგზაო, გზისპირა, სარკინიგზო და სანავსადგურე ინფრასტრუქტურა, აეროპორტების რეკონსტრუქცია და სატვირთო ტერმინალების მშენებლობა, ლოგისტიკური ცენტრები და ა.შ.). პრიორიტეტი მიენიჭება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის და ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის

მშენებლობის დასრულებას, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარებას (ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის გაგრძელება და სატვირთო ტერმინალების მშენებლობა) და ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტს.

ლოგისტიკური ცენტრების განვითარების მიზნით, ხელი შეეწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის და მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვების განვითარებას. შიდა გადაზიდვების, ტურიზმის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანია შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათი საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ხანგრძლივი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად მოვლა-შენახვის სამუშაოების სწორი დაგეგმარება.“ ნათქვამია „საქართველო 2020".

უმუშევრობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის. შრომის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. „შრომის ბაზრის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსის აღმოფხვრა ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების, ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის და სამუშაო ძალის ხარისხობრივი სრულყოფის გზით. პოლიტიკის საბოლოო შედეგი უმუშევრობის თანმიმდევრული შემცირება იქნება.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირება/განვითარებისთვის ხელი შეეწყობა: შრომის ბაზრის კვლევების ინსტიტუციონალიზაციას და მონაცემთა ბაზის ფორმირება/განვითარებას; დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ეფექტური კავშირის უზრუნველყოფას; საშუამავლო მომსახურების სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების განვითარებას; უმუშევართა ან/და სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების და

კვალიფიკაციის ამაღლების გამართული სისტემის შექმნას (უწყვეტი განათლების მხარდაჭერა); შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შრომითი მიგრაციული პროცესების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას; თვითდასაქმების და სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისთვის შესაბამისი პროგრამების განხორციელებას“ ნათქვამია მთავრობის სტრატეგიაში.

დღეისათვის საქართველოსათვის კონკურენტულ უპირატესობის მიღწევის გზაზე
ხელისშემლელ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე და შესაბამისად დაბალი მსყიდველობითუნარიანობა;
- განათლებისა და მეცნიერების დაბალი დონე;
- დაზოგვის დაბალი ნორმა და შესაბამისად შიდა ინვესტიციების დაბალი დონე;
- კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი და არასატარიფო ბარიერების არსებობა;
- წარმოებული პროდუქციის მაღალი ენერგოტევადობა და დამოუკიდებლობის მიღების
შემდეგ მაღალი ფასი ენერგომატარებლებზე;
- დაბალი ტექნოლოგიური დონე;
- წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი;
- მოძველებული მოწყობილობა–დანადგარები;
- იაფი, მაგრამ დღეისათვის ხშირ შემთხვევაში დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი;
- მონოკულტურული, ყოფილ საბჭოთა ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა;
- რესურსული დამოკიდებულება;
- სუსტი ინფრასტრუქტურა და ა.შ.

ამასთან დღეისათვის საქართველოს აქვს კონკურენტული უპირატესობებიც:

- იაფი მუშახელი;
- კლიმატური პირობები;
- გეოგრაფიული მდებარეობა;
- ლიბერალური კანონმდებლობა.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე ძალიან გაუჭირდება ამ მძიმე ეკონომიკური მემკვიდრეობისაგან გათავისუფლება და შემდგომი რეგრესის აღმოფხვრა, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების და შესაბამისად ეროვნული კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევა. საქართველოსათვის კი უცხოური ინვესტიციები კიდევ უფრო მნიშვნელოვნია, რადგან დაზოგვის ნორმა ქვეყანაში იმდენად მცირეა, რომ ეკონომიკის ზრდის მიღწევისათვის საჭირო ინვესტიციების მოძიება წარმოუდგენელიც კია. საკუთარი დანაზოგები (მით უფრო მთავრობის ხარჯების სწრაფი ტემპებით ზრდის პირობებში) ამორტიზაციის დასაბალანსებლადაც კი არ არის საკმარისი. ამდენად, საქართველოსათვის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთადერთი რეალური გზა უცხოურ ინვესტიციებზე მოდის. საქართველომ კონკურენცია უნდა გაუწიოს სხვა ქვეყნებს, მათ შორის უპირველეს ყოვლისა მეზობელ სახელმწიფოებს სწორედ ინვესტიციების მოზიდვაში. ამ მიზნის მისაღწევად და საქართველომ „კონკურენტული უპირატესობა“ უნდა მოიპოვოს ისეთ სფეროებში, როგორიცაა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული პროცედურების, გადასახადების, მონეტარული, საფინანსო-საკრედიტო და საბანკო, სავაჭრო, სამართლებრივი, განათლების, სოციალური, ეკოლოგიური და სასამართლო სისტემები.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია განახლებადი

დოკუმენტია და მოსალოდნელია მასში სხვა და სხვა სახის ცვლილებების შეტანა ვინაიდან მასში ასახულია ყველა ის პრიორიტეტული მიმართულებები რომლებიც არსებობს დღესდღეობით სავარაუდოდ 2020 წლამდე შესაძლოა გამოჩნდეს ახალი გარემოებები რომლებიც პრიორიტეტულს გახდის სხვა მიმართულებით ძალების მობილიზებას. მთავარია სტრატეგიით გათვალისწინებულმა განხორციელებულმა ღონისძიებებმა მოიტანოს შესაბამისი შედეგი და ეს სტრატეგია არ დარჩეს მნიშვნელოვან დოკუმენტად, რომელიც არ განხორციელდა.

ყველა იმ მიმართულების განსავითარებლად რაც მოცემულია სტრატეგიაში საჭიროა მოხდეს ეკონომიკის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შეცვლა, შემოღება და არსებულის დახვეწა. ვინაიდან ჩვენი მიზანია შევუერთდეთ ევროპას საჭიროა საქართველოს საკანონმდებლო ბაზა აკმაოყოფილებდეს საერთაშორისო მოთხოვნებს.

დასკვნა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ საქართველოს მრეწველობის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები და დავსახეთ მათი გადაჭრის მიმართულებები. საკვლევი თემის სრულყოფილად შესწავლისათვის ნაშრომში წარმოვადგინეთ მსოფლიოს განვითარებული მრეწველობის მფლობელი ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის მაგალითები. განვიხილეთ საქართველოში არსებული მრეწველობის მარეგულირებელი თითოეული ნორმატიული აქტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მრეწველობისათვის ისევე როგორც ეკონომიკის ნებისმიერი დარგისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ უზრუნველყოფას. მიუხედავად იმისა რომ ბოლო წლებში საქართველოში ბიზნესის კეთების გასაადვილებლად სხვადასხვა კანონებში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები ეს საკმარისი არ აღმოჩნდა სამრეწველო ბიზნესის ასაყვავებლად. მნიშვნელოვანი საკითხია განვსაზღვროთ თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში არსებული სამრეწველო წარმოების სამართლებრივი რეგულირება მსოფლიო საკანონმდებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

ავღნიშნეთ რომ მნიშვნელოვანია მსოფლიო ბაზარზე გასასვლელად წარმოებულ იქნას კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ასეთი პროდუქციის წარმოება მხოლოდ თავისუფალი ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი, რაც შესაბამისი საკანონმდებლო აქტით უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

მიღებული უნდა იქნას საგადასახადო შეღავათები უფრო ლიბერალური მიდგომაა საჭირო ამ მიმართულებით. კონტროლის ორგანოებთან მიმართებაში მეწარმისათვის მეტი დაცვის მექანიზმი უნდა ჩავდოთ კანონში რათა მმართველობის და თვითმართველობის მიერ მაკონტროლებლად აღიარებული ორგანოები კონტროლის განხორციელებისას არ აზარალებდნენ წარმოებას.

იმისათვის რომ საქართველოში სამრეწველო წარმოების განვითარება წარმატებით განხორციელდეს უნდა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები. ჩვენ განვიხილეთ საქართველოში არსებული სამართლებრივი აქტები რომლებიც არეგულირებენ მრეწველობას, შევისწავლეთ თითოეული საკანონმდებლო აქტი, რომელიც არის და საჭიროებს დახვეწას, ასევე აქცენტი უნდა გამახვილდეს იმ სამართლებრივ აქტებზე რომლეთა გაუქმებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა წარმოების განვითარებაზე. ანტიმონოპოლიური კანონის არ არსებობა ცუდად აისახება კონკურენციის ჯანსაღი პირობების არსებობაზე. საქართველოს ბაზარზე არსებობენ მონოპოლიები, რომლებიც ხელს უშლიან მცირე და საშუალო წარმოების განვითარებას.

მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ მსოფლიოს განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების გამოცდილება, ვიპოვოთ ოქროს შუალედი სახელმწიფოს მიერ მრეწველობის განვითარების სტიმულირების საქმეში. ეკონომისტების დიდი ნაწილი თვლის სახელმწიფოს ჩარევა დაყვანილი უნდა იყოს მინიმუმამდე, მაგრამ ეს ალბათ ამართლებს იმ ქვეყნებში სადაც არ არის ისეთი ეკონომიკური მდგომარეობა როგორც ჩვენთან, თუმცა ჩვენ ვიცით რომ ისეთ ქვეყანაშიც კი როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია სახელმწიფო ცდილობს დაეხმარეოს მეწარმეებს და დაიცვას ისინი სიახლების დანერგვისას გაწეული რისკებისაგან.

აუცილებელია გავზარდოთ ნდობა კერძო არბიტრაჟის მიმართ რათა ამ სფეროში წარმოშობილი დავები არ განიხილებოდეს მხოლოდ სასამართლოში, რაც ნიშნავს დროში გაწელილ წამგებიან პროცესს.

განვითარების ყველა ეტაპზე აქტუალურია შრომითი ბაზრის რეგულირება მით უმეტეს ჩვენი ქვეყნისათვის ამ პრობლემას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. უნდა დაიხვეწოს შრომის კანონმდებლობა და ჩაიდოს მასში ისეთი მუხლები, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვას.

აღარაფერს ვამბობთ საგადასახადო კოდექსზე, რომლის ტექსტი სპეციაულური განათლების არ ქონის შემთხვევაში სრულიად გაუგებარია და და ხშირად ორაზროვანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოქროცვარიძე ავთანდილ, ლაჭყეპიანი თენგიზ, ოქროცვარიძე ლალი."მსოფლიო ეკონომიკა". თბილისი, 2008. 365 გვ.

2. ფეტელავა სლავა. „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში". გამომცემლობა „ლოი" თბილისი 2007

3. РОДИОНОВА И.А., КОКУЙЦЕВА Т.В. „СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ ПРОМЫШЛЕННОСТИ МИРА" Москва – 2012

4. ძამუკაშვილი დ. „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი" გამომცემლობა "სანი" თბილისი 2002 წელი.

5. ურიდია გონერ. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები" 2011 წ. გამომცემლობა" მერიდიანი"

6. Alix Adams „Law for Business Students „(sixth edition) 2010.Lombarda, Italia.

7. Eugen von Böhm-Bawerk " Control or Economic Law " 2010 by the Ludwig von Mises Institute and published under the Creative Commons Attribution License 3.0. http://creativecommons.org/licenses/by/3.0/ (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 16.05.2014)

8. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი"

9. Попова, Людмила Владимировна „Налоговые системы зарубежных стран" Издательство «Дело и Сервис», 2008

10. MURRAY N. ROTHBARD „Power and Market: Government and the Economy" Published by the Ludwig von Mises Institute, Copyright © 2006 by Ludwig von Mises Institute, fourth edition.

11. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“

12. ნადარაია ლევან, როგავა ზვიად, რუხაძე კახა, ბოლქვაძე ბონდო „საქართველოს საგადასახადო კოდექსი კომენტარი წიგნი პირველი §§ 1-155“ თბილისი 2012წ.

13. ნადარაია ლევან, როგავა ზვიად, რუხაძე კახა, ბოლქვაძე ბონდო „საქართველოს საგადასახადო კოდექსი კომენტარი წიგნი მეორე §§ 156-310“ თბილისი 2012წ.

14. „საქართველოს შრომის კოდექსი“

15. „საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ“2009 წელი.

16. იმედაშვილი გულნარა „საგადასახადო საქმე“ დამტკიცებულია სახელმძღანელოდ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. თბილისი 2010 წელი.

17. კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

18. „საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა“ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.2010 წელი მაისი.

19. ნიკოლეიშვილი გიორგი „საქართველოს ეკონომიკის ორიენტირები და პრიორიტეტები“ http://24saati.ge/index.php/category/business/2010-04-25/5804.html.(უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014)

20. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ვებგვერდიდანhttp://www.economy.ge/upload-file/pdf/Economic%20Outlook%20(GEO%20for%20WEB)%202012%20(August).pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014.)

21. გაბუნია დიმიტრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ასპირანტი "საარბიტრაჟო განხილვის როლი და მნიშვნელობა პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის".http://gap.ge/?lang=geo&page=230 (უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.214)

22. http://azerbaijan.az/portal/Economy/Industry/Industry_r.html(უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014)

23. ხადური ნოდარ „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები" 2010 წელი 8 ივლისი.

24. ღლონტი ლ. ბაქრაძე ლ. "პროფესიული განათლება: საქართველოში პრობლემები და პერსპექტივები"

25. „შრომის უსაფრთხოება საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა" იხილეთ სტატია ვებ გვერდზე http://www.netgazeti.ge/GE/105/News/17965/.(უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014)

26. კაკაურიძე თამთა „წარმატებული საწარმო, სოციალური დიალოგის პრობლემა და სხვა თვალით დანახული პროფკავშირი" იხილეთ სტატია ვებ. გვერდზე http://www.mmcworkers.ge/ka/2010-07-15-13-31-11/1-2010-07-13-09-23-47/375-2011-12-20-04-53-27.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014)

27. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი http://www.geostat.ge/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014)

28. ქვეყნების ეკონომიკური ტოპათეული http://www.kvirispalitra.ge/mozaika/13679-qveynebis-ekonomikuri-topatheuli.html. (უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014)

29. ახალაია ვლადიმერ "საგადასახადო სისტემა და მისი როლი ტრანსპორტის მენეჯმენტის განვითარებაში".

30. თბილავიამშენი.http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98. (უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014)
31. ქიმუცაძე გოჩა „ბრაზილიის ეკონომიკა მსოფლიოში მეექვსეა“ http://www.for.ge/view.php?for_id=11243&cat=1. (უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014)
32. ვაგონმშენებელი კომპანია.ვებ. გვერდი http://www.elwagon.ge/rustavi/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 16.05.2014)
33. Сысоев Е.В « Зарубежный опыт разработки и реализации промышленной политики» МосГУб 2012г.
34. Economic Indicators, Maiking Sence of Indicators, Sixth Edition, Bloombering Press, Ne York, The Economist, ISBN-13: 978-1-57660-240-9 (alk. paper);
35. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესახებ (მეთოდოლოგიური მიდგომა)."შრომები". თბ., 2000;
36. Джон Д. Дэниелс, Ли Х. Радеба. Международный бизнес. М.: Дело Лтд, 1994.
37. Вилкова Н.Н. Модели и механизмы внутрифирменного управления. . М.: 1994;
38. Черняков Д., Эффективность использования производственного потенци-ала, конечные народнохозяйственные результаты – Экон. науки, 1981, №10,
39. David N. Economic Growth, Well, 2005, Pearson Education, Inc. 1st edition;
40. ჩაგელიშვილი პ. სამრეწველო წარმოების(ფირმის) ეკონომიკა და მეწარმეობა. თბილისი. გამომცემლობა ”ზეკარი”, 2004;
41. . Муравьев А.И., Дятлов С.А. Государственное регулирование в стратегии устойчивого развития экономики России, - СПб.: УЭиФ. 1998.

42. Шатрова Е.В. Резервы и механизмы повышения жизнеспособности промышлунных предприятий. СПб.: УЭиФ. 1998.
43. თ. აქუბარდია, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ეკონომიკური პოლიტიკა, თბ.,2005.
44. ანანიაშვილი ი. გადასახადების გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე , ეკონომიკა და ბიზნესი.№3 2008წ.
45. Колчин С. П. Налоги и налогообложение, М., 2000.
46. Танзи Вито, Налогово-бюджетная политика в странах с экономикох переходного периода, под. ред. МВФ, Вашингон. 1993.